გაზეთი „ქართული სიტყვა“ ინტერნეტში www.qartulisityva.ge

გამოდის ოთხშაბათობით

№49 (312)

# ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ფასი 1 ლარი

16 – 22 დეკემბერი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## მამა პეტრე: „ეკლესიის მთავარი პრობლემა პრობლემების დაუნახაობაა“



მე-16 გვ.

## „ზუსტად ვიცი, ვინ, როგორ და რა მიდგომებით შეურაცხყოფს საეკლესიო სწავლებებს!“

„ეკლესია, სახელმწიფოსთან შეთანხმებით, უნდა დაინტერესდეს სასულიერო პირების ყოფით ცხოვრებაზე. ვიღაცის შვილი შეიძლება, ოქსფორდში სწავლობდეს, მაგრამ უმეტესობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. ვიცნობ მღვდლებს, რომლებსაც არსებობისთვის მინიმალური შემოსავალიც არ აქვთ. ალბათ ამიტომაცაა ამდენი აგრესია, სიძულვილი და შური დაგროვილი ჩვენს გარემოში. ყველა ვერ იქნება პროფესორი, პედაგოგი და მწერალი. თუ ვაკურთხებთ სასულიერო პირებს, მათი ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობაც უნდა დაგვეკისროს“.

# უცხოეთის სპეცსამსახურები საქართველოს პრემიერად სალომე ზურაბიშვილს ამზადებენ?



## საფრანგეთ-გერმანია-რუსეთის ფარული გარიგება – შტაინმაიერის გეგმა ისევ აქტუალურია!

მე-2-3 გვ.

„საერთაშორისო მაფიას ელისაშვილი კი არა, მობილიზებული სახელმწიფო მანქანისა და საერთაშორისო თანამეგობრობის გარდა ვერავინ დაუპირისპირდება. საერთოდ, არ მგონია, რომ ელისაშვილს ეს განცხადებები ხალხის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად გაეკეთებინოს, თუმცა თუკი მისთვის ამ დანაშაულის მზადება ცნობილი იყო, შესაბამისი ორგანოებისთვის მაშინვე უნდა მიემართა, განგაში აეტეხა და შეწყალების კომისიის ხელმძღვანელობიდან ხმაურით წამოსულიყო“.

## მუსიკა და წიგნები, რომელთაც ეკლესია კრძალავს

მე-4 გვ.

## რეესტრი „გამათხუე“

## რატომაა უმაქნისი 18 წლამდე ქორწინების რეგისტრაციის შეზღუდვა-აკრძალვა

მე-15 გვ.

## „ამ დღეებში კიდევ ბევრ ინფორმაციას გავიგებთ!“



მე-8 გვ.

## გია ხუხაშვილი რევოლუციას აანონსებს

# ნანა კაკაბაძე „შეწყალების სკანდალის“ დეტალებს ჰყვება



## „ელისაშვილი დანაშაულის შემცველ ინფორმაციას ფარავდა“

მე-9 გვ.

## „დავით კიკიკიტაძემ მუსლიმანები ყურანზე დააფიცა, რომ ხმას „ნაცმოძრაობას“ მისცემდნენ“

## ალი ბაბაევი გიორგი ვაშაძეს ამხელს

№ 49 (314)
16 – 22 დეკემბერი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!"

სკანდალური ექსკლუზივი

# უცხოეთის სპეცსამსახურები საქართველოს პრემიერად სალომე ზურაბიშვილს ამზადებენ?

**მთელი ქვეყანა ე.წ. შეწყალების სკანდალს მისჩერებია და გამოძიების შედეგს ელოდება. ვინ დაისჯება, ან საერთოდ დაისჯება თუ არა ვინმე? — ამას დრო გვიჩვენებს. მანამდე კი, თითქმის დადასტურებულია, რომ „კორუფციული გარიგება" „კოკაინის საქმეს" უკავშირდება. აქედან გამომდინარე, „ქართული სიტყვის ტრადიციული რესპონდენტი, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე ვარაუდობს, რომ თუკი „კოკაინის ეპიზოდი" დადასტურდა, მაშინ, დიდი ალბათობით, გამოძიებას უფრო ფართომასშაბიანი სამუშაოს ჩატარება მოუწევს და შეიძლება, საერთაშორისო დამნაშავეებზეც გავიდეს. გარდა ამისა, ქართველი სპეცსამსახურელი განმარტავს, რომ ამ „კორუფციული ხმაურის" ერთ-ერთი მიზანი საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს იმიჯის შელახვა იყოს. ამ კონტექსტში, კონსტანტინე ფორჩხიძე „ნეიტრალიტეტის პოლიტიკაზე" აკეთებს აქცენტს და, კონფიდენციალურ წყაროებზე დაყრდნობით, ეჭვობს, რომ 2016 წლის არჩევნების შემდეგ, საქართველოს პრემიერის პოსტს, სავარაუდოდ, დიაცი დაიკავებს. ფორჩხიძე იმასაც ამბობს, რომ ამ თემაზე გარკვეული კულუარული შეთანხმება საფრანგეთ-გერმანიას და, ასევე, რუსეთს შორის იქნა მიღწეული. მოკლედ, რა მიზნით იმყოფებოდა პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი თურქმენეთში და რა გარიგება შედგა ევროკავშირის წამყვან სახელმწიფოებს შორის საქართველოსთან მიმართებაში? — „ქართული სიტყვა" აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს კონსტანტინე ფორჩხიძესთან.**

**— ბატონო კონსტანტინე, ის, რომ პატიმართა შეწყალებაში ფული კეთდებოდა, ცნობილი ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე" იყო, მაგრამ როგორც შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ელენე თევდორაძე მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, მაშინ ლაპარაკი 800 დოლარს არ გასცილებია. ახლა კი, მილიონები ფიგურირებს. თქვენი შეფასებით, საქმე რასთან გვაქვს?**

— მართალია, პირველი პირები საჯაროდ არ დასახელებულან, მაგრამ ალეკო ელისაშვილი ამბობს, რომ გამოძიებას ის გვარები მიაწოდა, ვის გათავისუფლებასაც პოლიტიკოსები ლობირებდნენ. აქედან გამომდინარე, ყველაფერი ეს პოლიტიკურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რასაც შეიძლება, ორგვარი შედეგი ჰქონდეს: ერთი, არჩევნები მოდის და „ქართული ოცნების" ისეთი პოლიტიკური ფიგურებისგან გაწმენდა უნდათ, რომელიც კოალიციის იმიჯზე დადებითად არ მუშაობს და მეორე, შეწყალების კომისია პრეზიდენტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბერკეტია და იმაზე ლაპარაკი, რომ იქ კორუფციის ფაქტების გამოვლენა დასავლეთისთვის ცუდი გზავნილია.

**— როგორც ელისაშვილი ამბობს, ეს კორუფციული გარიგება არ შედგა.**

— კი ბატონო, მაგრამ კორუფციის მცდელობა ხომ იყო? ეს მცდელობაც, ანუ ე.წ. ბეს აღებაც უკვე დანაშაულია.

**— ცხადია, მაგრამ ამასთან დასავლეთი რა შუაშია?**

— იმ შუაშია, რომ დასავლეთი, საქართველოში დემოკრატიის თვალსაზრისით, ხაზს ყოველთვის იმას უსვამდა, რომ კორუფციის მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო. ამ დროს იმაზე ლაპარაკმა, რომ კორუფცია კიდევ არსებობს, არ შეიძლება, გრეკო-ს ყოველწლიურ ანგარიშში არ მოხვდეს.

**— გრეკო რა არის?**

— გრეკო ის ორგანიზაციაა, რომელიც ევროსაბჭოს წევრ და ევროატლანტიკური მისწრაფების ქვეყნებში კორუფციის მაჩვენებელს იკვლევს.

**— ესე იგი, საუბარი იქითკენ მიგყავთ, რომ „შეწყალების სკანდალის" ერთ-ერთი მთავარი, ასე ვთქვათ, სამიზნე საქართველოს საერთაშორსო იმიჯია, მაგრამ თქვენი მონაცემებით, საქართველოში ისეთი პატიმარი არის, ვის თავისუფლებაშიც მილიონნახევარს გადაიხდიან?**

— თუკი ეს ისეთ თემებს უკავშირდება, რომელიც თავის დროზე საერთაშორისო სკანდალის საფუძველი გახდა, რატომაც არა?

**— საერთაშორისო სკანდალის საფუძველი მაინც, რომელი დანაშაული შეიძლება იყოს?**

— მაგალითად, ნარკოტიკით, იარაღით ვაჭრობა და ასე შემდეგ... საერთოდ, ეს ცალკე საკვლევი თემაა და თუკი გამოძიება წესიერად ჩატარდება, შეიძლება, გარკვეულ კავშირებზე გავიდეს და უფრო სერიოზული დანაშაულიც გაიხსნას.

**— თითქმის დადასტურებულია, რომ „შეწყალების სკანდალი" კოკაინის საქმეს უკავშირდება, რომელიც ე.წ. „ნაციონალმა" სამართალდამცავებმა 2010 თუ 2011 წელს გახსნეს. თუკი ეს დადასტურდა, გამოვა, რომ ამ საქმის ფიგურანტების გათავისუფლებაში საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატი იყო ჩართული?**

— რატომ არ შეიძლება? ეს გახმაურებული სპეცოპერაცია სოდ-მა ჩაატარა, რა დროსაც „ტრუბებიდან" კოკაინი, მიწიდან კი, მილიონამდე ევრო ამოიღი. მოკლედ, თუკი „შეწყალების სკანდალი", მართლაც, „კოკაინის საქმესთანაა" დაკავშირებული, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე საერთაშორისო ზეგავლენის ჯგუფთან გვაქვს, რომელიც „კოკაინის საქმეზე" დაკავებულთა გათავისუფლებითაა დაკავებული.

**— ანუ, გამოდის, რომ ალეკო ელისაშვილი საერთაშორისო მაფიას უპირისპირდება?**

— საერთაშორისო მაფიას ელისაშვილი კი არა, მობილიზებული სახელმწიფო მანქანისა და საერთაშორისო თანამეგობრობის გარდა ვერავინ დაუპირისპირდება. საერთოდ, არ მგონია, რომ ელისაშვილს ეს განცხადებები ხალხის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად გაეკეთებინოს, თუმცა თუკი მისთვის ამ დანაშაულის მზადება ცნობილი იყო, შესაბამისი ორგანოებისთვის მაშინვე უნდა მიემართა, განგაში აეტეხა და შეწყალების კომისიის ხელმძღვანელობიდან ხმაურით წამოსულიყო.

**— ელისაშვილმა შეწყალების კომისიის ხელმძღვანელობა, როგორც ვიცი, იმიტომ დატოვა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდა...**

— ეგ მეორე თემაა, მაგრამ შეეძლო, კომისია დემარშით დაეტოვებინა. ასე რომ მოქცეულიყო, ამ საქმეს უფრო მეტი რეზონანსი ექნებოდა. დღეს კი, მის განცხადებებს პოლიტიკური ელფერი აქვს, ანუ „ოცნება" გარკვეული „ტიპებისგან" გაიცხრილება.

მეტიც, როგორც წეღან აღვნიშნე, ამ სკანდალის გამო, დასავლეთის თვალში კიდევ ერთი მინუსი დაგვეწერება...

**— ეს სკანდალი თავის კვალს ვიზალიბერალიზაციაზეც დატოვებს?**

— რა თქმა უნდა. საერთოდ, ყველა ასეთი პატარ-პატარა აგური, რომელიც ხელისუფლების უარყოფით კონტექსტში სახსენებლად გამოიყენება, იქითკენაა მიმართული, რომ დასავლეთის ყურადღება გამახვილდეს, აი, საქართველოში კიდევ არსებობს სტრუქტურები, რომლის თანამშრომლებიც კორუფციაში არიან გარეულნიო. ეს ზიანს მხოლოდ „ქართული ოცნების" კი არა, ქვეყნის იმიჯს აყენებს...

**— ბატონო კოტე, რა ამის პასუხია და, წეღან, კერძო საუბრისას, მიანიშნეთ, საფრანგეთსა და გერმანიას შორის, საქართველოსთან დაკავშირებით, კულუარული მოლაპარაკებები მიდისო. რას გულისხმობდით?**

— დიახ, ასეა და სწორედ ამ კონტექსტში ჯდება საქართველოს პრეზიდენტის თურქმენეთში ვიზიტი, რომელიც თურქმენეთის ნეიტრალიტეტის 20 წლისთავს მიეძღვნა. თურქმენეთში სპეციალური კონფერენცია გაიმართა, რომელიც ნეიტრალურ პოლიტიკას ეძღვნებოდა და რომელზეც გიორგი მარგველაშვილი სიტყვითაც გამოვიდა. ასეთი თემების წამოწევა და მათში ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის მონაწილეობა, რომელიც ასევე, საგარეო ურთიერთობებში პირველ პირად ითვლება, მხოლოდ დასავლეთისთვის კი არა, რუსეთისთვისაც ძალიან სერიოზული მესიჯია. ამიტომ, ქვეყნის უმაღლესი პირი ასეთ ვიზიტებს დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდოს, მით უმეტეს, რომ თურქმენეთში ისეთი შეხვედრაც გაიმართა, რომელიც რეგიონში შექმნილი დაძაბული ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენი ტრადიციული მოწინააღმდეგე ქვეყნისთვის შეიძლება, გარკვეულ გამაღიზიანებლადაც იქცეს.

**— კოტე ბატონო, ცოტა გაუგებრად ლაპარაკობთ და ვერ ვხვდები, საუბარი საითკენ მიგყავთ...**

— მოკლედ, თურქმენეთში გამართულ კონფერენციაში, რომელიც თურქმენეთის ნეიტრალიტეტის 20 წლის იუბილეს მიეძღვნა, 20-ზე მეტი სახელმწიფოს პირველი პირი მონაწილეობდა. ამ კონფერენციის ფარგლებში, მარგველაშვილი თურქეთის პრეზიდენტს, ერდოღანს ერთი-ერთზე ელაპარაკა, რაც რუსეთის მხრიდან შეიძლება, არამეგობრულ ნაბიჯად იქნეს აღქმული. ამ კონფერენციაში მონაწილეობა იმის დემონსტრირებად მეჩვენება, რომ მომავალში, საქართველო ნეიტრალური საგარეო პოლიტიკის გატარებას არ გამორიცხავს, რაც შეიძლება, ევროატლანტიკური მისწრაფების ძირითად ალტერნატივად ჩაითვალოს.

**— სხვათა შორის, ქართველი რუსეთუმეები მუდმივად ითხოვენ, რომ საქართველო ნეიტრალური ქვეყანა უნდა იყოს...**

— რა თქმა უნდა, ასეა...

**— რატომ შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა სამომავლოდ შეიძლება, ნეიტრალური იყოს?**

— იმიტომ, რომ საქართველოს პირველი პირი ზემოხსენებულ კონფერენციას არათუ დაესწრო, არამედ განხილვებშიც მონაწილეობდა. სწორედ ესაა ე.წ. ნეიტრალური პოლიტიკის ზონდირების მცდელობა და გზავნილი, პირველ რიგში, ოკუპანტი რუსეთისთვის. ასევე, საინტერესოა, როგორი რეაქცია ექნება ყველაფერ ამაზე ევროკავშირის ორ ლიდერ სახელმწიფოს — საქართველოსა და გერმანიას. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ გერმანიის შეთავაზება, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირებას ეხება. მხედველობაში მაქვს ე.წ. შტაინმაიერის გეგმა. მოგეხსენებათ, შტაინმაიერი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრია და მისი გეგმა ე.წ. ასიმეტრიული ფედერაციის შექმნას ითვალისწინებს, ანუ არ გამოვრიცხავ, რომ გერმანიამ რუსეთი ამაზე დაიყოლიოს და, სანაცვლოდ, საქართველოს საგარეო პოლიტიკა ნეიტრალური გახდეს.

**— ამიხსენით, რუსეთს ჩვენი ნეიტრალიტეტი ხელს რატომ აძლევს?**

— ნატო-ში ჩვენს ინტეგრაციას, ანუ მის საზღვრებთან ნატო-ს მოახლოებას საფრთხედ აღიქვამს. არადა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დროს კი არა, მერეც, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში, რუსეთს ჩვენზე დიდი გავლენა ჰქონდა — სხვა თუ არაფერი, ძალოვანი მინისტრები მისი მითითებით ინიშნებოდნენ. ჰოდა, კრემლი სწორედ ამ პოზიციაზე დაბრუნებას ცდილობს, საიდანაც ევრაზიულ კავშირამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება. ამ გარდამავალი ეტაპის გარეშე, რუსეთი ევრაზიულ კავშირში ვერ შეგვათრევს.

**— ერთი სიტყვით, პროგნოზირებთ, რომ ჩვენი ბოლო ევროკავშირი კი არა, ევრაზიული კავშირია?**

— დიახ, ჩემდა სამწუხაროდ, ასეა. ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მხოლოდ დღევანდელ კი არა, წინა ხელისუფლებასაც, რომელიც ოფიციალურად ევროპულ იდეალებს დეკლარირებდა, აქცენტი ნატო-ში შესვლაზე კი არ უნდა გაეკეთებინა, არამედ, უფრო მეტი უნდა ეზრუნა, რომ აშშ-ს საქართველოს მოკავშირის სტატუსი ოფიციალურად მოენიჭებინა. ეს სიტუაცი-



**საფრანგეთ-გერმანია-რუსეთის ფარული გარიგება — შტაინმაიერის გეგმა ისევ აქტუალურია!**

გაგრძელება მე-3 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

16 – 22 დეკემბერი 2015 | № 49 (313) | 3

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

ას დააბალანსებდა.

— **როგორ?**

— აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი ოფიციალურად რომ ვიყოთ, დაახლოებით, ისეთ მდგომარეობაში ვიქნებოდით, როგორშიც დღეს ისრაელი, ან სამხრეთ კორეაა. სამწუხაროდ, ამ კუთხით ნაბიჯები არც „ნაცმოძრაობას“ გადაუდგამს და არც „ოცნება“ დგამს.

— **სხვათა შორის, თავდაცვის მინისტრმა აშშ-ში ვიზიტისას განაცხადა, საქართველო ნატო-ს წევრი უფრო ადრე გახდება, ვიდრე გაერთიანდებაო...**

— ეს გამორიცხულია.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ ყველამ კარგად იცის, ნატო-ს წესდებით, ასეთი გადაწყვეტილებების მიღება გამორიცხულია, ანუ არ შეიძლება, ნატო-ს წევრი გახდეს ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები აქვს. გარდა ამისა, ნატო-ს გაფართოებაზე საუბარი რომელი ერთი კონკრეტული კი არა, მინიმუმ, ორი სახელმწიფოს მიღებით იწყება.

— **ბატონო კოტე, არსებობს პრეცედენტი, როცა ნატო-ში მონტენეგრო მიიწვიეს...**

— კი ბატონო, მაგრამ საქართველოს მიწვევაზე საუბარი ჯერჯერობით არაა. აპატურაი და სხვებიც მიანიშნებენ, რომ ნატოში გაწევრიანებამდე, საქართველომ აუცილებლად მაპ-ის პროგრამა უნდა გაიაროს, რომელიც ერთწლიანი პროცესი არაა და რომელსაც, შეიძლება, ათეული წელიც დასჭირდეს. გავიხსენოთ, მაგალითად, ხორვატიის მაგალითი, რომელიც მაპ-ის, ასე ვთქვათ, პროცესში 9 წელი იმყოფებოდა და ნატო-ში მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს.

სხვათა შორის, ნატო-ში გაწევრიანების ყველა შესაძლებლობა გავუშვით. „ნაცმოძრაობამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია არ მომხდარიყო.

— **ამას რითი ადასტურებთ?**

— თუნდაც 2008 წლის აგვისტოს ომით, რომელიც ბუხარესტის სამიტის მერე მოხდა და რომელიც ადასტურებს, რომ აგვისტოს ომი მიზანმიმართული ნაბიჯი იყო, რათა საქართველოს ნატო-სგან დისტანცირება მომხდარიყო!

— **კონსტანტინე ბატონო, წეღან, კერძო დიალოგისას, ასევე, მითხარით, რომ მიიღეთ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრემიერის პოსტზე საფრანგეთი და გერმანია ქალბატონს განიხილავენ. ეს ინფორმაცია ვინ მოგაწოდათ?**

— ის, თუ ვინ მომაწოდა ინფორმაცია, ჩემი საქმეა, მაგრამ ლაპარაკია, რომ ნეიტრალიტეტიდან გამომდინარე, შეიძლება, გამოჩნდეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი პოლიტიკური ფიგურა, ქალბატონი, რომელიც 2016 წლის არჩევნების შემდეგ, პრემიერი გახდება. ჩემი ინფორმაციით, ამ ეტაპზე ორი კანდიდატურა განიხილება – ნინო ბურჯანაძე და სალომე ზურაბიშვილი, თუმცა რატომღაც მგონია, რომ საბოლოო „სტავკა“, ალბათ, უფრო ზურაბიშვილზე გაკეთდება.

— **მაშასადამე, ზურაბიშვილზე ფრანგული სპეცსამსახურები მუშაობენ?**

— ასე ვერ ვიტყვი, მაგრამ ზურაბიშვილს, თავისი ბეგრაუნდიდან და ურთიერთობიდან გამომდინარე, რუსეთთან ურთიერთობის დალაგება შეუძლია.

— **ასეთი რა ბეგრაუნდი და ურთიერთობა აქვს, ან ვისთან?**

— ქალბატონ სალომეს რუსეთის დღევანდელ მმართველ წრეებთან გარკვეული ურთიერთობა აკავშირებს.

— **„მმართველი წრეები“ ფართო მცნებაა, კონკრეტულად?**

— მაგალითად, ლავროვთან.

— **არადა, სალომე ზურაბიშვილი მკვეთრად გამოხატული „ანტირუსია“...**

— კი ბატონო, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანა პირადად მისი დამსახურებაა.

— **კი ბატონო, თუმცა „ნაციონალები“ ამბობენ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ხელშეწყობის გარეშე, ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა... ლავროვთან რა ურთიერთობა აკავშირებს?**

— როგორც ვიცი, გაერო-ს განიარაღების კომიტეტში ერთად მუშაობდნენ, რა დროსაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. ალბათ, სწორედ ეს ფაქტორი იმუშავებს, რომ ნეიტრალიტეტის ფარგლებში, დღის წესრიგში, საქართველოს გაერთიანების საკითხი დადგეს.

ვანო, სხვათა შორის, დაახლოებით, ერთი წლის წინ, თუ გახსოვთ, გითხარით, რომ 2001 წლის ბოლოს, გერმანელებთან მქონდა შეხვედრა, საუბარია ედუარდ ლინტრენზე, რომელმაც პირდაპირ დაასახელა ის თარიღი, როცა საქართველოს და ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მოხდებოდა. ასევე, აღნიშნა, რომ მაქსიმუმი, რასაც საქართველომ შეიძლება, ევროინტეგრაციის გზაზე მიაღწიოს, ასოცირების ხელშეკრულება და ვიზალიბერალიზაცია იქნებაო.

— **მოკლედ, საქართველოს მომავალი პრემიერის კანდიდატურას საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის სპეცსამსახურები განიხილავენ?**

— ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ინფორმაცია მაქვს.

— **ვთქვათ, ეს ინფორმაცია უტყუარია, მაგრამ ამ ქვეყნების მიერ შერჩეულ კანდიდატურაზე ქართული მხარეც ხომ უნდა დასთანხმდეს, ან ხომ არ ვიცით, 2016 წელს როგორ პარლამენტს მივიღებთ?**

— 2016 წელს ზუსტად ისეთ პარლამენტს მივიღებთ, რომელიც ამ გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს!

— **შეიძლება, მაგრამ რატომ გავიწყდებათ, რომ ქვეყანაში მკვეთრად პროდასავლური ძალებიც არიან, რომლებიც ამ გეგმაზე არ დასთანხმდებიან?**

— ვხედავთ, ეს პროდასავლური ძალები რა მდგომარეობაში არიან.

— **რა მდგომარეობაში არიან?**

— ერთი პროდასავლური ძალა, კერძოდ, „რესპუბლიკური პარტია“ ხელისუფლებაშია და იმ პოლიტიკას გაატარებს, რასაც ხელისუფლება ეტყვის.

მეორე პროდასავლურ ძალად დასავლეთი „ნაცმოძრაობას“ იცნობს, რომელიც აბსოლუტურად მძიმე მდგომარეობაშია, ანუ პრაქტიკულად, ხელმძღვანელის გარეშეა დარჩენილი და თავი მოჭრილი აქვს.

— **ირაკლი ალასანია და მისი გუნდი რატომ გავიწყდებათ, ბატონო კოტე?**

— არ მავიწყდება, მაგრამ ალასანია დღეს ნაკლებად აქტიურობს.

— **ეგებ, ეს მისი ტაქტიკაა?**

— შეიძლება, მაგრამ მისი მხრიდან მეტი აქტიურობაა საჭირო, თუმცა აქტიურობა გარკვეულ ფინანსებს უკავშირდება, რომელიც ალასანიას, ალბათ, არ აქვს.

მოკლედ, თუკი ის გეგმა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ასე ვთქვათ, დამტკიცებულია, დასავლეთი საქართველოში პროდასავლურ ფრთას აღარ გააძლიერებს.

— **არ მგონია, ეს გეგმა დამტკიცებული იყოს, რამეთუ სხვა თუ არაფერი, ახალი აბრეშუმის გზის პროექტი, როგორც იტყვიან, ამუშავდა — საქართველოში ჩინეთიდან უკვე პირველი მატარებელი შემოვიდა...**

— ეს ორი ფაქტორი ერთმანეთს ხელს არ უშლის!

საერთოდ, პატარა ქვეყნის ნეიტრალიტეტის წინააღმდეგი ვარ, რადგან ეს განვითარების პოლიტიკა არაა და, ადრე თუ გვიან, ჩრდილოეთით თუ დასავლეთით, რომელიმე დიდი სახელმწიფოსკენ გადახრა მაინც მოგვიწევს.

რაც შეეხება ახალი აბრეშუმის გზას, ეს ძალიან დიდი ხნის პროექტია, რომელიც ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის სახელებს უკავშირდება, თუმცა ჩინეთიდან შემოსული მატარებლის, ასე ვთქვათ, მიღების ცერემონიალზე არც შევარდნაძე ახსენეს და არც – ალიევი. არადა, მათზე ერთი სიტყვა მაინც უნდა თქმულიყო...

— **აბრეშუმის გზა, როგორც ამბობენ, საქართველოს ეკონომიკური სიმყარის საწინდარია. ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანას კი, შეუძლია, პოლიტიკა მასზე ძლიერ სახელმწიფოებსაც უკარნახოს...**

— ვანო, მოდით, ვიწრო ნეიტრალიტეტი და დაბალანსების პოლიტიკა ერთმანეთისგან გავმიჯნოთ.

— **კი ბატონო, გისმენთ...**

— მაგალითად, შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანაა. ჩვენთან კი, უფრო დაბალანსების პოლიტიკის ნიშნები ჩანს. სხვათა შორის, ამ პოლიტიკას აზერბაიჯანი, ასე თუ ისე, უკვე ატარებს, ანუ ცდილობს, ურთიერთობა დასავლეთთანაც დააბალანსოს და რუსეთთანაც.

— **მერე, ამაში ცუდი რა არის?**

— ცუდი ისაა, რომ რუსეთ-თურქეთის კონფლიქტის დროს, აზერბაიჯანს სერიოზული პრობლემები გაუჩნდა – არ იცის, თურქეთის მხარე დაიჭიროს თუ რუსეთის, ანუ ცალი ფეხი რუსეთში აქვს, ცალი კი, – თურქეთში. ამ სიტუაციაში, თუკი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა კიდევ დაიძაბა, აზერბაიჯანი არ გაიჭყლიტება?

— **შეიძლება, გაიჭყლიტოს...**

— ჰოდა, იმ რეგიონში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ნეიტრალიტეტის იმ დოზითა და შინაარსით შენარჩუნება, რომელსაც გვთავაზობენ, შეუძლებელია. ჩვენ ორი დიდი ვეშაპის – რუსეთისა და თურქეთის გარემოცვაში ვართ და გამაგებინეთ, პოლიტიკა როგორ უნდა დავაბალანსოთ?

— **აბა, რა უნდა ვქნათ?**

— უნდა შევეცადოთ, რომ ყველაფერ ამიდან მაქსიმალური სარგებელი მივიღოთ.

— **და ეს „მაქსიმალური სარგებელი“ რა არის?**

— რა და, – პირველ რიგში, ტერიტორიული მთლიანობა.

— **ანუ, მთავარია, ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს და ჯანდაბას, ევრაზიულ კავშირში შევიდეთ?**

— არავითარ შემთხვევაში, თუმცა ყველაფერი ხალხმა უნდა გადაწყვიტოს...

— **სხვათა შორის, პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს ყოფილაო...**

— თუკი ეს კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზა არაა, გამოდის, რომ ზაქარეიშვილმა საქართველოს ისტორია არ იცის! ბოლოს და ბოლოს, 1918-1921 წლები გაიხსენოს, როცა საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ აფხაზეთი და სოჭი კი არა, სხვა ტერიტორიებიც შემოდიოდა, რომლებიც დღეს თურქეთისაა. ნიშანდობლივია, რომ ამას მაშინ ერთა ლიგაც აღიარებდა.

— **ამბობთ, ხალხმა გადაწყვიტოსო. ხალხმა უკვე გადაწყვიტა – რეფერენდუმით, მოსახლეობის უმეტესობა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მომხრეა!**

— კი ბატონო, მაგრამ ამ მიმართულებით „ნაცმოძრაობამ“ და ამ ხელისუფლებამაც ევროატლანტიკურ გზაზე პატარა-პატარა ნაღმები ჩადეს. არადა, ე.წ. რეალპოლიტიკა სხვა რამეა.

— **რა არის რეალური „რეალპოლიტიკა“, ოკუპანტთან მეგობრობა?**

— არა, ოკუპანტთან მეგობრობა არ შეიძლება, ანუ თუკი ურთიერთობის დალაგება უნდათ, იმ პროცესებზე, რომლის ინსპირატორებიც თავად იყვნენ, პასუხისმგებლობა მეზობლებმაც უნდა აიღონ: ყველა აღიარებს, რომ რუსეთის ინსპირაციის გარეშე, საქართველოში კონფლიქტები არ დაიწყებოდა...

— **ბატონო კონსტანტინე, ჩვენში დარჩეს და, რაღაც შეცვლილი მეჩვენებით. ამას წინათ, მითხარით, ტელეფონზე მისმენენო. რა ხდება, რუსებმა ხომ არ გადაგიბირეს?**

— ჩემი „დავერბოვკება“ გამორიცხულია! უბრალოდ, იმას ვამბობ, რომ საქართველოში ბალანსი დარღვეულია. მოდით, რეალურად ვთქვათ, ვინ არიან პოლიტიკურ არენაზე – „ქართული ოცნება“, რომელიც ოფიციალურად დეკლარირებს, რომ პროდასავლურია, მაგრამ მის მიერ მოყვანილი პრეზიდენტი ნეიტრალიტეტის კონფერენციებზე დარბის...

— **„ოცნებასა“ და პრეზიდენტს შორის კომუნიკაცია არ არსებობს...**

— მოდით, რა.

— **რა?**

— ეს სატყუარა თავიანთთვის შეინახონ.

— **ანუ, ეჭვობთ, რომ ეს დაპირისპირება მოგონილია?**

— დიახ, მე ასე მგონია... როცა პრეზიდენტი იმ კონფერენციაში მონაწილეობს, რომელიც ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ეძღვნება, თუკი არ ეთანხმება, მაშინ მთავრობამ უნდა განაცხადოს, რომ ეს მისი პოზიცია არაა, მაგრამ მთავრობას ხმა საერთოდ არ ამოუღია და გამაგებინეთ, როგორაა მთავრობა პრეზიდენტთან დაპირისპირებული?

— **მაინც, ვერ ამიხსენით, პრეზიდენტისა და „ოცნების“ დაპირისპირების თამაში რა საჭიროა?**

— ეს იმას ჰკითხეთ, ვინც ჩვენს „რეალპოლიტიკას“ მართავს.

— **ვინ მართავს?**

— ის ძალები, ვინც ეს ხელისუფლება მოიყვანა.

— **ვინ მოიყვანა?**

— ბიძინა ივანიშვილმა.

— **წეღან, რა ვიცი, საფრანგეთი ახსენეთ...**

— (იღიმება) ბიძინა ივანიშვილი რომელი ქვეყნის მოქალაქე იყო?.. საერთოდ, თუ გინდათ, ევროპის რეალურ პოლიტიკას მიხვდეთ, საფრანგეთსა და გერმანიას უნდა შეხედოთ: ამ ქვეყნების მთელი ძალისხმევა იქითკენაა მიმართული, რომ აზერბაიჯანთან საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდეთ.

მოკლედ, შემიძლია, ვთქვა: რუსეთი კარზეა მომდგარი – 2016 წელს წვრთნების ჩატარებას აპირებს.

— **სად?**

— კავკასიაში, ჩვენს საზღვრებთან, რომელიც 2016 წლის სექტემბერში დაიწყება და თვენახევარი გაგრძელდება, ანუ ეს წვრთნები საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს ემთხვევა. ეს არჩევნებზე ზეგავლენა და იმ პოლიტიკური ძალების მხარდაჭერაა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლას აპირებენ... ერთი სიტყვით, ძალიან რთული ვითარებაა და ეს ვითარება „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ ერთობლივი ქმედების შედეგია... სხვათა შორის, რუსეთი აპირებს, როგორც კი ვიზალიბერალიზაციას მივიღებთ, საქართველოს უვიზო რეჟიმი შემოიღოს, რაც პრორუსულ განწყობებს კიდევ უფრო გაზრდის...

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

**(თემის გაგრძელება იქნება)**

## სტოპკადრი

# თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება

14 დეკემბერს, უმაღლესი განათლების ავტორიზაციის საბჭომ თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესადმინისტრირების ინგლისურენოვან პროგრამას ავტორიზაცია მიანიჭა.

აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის საშუალება ექნებათ როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებს.

„ამ პროგრამის ავტორიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე კონკურენციის პირობებში, რაც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს, მოიზიდოს სტუდენტები უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან, – აცხადებს თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სოლომონ პავლიაშვილი.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი რამდენიმე თვის წინ, ირანის საელჩოს უშუალო მხარდაჭერით, ირანის ისლამური სახელმწიფოს განათლების სამინისტროს მიერ იქნა აღიარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოდან აღიარებულ ხუთ უნივერსიტეტს შორის მოხვდა.

„ყოველივე ამან უნივერსიტეტს მისცა სტიმული, ეს პროგრამა მოემზადებინა. ვფიქრობთ, მაქსიმალურად მოვიზიდოთ სტუდენტები ირანიდან, უშუალოდ ფერეიდანიდან, ასევე, აფრიკიდან, პაკისტანიდან, ინდოეთსა და სხადასხვა ქვეყნიდან. საამისოდ გვაქვს შესაბამისი ბაზა, როგორც თბილისში, ასევე, სიღნაღში. გარდა ამისა, შეგვიძლია, უცხოელი სტუდენტები საერთო საცხოვრებლით უზრუნველვყოთ“, – აცხადებს სოლომონ პავლიაშვილი.

№ 49 (314)
16 - 22 დეკემბერი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

იუბილე მარადიულში

# ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი



ბებერი მუხა აღერღილი იყო. უკანასკნელი ფოთლები რა ხანია რცხილებსაც დასცვივდათ, წიფლებსაც, თამელებსაც. თვით ისიც, დაკორძილი, ათას ჭირ-ვარამში გამოვლილი მუხაც, შავად იყო ალანძული, მისი სქელი გალაქულივით პრიალა ფოთლები ძირს იყვნენ დაფენილნი და ხანდახან თუ შეთრთოლდებოდნენ ნიავის წამობერვაზე, კბოდეზე გადმოზნექილი ნეკერჩხლის ერთი დიდი ფოთოლი კი მხოლოდ ოდნავ მოღუნულიყო და წითლად ღუდღუდებდა ტყის ბინდ ჰაერში. მუხამაც, ხევში მიმავალმა მომწვანო წყალმაც, მსუქანმა მაჩვმაც და დიდთავა ბუმაც იცოდნენ, რომ ნეკერჩხლის ფოთოლი ვიღაცას თუ რაღაცას ელოდა.

— ვის ელი, შე საბრალოვ! — შელიკლიკებდა ქვემოდან წყალი, - ჩამოდი ჩემთან, თუ შენიანებზე ნაწყენი ხარ, ქვემოთ წაგიყვან, ულამაზეს ადგილებს გაჩვენებ და, სადაც მოგეწონოს, იქ დარჩი.

მაგრამ ფოთოლი ხმას არ სცემდა წყალს.

გამოვიდოდა ყოველ დილა მსუქანი მაჩვი, ღრმად ჩაისუნთქავდა სუსხიან ჰაერს, დაინახავდა ნეკერჩხლის წითლად მოღუდღუდე ფოთოლს, ზიზღით შეიჭმუხნიდა ქონიან დინგს და აბუზღუნდებოდა თავისთვის:

— ნეტავ ვის ელის ეს ტუტუცი, არ ურჩევნია, თავისიანების გვერდით იყოს?!

— მუხას კი ის აბრაზებდა, ჯანსუსტი, ყოველგვარ ხმაურზე მოცახცახე ფოთოლი როგორ იძენდა მისთვის გაუგებარ სიმტკიცეს.

მოდიოდა წვიმა, უბერავდა ქარი, ეხლებოდნენ ტოტები ტოტებს; რამდენჯერმე ჭირხლმა ძვალრბილიანად გათანგა ყველაფერი, ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი კი ისევ მოლოდინით იყო სავსე და მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად ეღუნებოდა მხრები.

ერთ დღეს ცა ზამთრისპირულად მოქუფრუშდა.

დაუბერა ცივმა, ნოტიო ნიავმა. მთელ დღეს იქროლა. მერე ნიავი ჩადგა და წვიმა წამოვიდა. იწვიმა შუაღამემდე, შუაღამის შემდეგ კი წვიმა თოვლმა შეცვალა. როცა გათენდა, ტყე თითქოს ფიქრიან ბურუსს წაეღო სადღაც შორს. ხეების წვიმით გაშავებულ ტოტებს რბილი, ფაფუკი თოვლი დასდებოდა, ჟანგისფერ მიწას თეთრი, ფუმფულა საბანი გადაჰფარებოდა, კბოდეზე გადმოზიდული ნეკერჩხლის წითელი ფოთოლიც თოვლით იყო დამძიმებული, მაგრამ ის მაინც ისევ მტკიცედ ეკიდა ტოტის ბოლოზე და ისევ ვიღაცას თუ რაღაცას ელოდა.

— ჩამოდი, შე საცოდავო! — დაუძახა ქვემოდან წყალმა, — ჩამოდი, სანამ ყინულს არ შევუბოჭივარ მთლიანად, მაგრამ ნეკერჩხლის ფოთოლი ხმას არ იღებდა.

ბებერი მუხაც ღირსეულად თავდაჭერილი დუმდა.

შუადღისას მზე გამოვიდა. ნეკერჩხლის ფოთოლს თოვლი ჩამოადნა.

ჩამოდნა თოვლი ხეების ტოტებიდანაც. ტყეში ისმოდა ჩამოშავებული ლეშისა და მსხვილი წვეთების ხმელ ფოთლებზე დაცემის ხმა. მიწაზე დაგებული თოვლი ქაფქირივით დაიხვრიტა, მაგრამ საღამო ხანზე ხმები ისევ შეწყდა. მთების წვერებიდან ყინვა ჩამოვიდა, ლურჯად ჩამოდგა ტყეში. გაჩუმდა წყალიც. გაჩუმდნენ ფრინველებიც. მიდამო მოიცვა სინათლესთან გაყრის იდუმალმა სევდამ...

და, აი, ამ დროს მინასავით უძრავ ლურჯ ჰაერში ბებერ მუხასთან შემოვიდა ხარირემი. ის ყველამ მაშინვე შეამჩნია, ყველა გაიცქაფა, თითქოსდა თითისწვერებზე შეადგნენ ერთმანეთს უკან. ხარირემი, მოწყენილი, მაგრამ ზვიადი, ნელ-ნელა მოდიოდა. ხანდახან შეჩერდებოდა, ყურებს შეატოკებდა, ნესტოებს დაბერავდა და ისევ წავიდოდა, - თოვლშერჩენილ მიწას შავად აჩნდებოდა მისი შუაზე გაყოფილი ნაფეხურები. ჩავიდა ხევში, პატარა ხანს წყალს დაეწაფა, მერე თავი ასწია და გაკვირვებული დარჩა. კბოდეზე გადმოზიდულ ნეკერჩხალს ერთი დიდი წითელი ფოთოლი შერჩენოდა და ის ფოთოლი თრთოდა, ცახცახებდა; ნიავი არ იძვროდა, ისე თრთოდა და ცახცახებდა. ირემმა კისერი წაიგრძელა და კიდევ უფრო გაკვირვებული შეაჩერდა.

მაშინ ფოთოლი მოწყდა, წამოვიდა ფარფატით, წამით თითქოს ჰაერშიც კი შედგა, მერე მოეშვა და გულაღმა დაეცა თოვლზე — წითელი, უსასოო, ირემმა დრუნჩი მიუახლოვა, წინა ფეხიც ასწია, უნდოდა, ჩლიქი წაეკრა, გადაებრუნებინა, ენახა, რა ფოთოლი იყო ასეთი, მაგრამ ის ისე უმწეოდ ესვენა თოვლზე — სისხლისფერი, სიფრიფანა, ოდნავ მოხრილი მხრებში — ფეხი დაუშვა, მორიდებით შემოუარა, რამდენჯერმე შედგა, მოიხედა. რაღაც საოცარმა ნაღველმა შეიპყრო, თავი ასწია და ამოიბღავლა.

ზამთრის პირის გარინდებულ ტყეში გლოვის ზარივით ისმოდა ხარირემის უდროული ხმა. აქამდე უძრავი ლურჯი ჰაერი ზანზარებდა, თრთოდა.

ყოველივე ეს ბებერმა მუხამაც დაინახა, აი, თურმე ვის უცდიდა ნეკერჩხლის დიდი წითელი ფოთოლი! აი, მრავალსაუკუნოვანი სისულელის კიდევ ერთი სურათი. იცნობდა ასეთ რამეებს ბებერი მუხა!.. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ერთი სურვილით იყო შეპყრობილი: უნდოდა, მასაც ხარირემივით აეწია თავი და დაებღავლა, დაებღავლა ისე, რომ ტანი აჰბურძგლოდათ გაშტერებით მდგარ წიფლებსა და რცხილებს. ეს არ შეეძლო, და იდგა ჩუმად, კვირტებს უბეები ნელ-ნელა ევსებოდა წვეთებით. ეს წვეთები იყო მისი ცრემლი..

**რევაზ ინანიშვილი**

## რეზო ინანიშვილი — ჩვენი დიდი მწერლობის ბრწყინვალება

**ერთ სამმო სუფრასთან რეზო ინანიშვილი ვადღეგრძელე და ვუთხარი:**

**— კეთილგონიერება მოყვასთა სარგებელია, ერთგულება კი, სიყვარულიდან მოდის.**

**თავმდაბალმა რეზომ ძმისგან მიიღო ჩემი სიტყვები და უმალ მიპასუხა:**

**— ჩემო ჯანსუღ, ამ სიტყვებს დავიმახსოვრებო.**

**ჩვენი დიდი მწერლობის მართლა ბრწყინვალება — რეზო ინანიშვილი მკითხველისგან აღიარებული იყო, თავად კი, ჩრდილში გახლდათ. იქნებ, სწორედ ამ ჩრდილმა გამოამზეურა მისი ნიჭიერება?!**

**20 დეკემბერი რეზოს დაბადების დღეა — 89 წლის გახდებოდა.**

**მიხარია, რომ ხალხს ახსოვს რეზო ინანიშილი.**

**ახლა კი, მორიდებით, მინდა, საგარეჯოს გამგეობას შევუძახო:**

**მეგობრებო, ხაშმში, რეზო ინანიშვილის სახლი თითქმის დანგრეულია, ააშენეთ და მუზეუმად აქციეთ დიდი მწერლის შენობა!**

**გაუმარჯოს რეზო ინანიშვილის დიდ ოჯახს!**

**დიახ, ყველანი ამ წუთისოფლიდან იქ, მარადიულში ვულოცავთ დაბადების დღეს და „ქართული სიტყვა“ რეზოს ერთ პატარა მოთხრობას გთავაზობთ.**

**ჯანსუღ ჩარკვიანი**




საზოგადოება

# მუსიკა და წიგნები, რომელთაც ეკლესია კრძალავს

**მართლმადიდებლური ეკლესია უამრავ რამეს კრძალავს — მუსიკას, წიგნებს, ოპერაციებს და ასე შემდეგ. განმარტება, ამას რატომ აკეთებს, მოკლე და კონკრეტულია: „ყველაფერი ეს ეშმაკისეულია“. ზოგი ამას უთქმელად ემორჩილება, ზოგს კი, ეს განმარტება არ აკმაყოფილებს... „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას მამა მარტინი, რომელიც ქეთევან წამებულის ეკლესიაში მოღვაწეობს, ამბობს, რომ ეკლესია კი არ კრძალავს, არამედ, გვიხსნის, თუ რა არ შეიძლება. „მაგალითად, სატანისტურ, ანუ როკ-სიმღერებში ყოველთვის სალანძღავი სიტყვებია. ამიტომ, ეკლესიისთვის ეს მუსიკა მიუღებელია. ამ დროს ადამიანის „მე“ იკარგება და იმ ინსტიქტების მარიონეტი ხდება, რომლებსაც ცხოველურ ინსტინქტებს დავარქმევდი“, — განმარტავს სასულიერო პირი.**

როგორც მოძღვარი ამბობს, ეს მუსიკა შამანურ-ეზოთერულ ხასიათისაა, რიტმები კი, გარკვეული ოკულტური ორდენების — დაწყებული მასონური ორდენებით, დამთავრებული სექსუალური მაგიის თანამედროვე მიმდინარეობით — მიერაა ინსპირირებული.

„შესაბამისად, ეკლესიისთვის ყველაფერი ეს დაუშვებელია, რადგან ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობას. ისე, ეკლესია წიგნებსაც კრძალავს, მაგალითად, „ჰარი პოტერის“ წაკითხვას, რადგან ის არაქრისტიანულ მოტივზეა დაფუძნებული — წიგნში ასახულია მაგია, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენს სარწმუნოებას. მისი წაკითხვის შემდეგ, შესაძლებელია, ვინმეს ცოცხებით ფრენა მოუნდეს, ან მანტიებით მდინარიდან გადახტომა...

დღეს უამრავი ადამიანი იკეთებს პლასტიკურ ოპერაციას, მაგრამ ოპერაციასაც გააჩნია... ღმერთი ადამიანს უნაკლოს ბადებს — მას ყველაფერი აქვს: ყური, თვალი, კიდურები, ანუ ადამიანი უკვე გამშვენებულია და მისი აგებულება იდეალურია, თუმცა ზოგჯერ ადამიანი ნაკლით იბადება და, უნდა ითქვას, რომ ეს ღმერთის კი არა, გენეტიკის ბრალია, რადგან ადამიანის გენეტიკა დამახინჯდა.

როცა პირველმა ადამიანებმა შესცოდეს, წუთისოფელში შემოვიდა სიკვდილი, ხრწნილება, ადამიანისა და მთელი სამყაროს დაცემა. ამიტომაც იბადება ადამიანი ნაკლით და ეს შეიძლება იყოს მშობლების, ან მისი უახლოესი წინაპრების ბრალი. შეიძლება, მათ ჰქონდათ რაღაც ხინჯი და ის გადავიდა გენეტიკურად, რისი გამოსწორებაც შეიძლება პლასტიკური ოპერაციით. დანარჩენ შემთხვევაში კი, ეს დაუშვებელია ისევე, როგორც ტატუ-ს გაკეთება, ან აზარტული თამაშები!

ადამიანები ხშირად ისეთ ადგილას იკეთებენ სვირინგებს, რომ სხვებისთვის გახდეს საცნაური, ანუ გამოსაჩენი, თუმცა ისეთ ადგილებშიც იკეთებენ, მაპატიეთ და, თუ არ გაშიშვლდა, არ ჩანს. ძირითადად, მაინც ისეთ ადგილებში კეთდება ტატუ, რომ სხვებმა შეამჩნიონ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანს აქვს საკუთარი თავის რეალიზების პრობლემა. ეს, შეიძლება, გამოიხატებოდეს სულიერებაში, ურთიერთობაში... თუ ასეთი ადამიანები კარგად დაუკვირდებიან საკუთარ თავს, მიხვდებიან, რომ სულის სიღრმეში რაღაც პრობლემა აქვთ, ანუ სჭირდებათ, ვიღაცას თავი მოაწონონ, გახდნენ მისაბაძები და თუნდაც ამ დეტალის გამო, მათზე ყურადღება უფრო მეტად გაამახვილონ.

მართლმადიდებლური ეკლესია ყველაფერში ზომიერების დაცვას გვასწავლის: ლოცვაში, ყოფით ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში, სწავლაში, შემეცნებაში, რათა ადამიანი არ გადაიწვას ფიზიკურად და სულიერად, არ მოხდეს გაორება, რასაც საეკლესიო ენაზე ხიბლი, საკუთარი თავის განდიდების მდგომარეობა ჰქვია“, — ამბობს მოძღვარი.

**მოამზადა ქრისტინე ჟორჟოლიანმა**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული სიტყვა

16 - 22 დეკემბერი 2015

№ 49 (313)

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

პოეზია

# სტეპის ოდისეა

# მანასი

**ყოველ ერს აქვს თავისი მთავარი წიგნი, ქვეყნის უკვდავების ნიშანსვეტი. ყირგიზი ხალხისთვის ასეთია ეპოსი „მანასი", რომელსაც იუნესკო-მ „სტეპის ოდისეა" უწოდა. მე-11 საუკუნის შედევრი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ქართული სიტყვა" პირველად გთავაზობთ პოემის ქართულ ვარიანტს, რომელიც მაყვალა გონაშვილმა თარგმნა.**



**მანასი — სტეპის ოდისეა**

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა" №41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48)

უთხრა: იცით, რომ ფერღანას
ალოოკე მართავს დღემდე,
კიდევ დიდხანს მოვუთმინოთ
გულმხეცობა, სითავხედე?
კარგად იცით, ალოოკე
ბოროტებით ავად არის,
ჩვენ ვგონივართ ცხვრის ფარად და
ჩვენი მწყემსი თავად არის.
როცა უნდა ჯოხს გადაგვკრავს,
ამოგვხოცავს, როცა უნდა,
ჩვენი ასე მორჩილებით
გაყოყოჩდა, გადიდგულდა.
ალოოკეს ჩირად ულირს
ჩვენი ხალხის გასაჭირი,
მე თავისთან მიხმო ხანმა,
ვით მსახური ყურმოჭრილი.
გულისყურით მომისმინეთ,
მოგიწვიეთ, გეტყვით რაზე,
მეგობრებო, უნდა ერთად
გავილაშქროთ ფერღანაზე.
გვეყო, რაც ჩვენ ჩინელების
ფეხსაცმელი ენით ვლოკეთ,
ფერღანადან გავაქციოთ
თავგასული ალოოკე.
ჩუბაკმა თქვა, გმირთა-გმირმა
ვაჟიშვილმა აკბალტბაის,
მშობელ მიწის ერთგულება
ჩვენი, ყველას ვალი არის.
მტრის უღელი მოვიშოროთ,
იცით, არის უფლის ნება,
გულის გულზე გვაწერია —
სიკვდილი ან გამარჯვება.
ამ მიწის და ცა-ფირუზის
ჩვენ სიცოცხლით ვალი გვადევს„.
საბრძოლველად ხმა ნაღარის
უხმობს დილით გოლიათებს.
გაიხედა ალოოკემ,
ეს რა დილა თენდებაო,
რა ხმებია საზარელი,
გულს რა ცეცხლი მედებაო,
ამ ღრიალზე ჭაბუკიც კი
შიშით ჩამობერდებაო.
გოლიათთა სიმძიმისგან
დაიწიეს ქედებმაო.
ჩემსკენ მოჰქრის გველეშაპი,
დააბნელა მთა-ბარიო,
კარგად ვხედავ, მე უბედურს,
მელის ბედი საზარიო,
ქალაქს მოდგა ერ-მანასი,
მიწამ იწყო ზანზარიო.
ფიქრობს ხანი, დროა უკვე,
ჩემს საგანძურს ხელი ვკიდო,
ჯორ-აქლემებს ხურჯინებით
ოქრო-ვერცხლი გადავკიდო,
სანამ თავი შემრჩა მხრებზე
ლაშქარს დროზე გავერიდო,
თუ გადავრჩი, უფალს მადლი
შევწირო და განვადიდო.

●

უკან დარჩა თურქესტანის
მშვენება და სილამაზე,
მიიჩქარის მხედრიონნი,
დააყენა ბუქი გზაზე.
სავსე არის ხურჯინები
ოქრო-ვერცხლით, ფარჩეულით
უხვად მიაქვთ ბეწვეული
საგანგებოდ არჩეული.
რაზმს წინ ალოოკე უძღვის,
ჩინეთისკენ მიდის ხანი,
მიჰყვებიან მსახურები
და ქალები ჰარამხანის.
თავის რაზმით ერ-მანასი
ალოოკეს დაეწია,
გაულახა დამცველები
და შავი დღე დააწია.
დაიჩოქა ალოოკემ,
ოღონდ პირში შერჩეს სული,
ისე ველარ ამპარტავნობს
ბაქია და თავგასული.
უთხრა: მანას, დღემდე შენი
ვიყავ მტერი, არ ვმალავო,
ჩემს სიტყვაზე ბზრიალებდა
მლიქვნელების ამალაო.
დაჩოქილი ვდგავარ შენს წინ,
დავრჩი დარდის ამარაო,
თუ მაჩუქებ მე სიცოცხლეს,
ან ხო მითხარ, ან არაო.
ბევრი ცოდვა მადევს მხრებზე,
ერ-მანასო, იცი ესეც,
ბევრი მოვკალ, დავიმონე,
ბევრი ქალიც ავაკვნესე.
დავამძიმე დედამიწა,
ჩემი ცოდვით სავსე არის
თუ არ მოჰკალ, შენ მოგკლავენ,
ეს ცხოვრება ასე არის.
ბედისწერის ხრიკებს კაცი
უნდა დახვდე მამაცურად,
ამ ცხოვრების მღვრიე ტალღებს
ძლიერი თუ გადასცურავს.
შემიწყალე, გმირთა-გმირო,
მრისხანება დაიოკე,
მანას, მძევლად დაგიტოვებ
ჩემს ვაჟიშვილს — ბოიოკეს.
— საუკუნოდ განმედევნე
მსურდა ჩემი მიწა-წყლიდან,
მართალს გეტყვი, შენი ასე
თავმდაბლობა გამიკვირდა.
მომწონს, ხანო, შენი ქცევა,
შენი ბრძნული ნაუბარი,
ვიცი, ჯიქურ რომ შემყროდი,
უკვე, იქნებოდი მკვდარი.
მე სიცოცხლე მიჩუქნია,
ორ დღეს გაძლევ, ხანო, ვადას,
თვალით აღარ დამენახო,
წადი ჩქარა, ფერღანადან.
ალოოკეს მხედრიონმა
დაიძახა: „მანასს ვაშა!"
ოქროს ხმალი და ქარქაში
ხანმა მანასს უფეშქაშა.
ეს ერთი დღეც გაილია,
უკვე მთებზე წვება ბინდი,
წვეთი სისხლიც არ დაღვრილა
ალოოკე ჩინეთს მიდის.
დღე იყო თუ ღამე იყო,
ცხრა მთა-ველი გადიარა,
ბეიჟანში მამას ელის
კონურბაი — ნაბოლარა.
მამას უთხრა: — ერ-მანასის
გამარჯვებამ გამამწარა,
არ დავინდობ მე ბურუტებს
დამცირება ჩვენი კმარა.
„ე, ჭაბუკი კინურბაი,
საყვედურობ მოხუც მამას,
თვალითაც არ გინახია,
შვილო, შენ არ იცნობ მანასს.
ვეაჯე და ვებოდიშე,
პირში მიტომ მიდგას სული,
ელვასა ჰგავს ერ-მანასი,
ციდან რისხვად ჩამოსული.
დამავიწყა მისმა ხილვამ
სიჩაუქე, სიმამაცე,
ჭაბუკი ხარ, წადი მტერი
დააჩოქე, დაამარცხე.
რომ ამევსოს გამარჯვების
სიამაყით ისევ გული,
დამიბრუნე, ჩემო ვაჟო,
მე დიდება დაკარგული.
თვალს არიდებს მოხუც მამას,
ბრაზს იოკებს კონურბაი.
მალე ცეცხლად აენთება
სიძულვილის ნაპერწკალი.

**ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაამარცხეს ყირგიზებმა ავღანელი ხანი შოორუკი**

იქ სამხრეთში წევს ალაი,
ველ-მინდვრებით, დიდი მთებით,
გვერდითაა ავღანეთი,
იქ ცხოვრობენ პუშტუნები.
შოორუკი მმართველია
მაიმუნდუკების გვარის.
გულფიცხი და გულზვიადი
ყირგიზთათვის რისხვა არის.
საწყლებს როდი შეარჩინა
საქონელი, ფარა, რემა,
გადაწყვიტა ყირგიზების
მორჯულება, დამონება.
ურჩობას და შერკინებას
გაუბედავს ვინმე თუკი,
ბუდიანად ამოჟლიტავს
ავი ხანი — შოორუკი.
სამი ვაჟის, ორიც ქალის,
ხუთი შვილის მამა არის
და უფროსი აკილაი
ავღანეთის თვალი არის.
სიხარული დედისა და
სიამაყე მამასიო,
ტოლ-სწორებში რჩეულია,
ვით კენჭებში ალმასიო.
ბრძენია და გულმოწყალე,
განა მარტო ლამაზიო.
ერთხელ დილით აკილაიმ
გაიღვიძა, მამას უხმო,
ავს რად მიგრძნობს, მითხარ, გული,
ნუ დამტოვებ უპასუხოდ.
თითქოს ამყვა მე უჟმური,
მომერია თითქოს შიში,
მოგიყვები, მამაჩემო,
რა მეზმანა წუხელ ძილში.
თითქოს მოსწყდა ცას ვარსკვლავი
ჩამოეშვა შავი ფარდა,
მე მივყავდი მამი, მეწყერს
და მშველელად არვინ ჩანდა.
თითქოს წყალში ჩემს საშველად
ჩამოუშვა ღმერთმა თოკი,
ვხედავ, მოაქვს ნიაღვრის წყალს
ჩემსკენ ოქროს ჭადრის როკი.
უცებ წყალში შენც დაგლანდე
ვერ პოულობ, ვხედავ საშველს,
და მორევი ნაფოტივით
გატრიალებს, გათამაშებს.
შავ წყალს მიაქვს საქონელიც,
ხალხს მიათრევს, როგორც ლოდებს,
ერთი ხელი როკს ჩავჭიდე
და საშველად მოგაწოდე.
რას გვაუწყებს ეს სიზმარი,
რას გვიპირებს ნეტა ბედი,
ავს რად მიგრძნობს ნეტა გული,
რად ამევსო სული სევდით?
ვხედავ თავი მოგაბეზრე,
გავიკრიფე ქალი ენად,
მხოლოდ ერთს გთხოვ, ალაიზე
არ წახვიდე საბრძოლველად.
არ დაკარგო, მამი, ტახტი,
გთხოვ, მტერი არ გაახარო,
შეგვიბრალე შვილები და
გაუფრთხილდი შენს სახანოს.
მამამ უთხრა: — „ჩემო მზეო,
რაზე დარდობ, რატომ ტირი,
სულ ტყუილად მოგენისლა
ეგ ყირმიზა სახე-პირი,
რისი შიში, რა სიზმარი,
რა წყალი და რა ნაპირი
მანასს უნდა შევუსრულო
დანაკვეხარ-დანაპირი.
ალაიზე წავალ ომით,
მეშინოდეს ნეტა რისო,
ოქროს როკი ნიშანია
ტახტისა და დიდებისო...
ვინა გდია ერ-მანასი,
არ მეყოფა, ვიცი, ლუკმად!"
და ჯარები საბრძოლველად
წაიყვანა შოორუკმა.
ის, რაც მოხდა ალაიზე
არ დაგლლით და გეტყვით მოკლედ,
გააქციეს ხანის ჯარი,
ბევრი დაჭრეს, ბევრიც მოკლეს.
ზოგი ტყეში გაიფანტა,
დაიმალა ზოგი მთაში,
კინაღამ არ დაიღუპა
შოორუკი ამ ბრძოლაში.
დაიბარა აკილაი,
უთხრა: — „რად არ დაგიჯერე,
ის ბურუტი ერ-მანასი,
ნეტავი რად გადვიმტერე.
საბრძოლველად მაინც წაველ,
ავს გიგრძნობდა თუმცა გული,
ის მეწყერი მანასია
მრისხანებით ავსებული.
არ დაინდობს დიდ-პატარას,
ავი ბედი გველის ყველას,
ღვარცოფივით გადაგვივლის
წაგვლეკავს და გადაგვთელავს.
და გაიხდის ჩვენს ასულებს
ზოგს ხარჭად და ზოგსაც მონად,
მხოლოდ შენ თუ გვიხსნი, შვილო,
უნდა მანასს გაჰყვე ცოლად".
„მამი, ჩემი ხალხისათვის,
არ დავზოგავ, იცი თავსო,
მაგრამ თქვენი ერ-მანასი
თვალითაც არ მინახავსო.
ერ-მანასს და მის მხედრიონს,
თუ გსურს, თავბრუ დავახვიოთ,
თუ გსურს, ისე ავათრთოლოთ,
ვით ნიავზე ბალახიო,
თუ გსურს, ჩვენი სილამაზით
დავუბნელოთ თვალებიო,
ავარჩიოთ, მამაჩემო,
მშვენიერი ქალებიო.
სახე ჰქონდეთ მზის სადარი,
ტანი ჰქონდეთ საროსიო,
შევურჩიოთ მძივები და
აბრეშუმის სამოსიო.
ნელსაცხებლით დაუზილონ
ხელები და ფეხებიო,
მათ ნახვაზე მეომრები
ძრთოდნენ, როგორც ვერხვებიო.
გავამრავლოთ ოჯახები,
კერია არ გავაციოთ,
ჩვენი სიტყვით, საქციელით,
მტერი მოყვარედ ვაქციოთ.
შეარჩიეს ქალწულები,
ოცდაათი გადათვალეს.
როგორ მშვენობს ვარსკვლავთ გუნდი,
აკილაი არის მთვარე.
თავდახრილი მიდის ხანი
გულზე ხელებდაკრეფილი.
უკან მისდევს მას მორჩილად
ოცდაათი ქალიშვილი.
მოიყარა ტახტთან მუხლი,
შოორუკმა უთხრა მანასს: —
სისასტიკე, ბოროტება,
მაპატიე, როგორც მამას.
სიფიცხით და გულდიდობით,
რა შეგცოდე, ახლა მივხვდი,
ვინც ბრძოლაში შემომაკვდა,
ქალწულებით კუნუს ვიხდი.
გვეყო, დღემდე რაც დავხოცეთ
ერთმანეთი უმოწყალოდ,
ჩვენი მოდგმით, ჩვენი სისხლით
დე, კავშირი გავამყაროთ.
ან მაცოცხლე ან მომკალ და
მონობისგან დამიხსენი,
აი, ჩემი პურ-მარილი,
ჩემი ხმალი და კისერი.
დაბნეულა ერ-მანასი,
ვერ აბრუნებს კაცი ენას,
როგორც დათვი დაბაჯბაჯებს
ალეწილა, შფოთავს, ღელავს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

№ 49 (314)
16 - 22 დეკემბერი 2015

ქართული სიტყვა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

■ ■ □ პროზა

# ფალესტრა

## გრიგოლ რობაქიძე

**(დაუმთავრებელი რომანი)**

**(დასასრული. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48)**

პელეტიეს ეცნაურა კიდევ ერთი რამ, ვიოლინი არ სცილდებოდა ამ ორკესტრში თავის მელოდიას, როიალი კვალავდა რიტმულ და ჰარმონიულ ფუძეს, ხოლო კლარნეტი სწყვეტდა შიგადაშიგ თავის მელოდიას ხალისიან ამრგვალებით და თავგასული ცელქობით. საკრავების უმრავლესობა ორკესტრში კლარნეტს ჰბაძავს, – შეამჩნია პელეტიემ. ყოველ საკრავს თითქო თავისი მელოდია მიჰყავს, მაგრამ იმავე დროს ერთგულია საერთო გეზის – სწორედ ისე, როგორც საქართველოს კუთხის, გურიის, საოცარ სიმღერას, რომელსაც პელეტიე გაეცნო გრამაფონის ფირფიტებით). თავსა–ჰყოფს განსაცვიფრებელი ქმედება უცებური (*იმპრივიზაცია). ყოველი საკრავი, ყოველი ტონი, ყოველი ჩასუნთქვა თუ მოსმა თუ დარტყმა–თავისკენ იწევს, ხტის და უხვევს, მაგრამ არც ერთის არც ერთი გადახვევა არ იქცევა „გადაცდენად“: ყოველი მათგანი მთელს უბრუნდება, როგორც მამას თუ დედას, როგორც თავის საშოს. პელეტიე დაიპყრო ჯაზის იმპროვიზაციულმა დენამ, ლენნოკს – ავენიუზე, მან მოისმინა მომღერალი ქალი, ზანგი. ქალი მღეროდა ერთსა და იმავე მელოდიას, ორკესტრი საფენელს უშლიდა, ქალიც იმპროვიზატორობდა და ორკესტრიც. კიდევ მეტი: ქალი ორკესტრში უშვებდა თავის შთაგონებას და ორკესტრიც თავს ეხვეოდა ქალს თავისი ატეხილობით. ასე: სიმღერა, ქცეული საკრავად, თითქო თავის თავს უბრუნდებოდა, იგივე ხდებოდა, როცა პელეტიე მოცეკვავთა და ორკესტრის „შებმას“ უცქერდა. და იყო ყველგან: მიწის სიხალისე და ავხორცობა. ხანდახან ამ სიხარულში სევდა შემოიჭროდა: სიმღერა „ბლიოზ“ (ბლუეს), მელანქოლიური სუნთქვა დიდი ქალაქების, იშვიათი, მაგრამ ფიცხელი და ბასრი. აქ მელოდია გატიტვლებული გამოდიოდა, რომელსაც არხევდა თუ არწევდა უმჩნევი რიტმიული ხაზი, ოდნავ კვეთილი და წამახული. მოეწონა პელეტიეს ბრაგამის „იმეჰოუსე ლუეს“. მოისმინა ოპერეტებიც: „შჰუფფლე ალონგ“ საიზელის და ბლეკის და „ლიზა“ პინკარდის. ყველგან ესმოდა ერთი და იგივე: გამოტოვებანი (ცჰაპპეს), დისსონანსები პასსაჟებში, გატეხილი აკკორდები თუ დატეხილი, არპეჯიები, კაზმულობანი, ორნამენტაციები, ასხვავებანი, დანელებანი, დასქელებანი ტემბრების, გაჯგუფებანი და შეერთებანი სხვადასხვა წყობის ტემბრების, თამაში წინამდეგების (კონტრასტების). და იმავე დროს: მელოდიური სურათის საოცარი რელიეფი, სასტიკი რკვეულობა და კვეთილობა, დაძაბული და დაოკილი კლაკნილი და ხვეული, ლითონური მთლიანობა, -და ყველგან: სინკოპა, სინკოპა, მუხლ-მოშვება, ოდნავი შეჩერება, ხტილის ამოვარდნა, თავის შეყენება, სინკოპა, ეს საოცარი ბგერა მოკლე ნოტაზე თუ პაუზაზე, რომელიც კიდევ უფრო აგიჟებს, ახელებს, ღეზებს რიტმულ მოხეთქილ დენას, -და ბოლოს: ემოციური ავსილობა და ფიზიკური ტკბობა.

პელეტიეს წინ დიდი საცდური აიმართა. ულალატოს ევროპის მუსიკას და გაჰყვეს შავკანიანების ახურებულ რიტმებს!? მაგრამ ხომ ეზიარენ ევროპიელი კომპოზიტორები ზანგების სისხლს?! მაგალითები. ალფრედო კაზელამ თავის „ხუთ პიესაში სიმებიანი ორკესტრისათვის“ გამოიყენა ვენის ვალსი და ფოკრს ტროტი. ორიკის „გამოთხოვება ნიუ იორკთან“ და ერიკ სატის „პაკეტბოდ პარადზე“: აქ „რაგ-ტაიმის“ ელემენტები გახსნილია სიმფონიურ რკალებში. იგორ სტრავინსკიმ თავისი „პიანო რაგ მუსიც“ რაგის რიტმულ ელემენტებზე ააგო კონცერტულ პიესად (როიალისათვის). ჟან ვინიერის „ასინკოპებული სონატინა“, დაწერილი სონატის ფორმით, შემადგენელ ელემენტებს ჯაზიდან იღებს. და მრავალი. პელეტიეს აღარ ეშინოდა შავკანიან საცდურის.

როცა მისტერ ლეიკმა მიმართა, პელეტიეს უკვე ჰქონდა გამზადებული რამოდენიმე მუსიკალური პიესა „ჯაზური“. „რაგ რევუე“: ეს სახელი დაარქვა ლეიკიმ მუსიქჰოლლს, რომელიც მან მაკ კოლახის დახმარებით გამართა - (ლეიკ ბროდვეიდან იცნობდა კოლახს). პელეტიემ ჯერ ორკესტრი შეადგინა. ამ შედგენაში პოლ უატმენის მაგალითით ისარგებლა. განაწესა: სამი ვიოლინი, ორი კონტრაბასი, ერთი ბანჯო, ორი საყვირი (ერთს შიგადაშიგ საკსგორნსოპრანოსათვის უნდა დაეთმო ადგილი), ორი ტრომბონი (ერთი ხანდახან ევფონიუმს უნდა ნაცვლებოდა). სამი ვალტორნი, სამი საკსოფონი (სამი წყობის-სოპრანოდან ბანამდე, დრო და დრო ადგილი უნდა დაეთმოთ კლარნეტებისათვის), ერთი სარრიუსოფონი, ერთი სუზაფონი, ორი როიალი (ერთი ხანდახან ჩელესტას უნდა ნაცვლებოდა), ლიტავრები და სარტყავები. ამ საკრავებს პელეტიემ სამი-ოთხი თარიც დაუმატა, მისტერ ლეიკის რჩევით, რომელსაც ამ ჯადოქარი აღმოსავლური საკრავის ხმა სპარსეთში მრავალჯერ ფიცხელი ტკბობით გაეგონა. პელეტიემ სხვა რჩევაც გამოიყენა ლეიკის. სცენის უკან მან მომართა წყალის შუილი თუ შიშინი. სამხარი ისე მომართული, რომ შიშინი თუ შუილი საჭირო წამს ხან აბორგილიყო, ხან კი დამცხრალიყო, ხან აზვავებულიყო, ხან კი დანელებულიყო.

მაგრამ ბედი რომ გქონდეს, უნდა იყო „გაბედული“. მისტერ ლეიკ გაბედული იყო. მაგრამ არა ბრმად: მის გაბედულობაში ანგარიშს იმდენი ალაგი ჰქონდა მიკუთვნილი, რამდენიც ალღოს. არც მეტი, არც ნაკლები. მისტეერ ლეიკ ერთგული იყო თავისი დევიზის და გუმანმა მას არ უღალატა: მუსიკხოლმა გაიმარჯვა მაგრად „რაგ რევუე“ სავსე იყო ყოველთვის. ყველას უნდოდა ენახა სიგარის-ფერი თუ ყავის-ფერი ალესილი ტანები და მათი გახელებული რიტმები. ქუჩებში სტვენდნენ ზანგების ჰანგებს. მღეროდნენ ზანგების სიმღერას. ცეკვავდნენ ზანგების ცეკვას. „რაგ რევუე“ გახდა ყურადღების შუაგული. რადიო ჰფენდა ყოველი მხრით მის გამარჯვებას. გაზეთები სწერდნენ გაცხარებით, ჟურნალები ათავსებდნენ ზანგების სურათებს. მათში გამოირჩეოდა მოცეკვავე ბოდი (ბუდყ). ხშირად ზანგებთან ერთად დასურათებული იყო: ლეიკიც, პელეტიეც, პეტერეციც. „ზანგი“ გახდა პრობლემა: მუსიკაში, მხატვრობაში, რიტმიკაში. „ზანგი“ იქცა კულტურის პრობლემად. მკვლევარნი ათასნაირ უდგებოდენ საკითხს. იყო მიმდევარიც და იყო შემტევიც - „ზანგურის“. შემტევთა ბანაკი უფრო მეტი იყო, ვიდრე მიმდევართა. მაგრამ ლეიკს ეს არ აწუხებდა. „ოღონდ ილაპარაკონ და სულერთია, რას ილაპარაკებენ“: ფიქრობდა გამარჯვებული. ერთ წარმოდგენაზე ერთ მოხუცს აღშფოთებით გული გაუსკდა: გარდაიცვალა. გაზეთებმა მორთეს განგაში. ხრონიკა იმასაც აღნიშნავდა, რომ გარდაცვლილი ენთუზიასტი იყო კლასიკური მუსიკის. მისტერ ლეიკ კი ჩუმად იღიმებოდა: ასეთ რეკლამას მისი ჭრიახი ფანტაზიაც ვერ გამოიგონებდა.

მისტერ ლეიკთან ხშირად იკრიბებოდენ სტუმრები. ეხლაც მასთან ჩაის შეექცეოდნენ. აქ იყო მაკ კოლახ.აქ იყო პელეტიე, აქ იყო კიკო პეტერეც. იყო კიდე რამდენიმე სტუმარი: რიგი ლიტერატურიდან, რიგი მხატვრობიდან, ზოგი თეატრიდან, ზოგი კინოდან. იყო კავალაც. ჟანნეტ სტუმრებს თავს ევლებოდა ხალისით, განსაკუთრებით კავალას (რაღაც გადამეტებულ თავაზით). ლეიკ და მაკ კოლახ შაჰმათს თამაშობდნენ. ლეიკს სურდა, „მაღალ“ სტუმარს მოეგო, რომელსაც იგი, როგორც მაგნატს, ისე უყურებდა. ლეიკ უფრო ძლიერი მოთამაშე იყო, ვიდრე მაკ კოლახ.

საჭირო იყო საკმაო დახელოვნება, რომ ამერიკელს ლეიკის ჩუმი სურვილი არ შეემჩნია. ამაში ლეიკს შეუცნეველ ერთი რამ უწყობდა ხელს: ლეიკს არ ასვენებდა იულიოს კეისარის ნიჭი - ორ საგანზე ერთდროული ფიქრი. აი ახლაც: თამაშობდა შაჰმათს გულდასმით და თანვე ირგვლივ გაჩაღებულ საუბარიდან ერთი სიტყვაც არ ეპარებოდა. არ ეპარებოდა, მაგრამ თამაშში უმჩნევ ყურადღება აკლდებოდა. საუბარი იხვეოდა მრავალი საგნის გარშემო, მაგრამ ბოლოს ისევ ჯაზს უბრუნდებოდა. მოჰყავდათ გაზეთების აზრი. ბჭობდნენ. კამათობდნენ.

ერთი ავტორი სწერდა: ოცი წლის წინად: „მომავალი ქამის“ შესახებ ერთმა მწერალმა იწინასწარმეტყველა. წინასწართქმულის ასრულებას დიდი ხანი არ დასჭირვებია: ქამი მოვიდა უკვე. მოვიდა არა თუ მეტაფიზიკურად, არამედ ფიზიკურად: ქამი მისი ნაშიერით - ზანგით. ნოეს მეორე ძე თხოულობს მემკვიდრეობის ხვედრს. ძია თომას ქოხიდან მოდის ახალი კაცი და ახალი ნათელი. ყოველი მფლობელი (მონების) კალიფორნიიდნ თუ ლუიზიანადან დღეს კლარიჯში ხტუნავს გუშინდელ მონების რიტმებით. ზანგი მოდის ევროპაში თავის ჯაზით. შესაძლოა, მისმა მაგარმა რიტმებმა მართლაც გაანაყოფიერონ ევროპის მოდუნებული ყოფა. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ქამმა შექმნას რაიმე არა-ქამური...

მეორე სწერდა: დააკვირდით ამ ზანგებს. ტანი: თითქო ფლორენციის ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული, რომელსაც ოდენ სიმწვანე გადაჰკრავს. ჩამოსხმული თითქო მითოლოგიურ როდენის მიერ: დახვეწილი, დათასმული, დაოკილი. ყოველი ნაკვთი-ბუნების ლხინი და ყოველი კუნთი-მზის ხალისი. ზანგების გოგოები: ასეთ თასებად აკვრივებულ ძუძუებს ვერ გვიჩვენებს ვერც ჰელლენური და ვერც ეტრუსკული ვაზა. ტორსი ზანგის ტილო, რაღაც სასწაულები. და იმავე დროს: სახე-მახინჯი და საშინელი. ძვალმაგარი ყბა („ყბაჩა“), პირი ხარბად გარღვეული თითქოს ყურებამდე, მსუქანი, ხორცალაშები, ფართო თვალები შავკანიანთა კერპების, ცხვირი ბულდოგის. საოცარი ტანი და შემზარავი თავი. მარტო „ანიმალობა“ (ცხოველობა), მარტო „ვიტა ლობა“ ცოცხლეულობა. სუნიც ხომ უდის მძაფრი ზანგის სხეულს: ოფლიან ცხენს თუ ხარს მუშკი წაუსვა - ასეთია: რასსა-მაგარი. რიტმი-ცხელი. მაგრამ კულტურა? ნუ ვიკითხავთ: ვინ დაიჯერებს „უთავოდ“ შექმნილს!..

მესამე ავტორი თითქო ფილოსოფიურ ყალიბს აძლევდა მეორის აზრს. იგი სწერდა: ზანგებს აქვთ „სული“, მაგრამ არა აქვთ „ჰარი“. (eist, Esprit,). ვეჭვობ, ზანგებს „ჰარის“ გამოსათქმელი სიტყვაც ჰქონდათ. კულტურა კი „ჰარის“ ნაყოფია. ზანგს აქვს გზნება, მართლაც საოცარი. მაგრამ ეს არის „სენსუალობა“.

სხვა არაფერი...

მეოთხე სწერდა: ზანგების რასსა ცხელია. მათი რასისული ელემენტი ცეცხლია: ფიზიკის წვა (ალბათ მისთვის არიან გარუჯულნი და განახშირებულნი). ფიზიკის წვა. მეტი არაფერი. მათი რიტმი და მუსიკა? უთუოდ მაგარი, უთუოდ ველური. ველური - და სხვა არაფერი. ჯაზის რიტმებში: „ხორცია“ და არა „სხეული“. „ხოში“ და არა „ლტოლვა“, „ხურუში“ და არა „ტრფიალი“, „მრუშობა“ და არა „ეროსი“, „ლოთობა“ და არა „სირთვრალე“, „თავგასულობა“ და არა „თავდავიწყება“. რა საჭიროა თავის მოტყუება?!

იყვნენ დამცველებიც. ამათ შორის მეტი წილი იყო: პოეტებიდან. მხატვრებიდან, არტისტებიდან. ხოლო მომხრენიც და მოპირისპირენიც ერთიან აფრთოვანებული იყვნენ ჯაზის სქელი ტემბრის საოცარი მურებით, ემოციური ჟღენთით და სიკვრივით, ფიზიკური გახელებით. მაგრამ ჯაზზე უფრო ერთი მოცეკვავე რევდა ყველას: ზანგი ბოდი. მას ადარებდნენ ჟოზეფინა ბეკერს...



## ახალი ლექსები



## ეკა ქურხული

### ქალი ვარ

ვიცი, ქალი ვარ
და მოკრძალება უნდა ვატარო,
როგორც მანდილი,
მაგრამ სიყვარულს არ ეკრძალება
თურმე ასაკი, რჯული, ადგილი...
მე, გაზაფხულის სურნელით მთვრალი,
გესტუმრები და მოვიხსნი რიდეს...
დაგარწმუნებ, რომ არსებობს ქალი,
ვისაც ნამდვილად უყვარხარ კიდევ!

### მაპატიე ცოდვები

ველარ მოვიხედე უკან...
ისედაც ვგრძნობდი ჩადენილის
სისასტიკეს.
შემძულდა საკუთარი „მე“...
დარჩი პოეტად!
ეხეთქება სინანული გულის კლდე-კარს,
ღმერთო, იქნებ მომიტევო ცოდვები?!
ვერ ვაჯობე თავაწყვეტილ, მაცდურ
ვნებას,
ქალი ხომ ვარ? — სიყვარულის მორევი
მომერია... ამიტაცა მისმა ნებამ,
მადრეიფა მამრის მძლავრი ტორებით...
სიყვარული ვიგემე და, როგორც ევას,
გთხოვ, ნუ დამსჯი, მაპატიე ცოდვები!

### მოვიჩქაროდი

**„ჩემი სევდა ვერ გაიგო კაცმა**
**და გავმართე საუბარი ხესთან.“**
***ტერენტი გრანელი***

მოვიჩქაროდი —
თურმე, ამაოდ...
დავიგვიანე,
როგორც არასდროს.
დავმონებივარ
ახლა პარადოქსს
და გრანელივით
სევდას ხეს ვანდობ...
ნასვამი არ ვარ —
ან რა დამათრობს
უცხო ქალაქში
და თანაც მარტოს...

### მარტოხელა ქალის სევდა

უშენობას უკვე წლებით ვზომავ,
სიმარტოვემ სული დამიბერა...
სადაცაა, დაიწყება ჭკნობაც
და იმედიც, ალბათ, გაილევა!
— მერე?
— მერე ბნელ ღამეთა ხროვა...
აჩრდილები გაშიშვლებულ ხეთა...
უალერსო სარეცელზე ბორგვა,
მარტოხელა ქალის მძიმე სევდა...
— მერე?
— ალბათ, უმუსიკოდ როკვა...
ბოროტთა და მოშურნეთა რემა,
უნაყოფო, წუთიერი თრობა,
სიწმინდის და სილამაზის მსხვრევა...
მეშინია, არ დავკარგო ნდობა,
მეშინია, არ დამტოვოს რწმენამ.
სიკეთის ფესვს არ დაეწყოს ლპობა,
არ ვემსგავსო სულგათელილ მეძავს!

### არ შემხვდე!

არ შემხვდე არსად, გემუდარები,
ნუ განმიახლებ ტკივილს,
იქნებ, როგორმე გავექცე სადმე
ჩამკვდარი გრძნობის კივილს...
არ შემხვდე არსად, ნუ გამახსენებ
ჩავლილი წლების სევდას...
ის სილამაზე მკვდარია უკვე,
ველარ ვუშველით, ველარ!
ქარი ძლიერი დაჰქრის სარკმელთან,
მემუქრება და მზარავს...
ო, მეშინია, გემუდარები,
არ შემხვდე სადმე, არა!

### გაწვიმდა

გული გულს შეხვდა
და დრო გაჩერდა,
ენა დამუნჯდა,
გრძნობა გახელდა...
კდემა გაიპარა,
ტრფობა ამღერდა,
ჟინმა იმძლავრა,
სისხლი ამხედრდა.
მთვარე დაიმალა,
ღამე გაინაბა...
ვნება აზვირთდა,
სუნთქვა გახშირდა!
მერე გაწვიმდა...

### ლანდები

შენ შორს იყავი...
სივრცე უხეში იდგა ჩვენს შორის.
მე მეშინოდა სიმარტოვის
და ამ სიშორის.
ხეთა ფოთლები გაყვითლებულნი
დაბლა ცვიოდა...
და აკვნესებდა გიტარას ვიღაც,
მე კი, მციოდა.
ბნელი ოთახის ცივ კედელზე
ცეკვავდა ლანდი,
ჩუმი თავდახრით მითანაგრძნობდა
დამჭკნარი ვარდი.
შენ ერთს გელოდა,
შენ გიხმობდა
გულიც, სხეულიც...
და მე ვტიროდი
უშენობით გადარეული.

●

სიცოცხლე
სპექტაკლია,
ღმერთი —
შემოქმედი,
ბედი —
რეჟისორი,
მე —
მსახიობი.

### სიყვარული მოდის

*ნატო გელაშვილს*

როცა ღამე
მარტოსულის დილეგს
არევ-დარევს
სევდითა და ბოდვით,
შენს სიმღერას მოვუსმენ და
მყისვე
იმედი და
სიყვარული მოდის.

## ცისანა ხარატიშვილი

### ადამი და ევა

სუყველაფერი დაიწყო მაშინ,
როდესაც ევამ შეჭამა ვაშლი,
როცა შეუჩნდა გველი, წყეული
და იქმნენ შიშველ-სირცხვილეულნი.
უთხრა: „შეჭამე ვაშლი ამ ხიდან,
აგისრულდება გულით, რაც გინდა,
შენც და ადამიც, განა, მონები?
იქნებით ღმერთთან თანასწორები!“
და განერიდა ბოროტი სული
სატანისგანა ედემს მოსული,
თუმცა შორს წასვლას არა ჩქარობდა,
ნამოქმედარით არა ჩქარობდა.
როცა ადამმა მიირთვა ვაშლი,
სუყველაფერი დაიწყო მაშინ,
რა ერთმანეთი ნახეს შიშველი,
ღმერთის წინ ცოდვა ჰქმნეს საშინელი.
შემდეგ დაუწყეს სიშიშვლეს ფარვა,
მონახეს იქვე ბებერი პალმა,
დრო აღარ ჰქონდათ უკვე მოთმენის
და ზედ იფარეს მისი ფოთლები.
იფიქრეს, თუკი გავიპარებით,
ანდა ბუჩქებში დავიმალებით,
თუ გავჩუმდებით, არ ვიტყვით სიტყვას,
ავცილდებითო გამჩენის რისხვას.
და ამ ფიქრებში რომ ისხდნენ რინდად,
ხმა ჩამოესმათ უფლისა ციდან:
„— სადა ხარ, ადამ, სადა ხარ, ევა?“
ამ დროს ბუჩქებმაც დაიწყეს რხევა.
„— აქ ვართ, უფალო, შენივე ძალით!“
უფალმა უთხრა: „მეჩვენეთ თვალით!“
ადამს და ევას სწვავდათ სირცხვილი,
ენატრებოდათ უკვე სიკვდილი.
როცა მეორედ უთხრა უფალმა,
ველარ გაბედა ადამმა მალვა:
„— რა ვქნათ, უფალო, რომ ვართ
შიშვლები,
სირცხვილეულნი და მოშიშები?!“
უფალმა ჰკითხა: „შობილნო მიწით,
შიშველნი რომ ხართ, საიდან იცით?
ნუთუ, იგემეთ ხილი ცნობადის
და საქციელი ჰქმენით გმობადი?
ულირსები ხართ, უკეთურები,
ვით წაბილწული ღვინის ჭურები,
არ შეისმინეთ სიტყვები ჩემი,
მიწით იშვით და მიწად დარჩებით!
მოშორდით ედემს! არ ხართ სანდონი,
აქ აღარ არის თქვენი სადგომი,
ამიერიდან სამოთხის კარი
თქვენთვის დაკეტილ-დახშული არის!
შენ, ადამ, რაკი ირცხვინე თავი,
შრომაში გაგძვრეს ცხრა პირი ტყავი,
შენ კი, დღეიდან, იცოდე, ევა,
ცხრა თვე ბავშვს მუცლით დაუწყებ
თრევას.
და როცა შობა მოახლოვდება,
იცოდე, ტანჯვა რომ გელოდება,
დე, შენთვის შობა იყოს გენია,
ტანჯვით ცხოვრობდე შენი დღენია!
ახლა კი, მოწყდით ამ არემარეს,
გეყოთ, ამდენ ხანს, რაც დამემალეთ,
ჭამეთ ვაშლები, თუ სადმე ნახოთ,
წადით და თვალით არ დამენახოთ!“

### ნოეს კიდობანი

და იყო სიტყვა, იყო ნათელი,
დღეები, თითზე ჩამოსათვლელი,
იყო უფალთან სულით მინდობა,
ნოე აგებდა „აღთქმის კიდობანს“.
ზეცაში რეკდნენ შიშის ზარები,
ახლოვდებოდა დღე მწუხარების,
ევედრებოდა ხალხს ნოე გულით,
ცუდი დღე გველის, უფლისგან თქმული.
არ დაუჯერეს, ეგონათ მცდარი
და ნოეს ცხვირწინ დაუხშეს კარი.
ატირდა ნოე, იგლიჯა წვერი,
თქვა: „ჩემს მუდარას არ ისმენს ერი“.
და წამოვიდა აცრემლებული,
კიდობანს ახლოს დახვდა კრებული,
ელოდნენ წარღვნას, უფლის განგებით,
იყო სიჩუმე ყურისწამღები.
როცა კიდობნის მორჩნენ შენებას,
ნოემ მცირე ხნით ჰყო შესვენება,
მოუხმო ყველა ახლო ნათესავს
და ყველა ცხოველს, სახლში რაც ესვათ.
უთხრა: „კიდობნის გახსენით კარი
და შიგნით შედით კაციც და ქალიც,
შეუშვით წყვილი ცხოველ-ფრინველი,
ახლოვდებაო დღე საშინელი“.
რა შეასრულა თავის მიზანი,
ნოემ იმწამსვე მისცა ნიშანი,
შევიდა ყველა, კიდობანს მდგარი,
ნოემ სულ ბოლოს ჩაჰკეტა კარი.
ორმოცი დღე და ორმოცი ღამე,
წყალმა დაფარა ის არემარე,
ეს იყო ნება უფლის, ძლიერის,
ვერ გადაურჩა ძე ხორციელი.
გადარჩა მხოლოდ, ვინც ღმერთს დანებდა,
წყალი კიდობანს მიაქანებდა!

### მძიმე ჯვარი

ამ ღვთითკურთხეულ მიწაზე
ცოდვილნი დავიარებით,
ჩვენს ცოდვებს ხშირად გვახსენებს
ეკლესიისა ზარები.
ვდგავართ, ვლოცულობთ მხურვალედ,
ოდეს გულით და გონებით,
ღმერთს შევთხოვთ პატიებასა,
მსგავსად უფლისა მონები.
ტვირთმძიმენი ვართ ყოველნი,
ადამის მოდგმა მთლიანად,
თუმც უფლის მადლიერნი ვართ,
რომ შეგვქმნა ადამიანად.
ყველას, ცხოვრების მანძილზე,
„გზანი გვაქვს წამებისანი“,
დასაბამიდან ვიდრემდე
დრო მოვა განგებისანი.
სანამ ვარსებობთ ამქვეყნად,
გვაქვს სული უფლის ნებითა,
მარადჟამს მოვიხსენიებთ
უფალს დიდება-ქებითა.

### დიდება შენდა, წმინდაო მარიამ!

ვერვინ შეგვინდობს ცოდვებს ცოდვილებს,
არვინ იქნება ამის თავდები,
უფალთან ლოცვით თუ არ მივედით,
უბრალოდ, წავალთ და გავთავდებით!
ჩვენ მოკვდავნი ვართ, შვილები ღვთისა,
მხოლოდ იობმა შეიძლო თმენა,
გაგვიჭირდება უფალთან მისვლა,
საფუძვლად თუ არ დავიდებთ რწმენას.
ჩვენი ცხოვრება ხომ სიზმარია,
აწმყო გვექცევა შემდგომ მერმისად,
და შენ, წმინდაო, ჩვენო მარიამ,
მოგვმადლე ძალა ჭირთა თმენისა.
მფარველად ჰყავხარ მთელ საქართველოს,
დედა-სამშობლო ერთადერთია,
იდიდოს მარად შენმა სახელმა,
საქართველო ხომ შენი ხვედრია!
სანთელი შანდალს ჩამოეღვენთა,
ლოცვით ვიაროთ კუბოს კარამდის,
ყოვლად წმინდაო, დიდება შენდა,
დიდება შენდა, აწ და მარადის!

### აღდგომა იესო ქრისტესი

შენ მოგვევლინე, ქრისტეო,
ამქვეყნად, უფლის ნებითა,
რათა ცოდვილთა ცოდვები
საკუთარ სისხლით გეტვირთა.
ძმებს შორის თესდი სიკეთეს
მაგ შენი ქადაგებითა,
სნეულთ კურნავდი, დავრდომილთ
თავი რომ ეგრძნოთ შვებითა,
თუმცაღა ფარისეველნი
გებრძოდნენ გაშმაგებითა,
სახელს გიტეხდნენ უგნურნი
სხვადასხვა ბილწი გზებითა.
ბოლოს, უგულო კაცებმა
გაგყიდეს შურისგებითა.
გაწამეს — სისხლი გადინეს,
დაგცინეს ჭკუის კლებითა.
ვერ გიცნეს თვისი უფალი
სატანიც ავი მცნებითა,
ჯვარზე გაგაკრეს ბრიყვებმა,
შეპყრობილნ იყვნენ სნებითა.
ძვლებს გაუყარეს სამსჭვალნი,
იქმოდნენ გაავებითა,
ავაზაკთ შორის გამყოფეს
ეშმაკის მანქანებითა,
თუმც მოგისაჯეს სიკვდილი
ბრბოსგან ნაყიდი ხმებითა,
როს იძახოდნენ — „ჯვარს აცვით“
ვერცხლისა მეოხებითა,
მაგრამ სიკვდილი დათრგუნე
შენივე ჯვარზე ვნებითა —
როდესაც მკვდრეთით აღსდექი,
ისევ უფლისა ნებითა!

№ 49 (314)
16 – 22 დეკემბერი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ექსპერტი

# „ამ დღეებში კიდევ ბევრ ინფორმაციას გავიგებთ!“ – გია ხუხაშვილი რევოლუციას აანონსებს

## „სადისტურიდან მაზოხისტურ პოლიტიკამდე მივედით!“

**„შანსი იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილი აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნდება, ნაკლებია. ის შეეცდება, პროცესები რბილი ჩარევით შემოაბრუნოს. ყოფილი პრემიერის პოლიტიკაში დაბრუნება ყველაზე მეტად ხელისუფლებას უნდა და ამიტომაც „ექაჩება“ მას თავისკენ. მოეწონათ სხვის მხრებზე „სახლობანას“ თამაში, მაგრამ ახლა იციან, რომ ამის გახანგრძლივების ნაკლები ალბათობაა და ამიტომ ცდილობენ, დააბრუნონ ივანიშვილი პოლიტიკაში“, – აცხადებს ყოფილი პრემიერის ყოფილი მრჩეველი გია ხუხაშვილი. რაც შეეხება საარჩევნო სცენარს, ანალიტიკოსის მოსაზრებით, არჩევნებში, დიდი ალბათობით, სახელისუფლებო ძალა გაიმარჯვებს. ცუდ სცენარს კი პოსტსაარჩევნო პერიოდში უნდა ველოდოთ. „საზოგადოება არ დაიჯერებს არჩევნების შედეგებს და დიდი ალბათობით, რევოლუციური პროცესები კიდევ ერთხელ გახდება საჭირო. ვინ მოითბობს ამ სიტუაციაში ხელს, მერე გამოჩნდება“, – ამბობს ხუხაშვილი. მთავარი კი მაინც, ბოლო დღეებში აგორებული სკანდალია, რომელიც საკრებულოს დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა გაახმაურა და რომელიც შეწყალების კომისიას უკავშირდება. „ქართულმა სიტყვამ“ გია ხუხაშვილთან საუბარი, ცხადია, „შეწყალების სკანდალით“ დაიწყო:**

– რადგან მაღალი თანამდებობის პირები თავდაცვის პოზიციაში ჩადგნენ და შეტევის განხორციელება დაიწყეს, ვფიქრობ, ეს მათთვის პოლიტიკურად უარესია. ჯობია, რომ ყველა დამშვიდდეს და გამოძიების დასრულებას დაელოდოს. როდესაც ასეთი მძიმე ბრალდებები ისმის, ნორმალურ ქვეყნებში მაღალი თანამდებობის პირები უფლებამოსილებას იჩერებენ, რათა საზოგადოებაში არ გაჩნდეს განცდა, რომ გამოძიებაზე ზეწოლა არსებობს.

**– ისინი კი, პირიქით, როგორც აღნიშნეთ, თავდასხმაზე გადავიდნენ და ელისაშვილს ბოდიშის მოხდას სთხოვენ...**

– ეს არ მომწონს. თუ ადამიანი აქტიურობას იწყებს და თვლის, რომ არაა დამნაშავე და მხოლოდ ცილისწამების მსხვერპლია, საჯარო პირია და თმენის ვალდებულება აქვს. წმინდა პოლიტტექნოლოგიურად, მათი აქტიურობა უფრო აძლიერებს ეჭვს. შესაბამისად, ჯობია, წყნარად იყვნენ და გამოძიების შედეგებს დაელოდონ. ამ პერიოდში თუ არ შეიჩერებენ უფლებამოსილებას, აქტიურობა მაინც უნდა შეწყვიტონ, სხვა შემთხვევაში, რა შედეგითაც უნდა დასრულდეს გამოძიება, მათ პოლიტიკურ ავტორიტეტს სერიოზული ზიანი მიადგება.

**– ამბობენ, რომ ეს მთავარი პროკურორის, შოთაძის პირველი ტესტია. პროკურატურის იმედი გაქვთ?**

– ძნელი სათქმელია, რადგან ამ საქმის გამოძიება პროკურატურამ ცუდად დაიწყო. გოგაძემ პირდაპირ სიცრუეში დასდო ბრალი ელისაშვილს. პროკურატურის მხრიდან ამის მიზეზი რომც ყოფილიყო, ასეთი აგრესიული ტონი მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, თან არ დაგვავიწყდეს, რომ ეს მიმდინარე საქმეა. შესაბამისად, პროკურატურა შეიძლება, დანაშაულის თანამონაწილე გახდეს. ეს ინტერესთა კონფლიქტია. ძალიან საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები და, როგორც ჩანს, ამ დღეებში კიდევ ბევრ ინფორმაციას გავიგებთ. ამ პროცესში ძალიან ცდილობენ, რომ ჩართონ პოლიტპატიმრები. არადა, ამაზე ალეკო ელისაშვილი არ საუბრობს. ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, მხოლოდ მათზე შეიძლება საუბარი, ვინც პოლიტპატიმრებზეა მიტმასნილი. საქმეში მათი ჩათრევა კი, კიდევ ერთ მინუსს დაუწერს იმ ადამიანებს, ვინც ამ საქმეში არიან გარეულნი.

**– ბატონო გია, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე ბევრი ალაპარაკდა, განსაკუთრებით კი, – ხელისუფლების წარმომადგენლები. როგორ ფიქრობთ, დაბრუნდება?**

– არ მგონია, რომ ივანიშვილი პოლიტიკაში დიდი დოზით ჩაერთოს. დღევანდელი გადმოსახედიდან ასე ჩანს, რომ შემოიფარგლება საზოგადოებრივი აქტიურობით და ამ კუთხიდან გააგრძელებს ხელისუფლების მხარდაჭერას ისე, როგორც ამას აქამდე აკეთებდა. შეიძლება, ოდნავ გაზარდოს ინტენსივობა, ხშირად გამოჩნდეს, ახსნას და თავისი მოსაზრებები გამოთქვას ხელისუფლების ავ-კარგიანობაზე, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ გააქტიურდეს და აშკარად გამოხატოს ხელისუფლების მხარდაჭერაც. ის, რაც ახლა ხდება, ივანიშვილს აფიქრებს და ეს კარგად ჩანს. აქედან გამომდინარე, იმდენს გააკეთებს, რა დოზითაც ეს დაჭირდება ხელისუფლებას და ჩათვლის, რომ ეს აუცილებელია, მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარია, თვითონ ხელისუფლების დამოკიდებულება, რაც, ჩემი აზრით, საკმაოდ არაჯანსაღია. სავსებით აშკარაა, რომ ხელისუფლება ივანიშვილის პოლიტიკაში ბოლომდე ჩათრევას ცდილობს, რადგან ხვდება, რომ თვითონ ვერ გაუმკლავდება საარჩევნო პროცესს და უნდა ისე გააგრძელოს, როგორც აქამდე იყო მიჩვეული. მხედველობაში მაქვს, თუ როგორ შევიდა ივანიშვილის მხრებზე გავლით ხელისუფლებაში ისე, რომ ამ საქმეში საკუთარი ერთი აგურიც არ დაუდვია. ახლაც უნდათ, რომ ითამაშონ სახლობანა, კაბინეტებში ისხდნენ და პასუხს არაფერზე აგებდნენ. მოახლოვდა არჩევნები და ისევ უნდათ, შემდეგი ოთხი წლით გაიხანგრძლივონ ეს თამაში, რა თქმა უნდა, ისევ ივანიშვილის მხრებით.

**– პოლიტიკაში რომც დაბრუნდეს, ივანიშვილი პროცესის შემობრუნებას მოახერხებს?**

– რა თქმა უნდა, ძველებურად აღარ იქნება. ამ ხელისუფლებამ უკვე დაკარგა ნდობის კრედიტი. გარკვეულწილად, ივანიშვილსაც შემოეხარჯა ის კაპიტალი, რაც ქართული საზოგადოებისაგან ჰქონდა. ადამიანების საკმაოდ დიდი რაოდენობა მის მიმართაც იმედგაცრუებულია. მან არ შეასრულა დაპირებების გარკვეული ნაწილი და აქედან გამომდინარე, მის მხარდაჭერასაც, რბილად რომ ვთქვათ, არ ექნება იგივე ფასი, რაც 2012 წელს ჰქონდა. შესაბამისად, თუ ამ პროცესში ივანიშვილი ჩაერთვება, მისგან საზოგადოება დაპირებებს აღარ მიიღებს და დანაპირების შესრულებას მოთხოვს. ეს საკმაოდ პრობლემატური იქნება.

**– მაშინ, ანუ 2012-ში ბევრი დაპირება გაუაზრებლად გაიცა, ბევრის თქმაც ფორსმაჟორში მოხდა. ამ ხელისუფლებას აქვს გამოცდილება, თუ რა შეიძლება მოჰყვეს გაუაზრებელ ქმედებას. არჩევნებამდე დიდი დრო აღარაა და თუ ხედავთ, რომ ხელისუფლება ჩამოყალიბებულ საარჩევნო პროგრამაზე მუშაობს?**

– სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ძალიან ეკლექტურია და კონკრეტულ გრძელვადიან ხედვას არ ემყარება; არ დგას ღირებულებით საფუძველზე. საკმაოდ წინააღმდეგობრივია ხელისუფლების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილი. – აქვთ აბსოლუტურად განსხვავებული, ზოგიერთ შემთხვევაში, ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგია, რაც ბუნებრივია, კონკრეტულ გეგმაში ვერ აისახება. როცა იდეოლოგიურად დაპირისპირებული ადამიანები გადაწყვეტილების მიღების პროცესში არიან, ვერასდროს ვერაფერზე შეთანხმდებიან. ავიღოთ, ერთ მხარეს „რესპუბლიკური პარტია“ და მეორე მხარეს „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. მათ შორის შეთანხმება ფუნდამენტურ საკითხებზე ძალიან რთულია. შესაბამისად, არ ექნებათ პროგრამა. ისინი უკვე ჩამოყალიბდნენ სახელმწიფო ძალად, რომელსაც სახელისუფლებო კეთილდღეობის მეტი არაფერი აინტერესებს, ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ და ბუნებრივია, ერთიან ხედვას ვერ შეიმუშავებენ.

**– არჩევნებისთვის კოალიცია ხომ არ დაიშლება?**

– საფრთხე, მართლაც, არის, რადგან კოალიცია უნდა იქმნებოდეს ღირებულებით საფუძველზე და არა – ხელისუფლებაში ყოფნის გამო. დღევანდელი გადასახედიდან, დაშლა ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ამ ძალებს საკუთარი უსუსურობა აერთიანებთ. მათგან ცალკე საარჩევნო პერსპექტივა ერთ პარტიასაც არ აქვს, ასევე, არ აქვს საზოგადოებაში ინდივიდუალური ლეგიტიმაცია. მეტსაც გეტყვით, მათ ჯამური ლეგიტიმაციაც კი არა აქვთ და ამას აჩვენებს ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები. მათი ერთადერთი საშველი ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილია. დღემდე მისი ნიშნით მიდის პოლიტიკური პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილად აქვს ავტორიტეტი, რომელიც შეიძლება იყოს პოზიტიური და ნეგატიურიც. მას აქვს გარკვეული ძალა, რომლის გამოყენებასაც აუცილებლად შეეცდება კოალიცია, რომელსაც ესმის, რომ დამოუკიდებელი პერსპექტივა არ აქვს არც – არჩევნებში და არც – ქვეყნის მართვაში.

**– როცა ხელისუფლებაში მოდიოდა და საარჩევნო პროცესში ჩაება, ბიძინა ივანიშვილმა იცოდა, რომ დიდი შანსი ჰქონდა. ახლა რამდენადაა წამომსვლელი, რომ საარჩევნო პროცესში იგივე გუნდით ჩაერთოს?**

– ამას იმ შემთხვევაში გააკეთებს, თუ დარწმუნდა, რომ ხელისუფლება ვერ პასუხობს ვერც ერთ გამოწვევას. გვაქვს სერიოზული მმართველობითი კრიზისი, რაც საბოლოო ჯამში, შეიძლება, საარჩევნო კრიზისში გადაიზარდოს. თუ ამ კუთხით დაინახა პროცესები, ამ შემთხვევაში, მოახდენს რეინტეგრაციას, რაზეც არაერთხელ უსაუბრია. რასაც ვაკვირდები, ჯერჯერობით ივანიშვილი ასე არ ფიქრობს და ჰგონია, რომ რბილი ჩარევით მოახერხებს პროცესების შემობრუნებას. მას აქვს შეცდომები და მისი მთავარი შეცდომა ისაა, რომ ქმნის პოლიტიკას პოლიტიკურ ელიტაში. ივანიშვილი ამ პროცესებს ასე უყურებს: კი ბატონო, „ქართულ ოცნებას“ აქვს პრობლემები, მაგრამ ოპოზიცია კიდევ უფრო სუსტია. ერთის მხრივ, გასაგებია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ასე ფიქრობს და ეს ხელისუფლების სიმშვიდის საფუძველია, ანუ გვყავს ცუდი ხელისუფლება და უარესი ოპოზიცია, რაც ობიექტურია. ამ ხნის განმავლობაში ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი ოპოზიცია, რომელსაც შეეძლება, რეალურად შეასრულოს სახელმწიფოებრივი ამოცანები. რადგან ამ ჭრილში უყურებენ, ჰგონიათ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ დღეს ხელისუფლების მთავარი ოპონენტი ქართული საზოგადოებაა. შესაბამისად, მას დაკარგული აქვს ლეგიტიმაცია ხალხისგან, რაც ძალიან სახიფათო რევოლუციურ ვითარებას იწვევს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას შეიძლება, არ ჰქონდეს პოლიტიკურ ოპოზიციასთან პრობლემები, მაგრამ ხალხთან აქვს პრობლემა. ასეთ ვითარებაში შეიძლება, ნებისმიერი რაღაც მოხდეს და შემთხვევითი პოლიტიკური პროცესიც მისთვის შეიძლება, გახდეს პრობლემა. სხვათა შორის, ამას ველოდები არა წინასაარჩევნო, არამედ, პოსტარჩევნების პერიოდში.

ყველაფრის მიუხედავად, ხელისუფლება არჩევნებს, სხვადასხვა მეთოდით, მოიგებს. ხალხი, დიდი ალბათობით, ჩათვლის, რომ აქ სხვა რაღაც მოხდა. ამ შემთხვევაში, შეიძლება, მივიღოთ მორიგი რევოლუცია, რომლითაც ვინ იხეირებს, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლება წააგებს. ხელისუფლების პრობლემა ის კი არაა, რომ არჩევნებს ვინმე ვერ მოიგებს, მისი პრობლემა ისაა, რომ არჩევნებს წააგებს.

**– სოციალურ ქსელში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ხელისუფლება ემზადება კანონის შესაცვლელად, რომლის მიხედვითაც, ყველა მოქალაქე ვალდებული იქნება, არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს...**

– ეს რომ გააკეთოს, ხელისუფლება პირწმინდად წააგებს. ეს არაა მის ინტერესებში. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მისთვის მთავარი აქტივობის ქვემოთ დაწევაა. დღეს საპროტესტო ელექტორატი საზოგადოების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს. ეს არაა ხელისუფლების ინტერესში და არც კანონთან შესაბამისობაში. ადამიანს ვერ აიძულებ, წავიდეს არჩევნებზე, რადგან ესეც პროტესტის ერთგვარი ფორმაა.

**– ხელისუფლება გაუაზრებლად ბევრ ისეთ ნაბიჯს დგამს, რომელიც წინასაარჩევნოდ წყალს მის წისქვილზე არ ასხამს. მაგალითად, ავიღოთ მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების აკრძალვა...**



– ჩვენ სადისტურიდან მაზოხისტურ პოლიტიკამდე მივედით: თუ მიშა სააკაშვილი თავის სამიზნეს სადისტური მეთოდებით უსწორდებოდა, დღევანდელ ხელისუფლებას ყველა ქმედება ბუმერანგივით უკან უბრუნდება. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ მინახავს ხელისუფლების პოლიტიკურად კარგად გათვლილი სწორი ნაბიჯი. ნებისმიერი ქმედება ისევ ხელისუფლებას აზიანებს. ძალიან ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება, როცა ცდილობს, რომ კარგი საქმე გააკეთოს, მაგრამ ისე უხარისხოდ აკეთებს, რომ უკან ცუდად უტრიალდება. თუნდაც პენსიები ავიღოთ: თუ ამას აკეთებ და ეს, ბუნებრივია, დევალვაციის ფონზე ასეც უნდა ყოფილიყო და ამას უკავშირებ არჩევნებს, ბუნებრივია, ამას უფრო ნეგატიური აღქმა ექნება საზოგადოებაში, ვიდრე – პოზიტიური. სააკაშვილი როგორ აკეთებდა? – თუ ასეთი გადაწყვეტილების მიღება უნდოდა, როგორც, მაგალითად, მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების აკრძალვაა, აკეთებდა არჩევნების შემდეგ, როცა ხელისუფლება განაღდებული ჰქონდა. არჩევნებიდან მეოთხე წელს ასეთი არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა, რა თქმა უნდა, პოლიტიკური სიბეცის ტოლფასია.

პერსონალური საკითხია, მაგრამ პოლიტიკურ სიბეცედ მიმაჩნია მურუსიძის სასამართლოში წარდგენა. ეს ადამიანი ასოცირდება გირგვლიანის საქმესთან. არადა, ეს ხომ ჩვეულებრივი საქმე არაა. გირგვლიანის მკვლელობით დაიწყო რეჟიმის შერყევისა და გასტუმრების პროცესი. ამ საქმის ერთ-ერთი ფიგურის, რომელზეც საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ ხელისუფლება ლობირებს, სასამართლოში წარდგენა მძიმე აღსაქმელია. ასე რომ, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა ხელისუფლება მაზოხისტურად იქცევა.

**– არჩევნებში „ოცნებას“ რა შანსი აქვს?**

– თუ რამე არ შეიცვალა და ამ პოლიტიკური ელიტის ამარა დავრჩით, ჩვენ მივიღებთ ძალიან დაბალი აქტივობის არჩევნებს. ამომრჩეველი მასობრივად დისტანცირდება არჩევნებისგან. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას აქვს აშკარა უპირატესობა თუნდაც ადმინისტრაციული რესურსიდან გამომდინარე. ხელისუფლება, დიდი ალბათობით, არჩევნებს მოიგებს, მაგრამ ამ ადმინისტრაციული რესურსისა და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორის გამო, შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. არჩევნების ლეგიტიმაცია ძალიან დაბალი იქნება და ხელისუფლება დაბალი ქვოტით იქნება არჩეული, რასაც, ჩემი აზრით, პოსტსაარჩევნო კრიზისი და არჩევნების შედეგების არაღიარება მოყვება, რამაც ხელისუფლება იძულებული უნდა გახადოს, რომ წავიდეს. ეს სცენარი, ჩემი აზრით, უფრო რეალურია და ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არ გაიხსნა პოლიტიკური სივრცე, ან ახალი პოლიტიკური ერთეულები არ გამოჩნდნენ ასპარეზზე, ან ხელისუფლებამ რაღაც საოცრებები არ ჩაიდინა და არ დაიბრუნა დაკარგული ავტორიტეტი. სიმართლე გითხრათ, ეს როგორ უნდა გააკეთოს, არ ვიცი, მაგრამ ყველაფერი ხდება.

**ესაუბრა ნათია ვერძეული**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

16 - 22 დეკემბერი 2015 | № 49 (313)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა



სკანდალის ექო

# ნანა კაკაბაძე „შეწყალების სკანდალის“ დეტალებს ჰყვება

## „ელისაშვილი დანაშაულის შემცველ ინფორმაციას ფარავდა“




**„შეწყალების სკანდალი“ გრძელდება. თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ იმ დროს, როცა შეწყალების კომისიის თავმჯდომარე იყო, ჰქონდა ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებიც პატიმრების შეწყალებაში ფულს იღებდნენ. ელისაშვილი მედიასთან კონკრეტულ გვარებს არ ასახელებს, თუმცა ირწმუნება, რომ საუბარია „ქართული ოცნების“ გავლენიან პირებზე. მისივე განმარტებით, ამის შესახებ თავის დროზე ინფორმაცია პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, თავდაცვის ამჟამინდელ მინისტრსა და ყოფილ მთავარ პროკურორს მიაწოდა, მაგრამ პროკურატურას გამოძიება არ დაუწყია. დღეს კი, პროკურატურაში აცხადებენ, რომ ალეკო ელისაშვილის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც ზეგავლენით ვაჭრობას გულისხმობს. რატომ დუმდა ალეკო ელისაშვილი წელიწადნახევრის განმავლობაში, რას უკავშირდება მისი აქტივობა, რატომ უპირისპირდებიან მას პოლიტპატიმრები; შეიწყალებს თუ არა პრეზიდენტი უგულავას, მერაბიშვილს და ახალაიას? – „ქართული სიტყვა“ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს ესაუბრა:**

– ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ ინფორმაცია შეწყალების კომისიის კორუფციულ გარიგებებზე გიორგი მარგველაშვილს, დავით უსუფაშვილსა და მაშინდელ დეპუტატ თინა ხიდაშელს მიაწოდა, თუმცა ჩემთვის გაუგებარია და ამის შესახებ ვკითხე კიდეც, პროცედურები რატომ არ დაიცვა და ამ საკითხზე პროკურატურას წერილობით რატომ არ აცნობა? ამაზე პასუხი არ აქვს. თუკი ამის შესახებ პროკურატურას თუნდაც სიტყვიერად განუცხადა, რატომ არ მოითხოვა პასუხი, რატომ დუმდა წელიწადნახევარი ასეთ სერიოზულ თემაზე, გაუგებარია. ასევე, საეჭვოა, პროკურატურამ საქმეს მსვლელობა რატომ არ მისცა. ელისაშვილის მიერ დასახელებული სამივე პირი საჯარო მოხელეა, თუკი მათ რეაგირება არ ჰქონდათ, ეს დანაშაულის დაფარვის ტოლფასია. იგი თავად იყო შეწყალების კომისიის თავმჯდომარე და გამოდის, რომ ყველა ტყუის და მართალს თავად ამბობს. დღეს საქართველოს პროკურატურა დილემის წინაშე დგას: რა უყოს ისეთ გაპიარებულ პიროვნებას, როგორიც ალეკო ელისაშვილია, ან სამ მაღალი რანგის პოლიტიკურ ფიგურას?

**– წესით, სამართლიან ქვეყანაში, კანონი ყველაზე თანაბრად უნდა მოქმედებდეს, არა?**

– როგორც ჩანს, კანონი ყველასთვის კანონი არაა, თორემ თუკი ამაზე პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრა, გამოდის, რომ პროკურატურაც და მაღალი თანამდებობის პირებიც წელიწადნახევრის განმავლობაში დანაშაულს მალავდნენ.

**– საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი რუსთაველის თეატრში პატიმრების მიერ დადგმულ სპექტაკლს დაესწრო და განაცხადა, კარგი იქნებოდა, შეწყალების უფლება უწმინდესსაც ჰქონდესო. ამ განცხადებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა: საზოგადოების ნაწილმა ჩათვალა, რომ პატრიარქმა უფლებების გაზრდა მოითხოვა. ქალბატონო ნანა, როგორ ფიქრობთ, პატრიარქს პატიმრების შეწყალების უფლება უნდა ჰქონდეს?**

– იმ დარბაზში მეც გახლდით, სპექტაკლს ვესწრებოდი, იმდენად ამაღელვებელი სცენები იყო, ადამიანი თავს ძნელად შეიკავებდა. როცა პატიმრებმა, სპექტაკლის ბოლოს, პატრიარქის საგალობელი – „დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან, უფალო“ შეასრულეს, ბუნებრივია, ყველას ერთნაირი საოცარი განცდა დაგვეუფლა და მხოლოდ პატრიარქს კი არა, ყველა დამსწრეს სურვილი გაუჩნდა, რომ ეს ქალბატონები გაეთავისუფლებინა. პატრიარქმა კი, სინანულით განაცხადა, რატომ არ შემიძლია, რომ მათ თავისუფლება მივანიჭოო. რა საჭირო იყო ისეთი ბნელი განცხადებების გაკეთება, პრიმიტიული ჩაკირკიტება, თითქოს პატრიარქმა ძალაუფლების ნაწილი მოითხოვა?! სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს.

**– სწორედ ამის მერე გააქტიურდა ალეკო ელისაშვილი...**

– ვერ გეტყვით, რომ არა პატრიარქის განცხადება, რას აპირებდა ალეკო ელისაშვილი – თუ რამე იცის ამ უმძიმეს და ურთულეს დანაშაულზე, ისევ დამალავდა?!

**– როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ ხომ არაა მიმართული ელისაშვილის აქტიურობა?**

– წინსწრებით დასკვნას ვერ გავაკეთებ. ვსაუბრობ ალეკოს განცხადების ბუნდოვანებაზე. ერთია, რომ ამდენი ხანი მალავდა ინფორმაციას, მეორეა, რომ მის მიერ დასახელებული პირებიდან თავდაცვის მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ უარყო ელისაშვილთან ამ თემაზე რაიმე სახის კონტაქტი, დარჩა პრეზიდენტი, რომელსაც ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია. ჩემი აზრით, საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, მას მაშინვე უნდა გაეკეთებინა განცხადება.

**– თუმცა, ხიდაშელმა და უსუფაშვილმა მხოლოდ კომენტარი გააკეთეს.**

– დიახ და ეს საკმარისი არაა, პროკურატურამ უნდა დაკითხოს ელისაშვილის მიერ დასახელებული თანამდებობის პირები და სიმართლე დაადგინოს. არ მგონია, თინა ხიდაშელმა და დავით უსუფაშვილმა, რომელთაც იურიდიული განათლება აქვთ, განსხვავებული ჩვენება მისცენ, მათ მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღება მოუწევთ, ამიტომ ყველანაირად შეეცდებიან, წონასწორობა დაიცვან, თუმცა გამორიცხული არაფერია, გამოძიების შედეგებს უნდა დაველოდოთ.

**– არც ალეკო ელისაშვილია გამოუცდელი. როგორ ფიქრობთ, მის ასე სახიფათო განცხადებებს ზურგს რა უმაგრებს?**

– არ ვიცი, ზურგს ვინ და რა უმაგრებს, ან რაში სჭირდებოდა ყველაფერი ეს, როცა კომისიის თავმჯდომარე იყო და, სავარაუდოდ, ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა, მაშინ ეს ინფორმაცია დამალა, არაფერი უთქვამს და ახლა, როცა მასზე ზეწოლას ვერავინ მოახდენდა, აჟღერებს, რომ კომისია კორუფციის ბუდე იყო. დღეს თუ ვინმე უნდა იყოს ზეწოლის ქვეშ, ეს შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძეა, მას უნდა გაეკეთებინა მსგავსი განცხადება. შე დალოცვილო, ამდენი ხანი ფიქრობდი, გეთქვა თუ არა? აბსოლუტურად აუხსნელი, დაუსაბუთებელია ასეთ მნიშვნელოვან, დანაშაულის შემცველ ინფორმაციას ვილაცას ორლობეში, გზადაგზა აწვდი, არც კითხულობ, რა ბედი ეწია და წელიწადნახევრის მერე, საზოგადოებას ამცნობ, რომ თურმე, ხელისუფლებაში სხედან მაღალჩინოსნები, რომლებიც ფულს პატიმრების შეწყალებაზე აკეთებდნენ.

გარდა ამისა, როგორ შეიძლებოდა, ალეკო ელისაშვილს არ სცოდნოდა, რომ მსგავსი ტიპის საკითხები ყურში ჩაჩურჩულებით არ გადაწყდება? მან პროკურატურასთან აიარაჩაიარა, გზად გადაეყარა პროკურატურის მაღალჩინოსანი და ამბად ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა, როგორც წესია, წერილობით, პასუხი არ მოითხოვა, გარკვეული დროის განმავლობაში ფარავდა დანაშაულის შემცველ ინფორმაციას... თუ ეს სიმართლეს არ შეეფერება, იგი ცრუ დასმენისთვის უნდა დაისაჯოს. ვიმეორებ: თუკი ჩვენს ქვეყანაში სამართალდამცავი სტრუქტურები არსებობენ, ან დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ან ის, ვინც დანაშაული დაფარა, ან სულაც, ორივე ერთად.

**– ქალბატონო ნანა, პოლიტპატიმრების სიას „ბესელია-კაკაბაძის სიას“ უწოდებენ. ელისაშვილმა ისიც თქვა, პოლიტპატიმრებზეც რაღაცებს ამბობდნენო. რას ნიშნავს, „ამბობდნენ“? ალეკოს ამ სიაზეც აქვს პრეტენზია?**

– ერთ დროს ეს „ნაციონალების“ საყვარელი თემა გახლდათ. ამით ცდილობდნენ, პარლამენტის გადაწყვეტილება დაეკნინებინათ, მაგრამ როცა დღეს საკრებულოს წევრი ამბობს, „გამიგონიაო, ეს არასერიოზულია და ამაზე პასუხის გასაცემად პოლიტპატიმრები ალეკო ელისაშვილთან შეხვედრას გეგმავენ, ისინი აპირებენ, საჯაროდ პასუხი მოსთხოვონ, დაასახელოს პატიმრები, რომლებიც კორუფციული გარიგებების შედეგად, კონკრეტულად, მაღალჩინოსნებისგან მოსყიდვის გზით გათავისუფლდნენ. შეწყალებებს სააკაშვილის დროს პოლიტიკური ელფერი ახლდა, მაგრამ არასოდეს გაჟღერებულა, რომ მის უკან ფულადი ინტერესები იდგა. მას მერე, რაც ირიბად განაცხადა, პოლიტპატიმრებზეც მსმენიაო, პირადად მე, სრული უნდობლობა გამიჩნდა ალეკოს მიმართ. ის, რაც ბუნებაში არ მომხდარა, ვერავინ დაამტკიცებს, ჩვენ მოვითხოვთ იმის დასჯას, ვინც ამ სიბინძურეებს ავრცელებს და ცრუ დასმენებს აკეთებს!

**– ისე, სიაში ლაფსუსები იყო, ქალბატონო ნანა?**

– ლაფსუსები ყველა სიაში არსებობს, რა, პარლამენტის სიაში არ არის, იქ ვინც ზის, ყველას ეკუთვნის დეპუტატობა? აბსოლუტურად დახვეწილი სიები არც მონასტერშია. ჩვენ სხვა რამეზე ვსაუბრობთ, ვინ დგას ამ ლაფსუსების უკან? ადგილი ჰქონდა თუ არა კორუფციულ გარიგებებს? ვინ გადაიხადა ფული შეწყალების კომისიაში მოსახვედრად? შეცდომისგანაც არავინაა დაზღვეული, თვით მოსამართლეც კი, რომელიც შეუმცდარი უნდა იყოს, შეიძლება შეცდეს, ამისთვის არსებობს მსოფლიოში აპრობირებული შეწყალების მეთოდი.

**– პოლიტპატიმრები დიდხანს აქტიურობდნენ, ხმაურობდნენ, აქციებში მონაწილეობდნენ. კარგა ხანია, მათი ხმა აღარ ისმის.**

– მათ ხელი ჩაიქნიეს, დიდი მადლობა ხელისუფლებას, რომ ციხიდან გამოუშვა, მაგრამ ისინი ციხეში არ მოხვდებოდნენ, რომ არა მათი პრინციპები, ისინი ხომ, პრაქტიკულად, ამ ხელისუფლების თანამებრძოლები იყვნენ, ახლა ხელისუფლებას მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ რეჟიმთან თანამებრძოლები ციხიდან გამოუშვა? ხელისუფლების წარმომადგენლები არც მალავდნენ, რომ მათთვის არაფრის გაკეთებას არ აპირებდნენ. თეა წულუკიანმა ხმამაღლა თქვა, ჩვენ საქმეები რომ გადავსინჯოთ, კომპენსაციები იქნება გადასახდელი და ამის ბიუჯეტი სად აქვს ხელისუფლებასო?! ამიტომ დატოვეს საქმეები გადაუხედავი, ჯაშუშების და რეპორტიორების საქმეებს გრიფით „საიდუმლოც“ კი არ ახსნეს. ამ ხალხმა საბოლოოდ განაცხადა, არ გვინდა თქვენი კომპენსაციები, შთამომავლობას ის მაინც უთხარით, რომ მოღალატეები არ ვიყავითო. პარლამენტში მითხრეს, საქმეებს რომ გადავხედოთ, კანონი ხომ კომპენსაციებს ითვალისწინებსო.

**– ვინ გითხრათ, ქალბატონო ნანა?**

– არ მინდა, გვარ-სახელები დავასახელო, მთავარი დამნაშავე ხელისუფლებაა, რომელმაც ეს ხალხი გაათავისუფლა და არაფერი გააკეთა მათი უდანაშაულობის დასამტკიცებლად.

**– ქალბატონო ნანა, შეწყალების კომისიაში მუშაობა თქვენც შემოგთავაზეს?**

– სიმართლე გითხრათ, სურვილი არ მქონია ამ კომისიაში მემუშავა, იგი დილეტანტებით იყო დაკომპლექტებული. დღეს ხომ გამომჟღავნდა, რომ კომისიის თავმჯდომარემ ისიც არ იცის, რომ მსგავს სიტუაციაში პროკურატურას განცხადებით უნდა მიმართოს, როცა დანაშაულის შემცველ ინფორმაციას იგებს? ალეკო ელისაშვილმა ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა კომისიის მუშაობას, მან პირველმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი კომპეტენციის საკითხი. იგი ზეწოლაზე საუბრობს, მაგრამ რას ნიშნავს ზეწოლას განიცდიდა? ზეწოლის რამდენიმე ფორმა არსებობს: იარაღით მუქარა, გაუპატიურების მუქარა, ფულის გამოძალვა. თუკი ალეკოს ფულს სთავაზობდნენ, ეთქვა უარი და ეს იქნებოდა.

**– ელისაშვილი მაღალჩინოსანთა გვარებს თუ ასახელებს, ვინც კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობდა?**

– არ ვიცი, გამოძიებას გვარები თუ დაუსახელა, მაგრამ მარტო დასახელება ხომ არ კმარა? საჭიროა მტკიცებულებები.

**– ალეკო ელისაშვილი კომისიის თავმჯდომარე იყო და მისი ხელმოწერის გარეშე გათავისუფლება როგორ მოხდებოდა? დოკუმენტებს გადაუმოწმებლად აწერდა ხელს?**

– შეწყალების კომისიის გადაწყვეტილებებზე პატიმრებისგან უამრავი მითქმა-მოთქმა გამიგონია. ისინი ამბობდნენ, რომ პრეზიდენტი ხშირად ისეთ ადამიანებს იწყალებდა, რომელთაც უფრო დიდი სასჯელი, უფრო მძიმე დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. მიუხედავად ამისა, არ მიფიქრია, რომ კომისია კორუფციულ გარიგებებში იყო ჩაფლული. ვინაიდან პრეზიდენტს უფლება აქვს ნებისმიერი ადამიანი შეიწყალოს, მაგრამ არანაირ ჩარჩოში არ ჯდებოდა, არც – დებულებაში და არც – რეკომენდაციაში კაკო ბობოხიძის ძმის შეწყალება, მაგრამ ეს მოხდა, რა პრინციპებით გაათავისუფლეს კაკო ბობოხიძის ძმა, რატომ არ დაიცვეს სამართლიანობის პრინციპი? – ამაზეა საუბარი. ახლა ალეკო ამბობს, კორუფციული გარიგებები ხდებოდაო, ადგეს და მოიტანოს მტკიცებულებები, რანაირად ხდებოდა ეს გარიგებები. ყველა ადამიანმა, ვისაც ვადამდელი გათავისუფლების, შეწყალების კომისიაში რაიმე შეხება ექნება, უნდა იცოდეს, მზად უნდა იყოს, რომ აუცილებლად დაურეკავენ. მით უმეტეს, კანონით დასაშვებია, ნებისმიერმა ადამიანმა პატიმარს ლობირება გაუკეთოს, დოკუმენტურად არგუმენტებით დაასაბუთოს, რომ მავანს დანაშაული არ ჩაუდენია, ან მან გააცნობიერა თავისი დანაშაული და საზოგადოებისთვის საშიში არაა. პოლიტიკოსიც დაგირეკავს და დეპუტატიც, პოლიტიკოსი საარჩევნო ხმებზე ფიქრობს, რომც არ სტკიოდეს პატიმრის სატკივარი, მაინც დარეკავს, გამოუშვითო იმიტომ, რომ საარჩევნო ხმები სჭირდება. შენ რისთვის ხარ კომისიის თავმჯდომარე, თუ სწორი რეკომენდაცია ვერ გამოარჩიე არასწორისგან? იმისთვის ზიხარ მაგ ადგილზე, რომ ღირსეულს მისცე არჩევანი. პატიმრის დახმარებას ვერავის აუკრძალავ, მთავარია, კომისიამ და პრეზიდენტმა შეაფასოს, რამდენად ადექვატურია ჩემი რეკომენდაცია. ზარების რაოდენობამ როგორ უნდა განსაზღვროს მის უკან კორუფცია იდგა თუ გულწრფელი დახმარების სურვილი? მას კონკრეტული ფაქტები, მყარი არგუმენტები უნდა ჰქონდეს, სხვანაირად როგორ უნდა იკადრო? მას მოუწევს ასევე, გამოძიებას დაუსახელოს ის პატიმარი, ვისთვისაც 200 ათასი თუ მილიონნახევარი გადაიხადეს.

**– რამდენად იმოქმედებს ელისაშვილის აქტიურობა პოლიტიკურ პროცესებზე?**

– ეს ნაკლებად მაინტერესებს, მინდა, საზოგადოებასთან ერთად შევიტყო, ამბობს თუ არა იგი სიმართლეს, „ნაციონალებისგან“ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ როცა ასეთ განცხადებას აკეთებს ლამის წმინდანად აღიარებული, „ნაციონალებთან“ არაგაიგივებული პირი, მის მიმართ უფრო მეტი მოთხოვნებია, თორემ გივი თარგამაძე რას იტყვის, საქართველოში ნაკლებად აინტერესებთ.

**– გაქვთ რაიმე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შეწყალებულებს შორის „კანონიერი ქურდები“ იყვნენ?**

– ამაზე ვერაფერს გეტყვით.

**– მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე რამდენიმეჯერ შეიწყალა პატიმრები, ამბობდნენ, გათავისუფლებულთა შორის მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული პირები, პედოფილებიც იყვნენო.**

– ამ თემაზე ბევრი დაიწერა, ბევრი ითქვა, ახალს ვერაფერს ვიტყვი.

**– საქართველოს ახალი მთავარი პროკურორი ჰყავს, მისგან რა მოლოდინები გაქვთ?**

– მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიზიარებ „ნაციონალური მოძრაობის“ განწყობას, რომ ხელისუფლებაში უუნაროები არიან. ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პროკურატურა გახმაურებული საქმეების ადგილიდან დაძვრას შეძლებს. სამი წლის განმავლობაში, ხელისუფლებამ გამოავლინა, რომ ხალხს ცრუ დაპირებებს აძლევდა და ვერაფერს უკეთებდა ქონებაწართმეულ, უფლებაშელახულ, შეურაცხყოფილ ადამიანებს. გარდა იმისა, რომ პატიმრების ნაწილი გაათავისუფლა.

**– როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტი გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილს და ბაჩო ახალაიას შეიწყალებს?**

– ეს უკვე მისი გადასაწყვეტია. პოლიტიკიდან წასვლას დღეს არ ფიქრობს. გიორგი მარგველაშვილმა ზუსტად იცის, თუ ამ შეწყალებას დაუშვებს, ეს იქნება მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ბოლო დღე და პოლიტიკაში ვერასოდეს დაბრუნდება.

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

№ 49 (314)
16 – 22 დეკემბერი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ტოლერანტობა

# „დავით კირიკიტაძემ მუსლიმანები ყურანზე დააფიცა, რომ ხმას „ნაცმოძრაობას“ მისცემდნენ“

## ალი ბაბაევი გიორგი ვაშაძეს ამხელს

**„საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე, გარდაბანში პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და პოლიტსაბჭოს ყოფილი წევრი ალი ბაბაევი ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილის იმ პროცესს, რომელიც საქართველოს მუსლიმანთა საზოგადოებაში ინტეგრაციას ემსახურებოდა ებრძოდნენ... რა მიზანს ისახავდა აზერბაიჯანული თემის მიმართ სააკაშვილის ეს დამოკიდებულება, რა პრობლემები აქვს საქართველოს აზერბაიჯანულ თემს საქართველოში, ვინ აგვარებს აზერბაიჯანულ სოფლებში ხმის მიცემის საკითხს, რას უკავშირდება ალეკო ელისაშვილის განცხადებები შეწყალების კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით და როგორ აფასებს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე შესაძლო დაბრუნებას? — „ქართული სიტყვა“ ალი ბაბაევს ესაუბრა:**



— საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და „აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ მიზანი და ამოცანა საქართველოს აზერბაიჯანელების უფლებების დაცვა, ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ყველა აზერბაიჯანელისთვის ცოდნის აუცილებლობა, ჩვენი კულტურის შენარჩუნებაა. ჩვენ ორი ერის გასაერთიანებლად ერთგვარი ხიდი ვართ. ცნობილია, რომ აზერბაიჯანში ბევრი წარმატებული ქართველი ცხოვრობს. ისინი ბიზნესის სხვადასხვა სფეროში არიან დაკავებულნი. საბოლოო ჯამში, აზერბაიჯანი საქართველოსთვის საიმედო სტრატეგიული პარტნიორი და კარგი განწყობის ქვეყანაა.

**— ბატონო ალი, მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანელებთან თავისი ურთიერთობით ყოველთვის ამაყობდა...**

— მიხეილ სააკაშვილისთვის აზერბაიჯანელები მხოლოდ საარჩევნო კალათა გახლდათ და მის მიერ შერჩეულ დეპუტატებს რეგიონის მოსახლეობა მხოლოდ არჩევნების წინ, ოთხ წელიწადში ერთხელ ახსენდებოდათ, თუმცა ამ ტრადიციას საფუძველი დიდი ხნის წინ ჩაეყარა. ზვიად გამსახურდიამ საპრეზიდენტო არჩევნებში 92% აიღო, შევარდნაძეც ხმების უმაღლეს რაოდენობას იღებდა, რეკორდი მაინც სააკაშვილმა მოხსნა, რომელმაც ზოგ უბანზე 103%-ც კი აიღო. ყველა ხელისუფლების რეჟიმებს საკუთარი აგიტატორები ჰყავდათ — სოფლის გამგებლები, პოლიციის უფროსები, სპეცსამსახურები, მათ ხალხი დაშინებული ჰყავდათ და საარჩევნო უბნებზე თავის ჭკუაზე ატარებდნენ. საარჩევნო პროცესების შეჯამებისას კი ამბობდნენ, რომ აზერბაიჯანული მოსახლეობა პასიურობს. ეს პასიურობა იმით იყო გამოწვეული, რომ ამ ხალხთან ურთიერთობა ხელისუფლების სუსტი რგოლია. „ნაციონალური“ მმართველობის დროს, სამი ათასი აზერბაიჯანელი მოქალაქე გასამართლდა, 72 ათასზე მეტს კი, საპროცესო გარიგება გაუფორმდა. „ნაციონალების“ რეჟიმის პერიოდში, ჩვენც ისევე დავზარალდით, როგორც მთელი საქართველოს მოსახლეობა.

გაიხსენონ, ფაჰლალოს მეჩეთის ისტორია, ეს ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლი 1902 წელს ააშენეს, ხალხმა მოითხოვა, რომ საკუთარი ფულით მისი რესტავრაციის უფლება მიეცათ, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა სპეციალური ჯგუფები შექმნეს, რომ ხელი შეეშალათ.

საქართველოს მუსლიმანების გაერთიანება მთლიანად კავკასიის შეიხის ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს ექვემდებარებოდა ისევე, როგორც კათოლიკეთა ცენტრი რომია, სომხებისთვის — ეჩმიაძინი, ებრაელებისთვის — იერუსალიმი. „ნაციონალებმა“ შეიხის წარმომადგენლობა საქართველოში გააუქმეს და 2011 წლის 5 იანვარს, არასამთავრობო ორგანიზაცია შექმნეს, რომლის დამფუძნებლები მორწმუნეებიც არ იყვნენ. დამფუძნებელთა შორის იყვნენ ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე სორინ იუსუპოვი, დღევანდელი პარლამენტის წევრი აზერ სულეიმანოვი და სხვები. მათ გადაირჩიეს მოქმედი შეიხი და მის ადგილას დანიშნეს შეიხი ვაგიფ აგპეროვი, სასაფლაოს უბრალო მოლა, ნასამართლევი ადამიანი, რომელსაც სასულიერო განათლებაც არ ჰქონდა. არადა, დღეს გამოდის და ამბობს, ძალით გადამაყენესო. ეს კაცი სარწმუნოებისგანაც შორს იყო და ქართველ მუსლიმანთა ინტერესებისგანაც. ამან მუსლიმანთა რიგებში ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, ერთმანეთს დაერივნენ შიიტები და სუნიტები, სოფელში, სადაც ორი მეჩეთი იყო, ერთი ერთს ექვემდებარებოდა, მეორე — მეორეს. ამას დაერთო სოდ-ის, კუდ-ის წარმომადგენელთა, ადგილობრივი თვითმმართველობის ჩინოვნიკების ზეწოლაც. ყველაფერმა ამან ფონი მისცა, რომ პანკისში ვაჰაბიზმი გაძლიერებულიყო. ირანსა და თურქეთთან უვიზო მიმოსვლის შემოღებამ კარი სხვადასხვა სექტის წარმომადგენლებს გაუღო, არავინ არკვევდა, ქვეყანაში რომელი ექსტრემისტული ჯგუფები და სექტები შემოდიოდნენ.

ქვემო ქართლში ოთხი დაჯგუფება იყო შექმნილი, რამაც ხალხში სერიოზული აღშფოთება გამოიწვია, თუმცა ხელისუფლებას ეს არ ანაღვლებდა, პირიქით, ამღვრეულ წყალში თევზს იჭერდა, მოლებს საარჩევნო კამპანიისთვის წარმატებით იყენებდა. დმანისში გებერნატორმა დავით კირკიტაძემ სასულიერო პირები შეკრიბა და უთხრა, არჩევნები თქვენზეა დამოკიდებული, თქვენ უნდა მოგვაგებინოთო. მუსლიმანებს ყურანზე უნდა დაეფიცათ, რომ ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცემდნენ.

**— ფონიჭალაში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოქალაქეების მიმართ სამართალდამცავებს ხშირად ჰქონდათ პრეტენზიები...**

— ფონიჭალაში შექმნილი იყო სამი ჯგუფი, მათ სახელისუფლო კლანები ნარკოტიკებით ამარაგებდნენ. აბა, წითელი ხიდიდან იმდენ ნარკოტიკს ვინ შემოიტანდა? საზღვარგარეთულ ფილმებში ნარკობარიგების უბნებს რომ აჩვენებდნენ, ფონიჭალა სწორედ იმას ჰგავდა, სადაც ქუჩაში მდგომი „ბარიგები“ ვაშლივით ყიდდნენ ნარკოტიკს. რა, სოდ-ი და კუდ-ი ამას ვერ ხედავდა?

**— სინამდვილეში, ფონიჭალაში რა ხდებოდა?**

— ნარკოტიკი ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს შემოჰქონდათ და ორ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ კლანებს აძლევდნენ რეალიზაციისთვის. ერთხელაც, ეს კლანები ერთმანეთს დაეჯახნენ და სამართალდამცავებმა 350-ზე მეტი ქალი, კაცი, ბავშვი და მოხუცი დააკავეს. სამწუხაროდ, „ნაციონალური“ მასმედია აზერბაიჯანელ მოქალაქეებს ისე აჩვენებდა, როგორც ნარკომოვაჭრეებს, მოძალადეებს, ყაჩაღებს და ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ერთმანეთთან დასაახლოვებლად. საარჩევნო ხმებს კი იღებდნენ, რაც საერთო ხმების 70-80%-ს შეადგენდა. რეალური არჩევნები 2012 წელს ჩატარდა, თუმცა, „ნაციონალებმა“ ქვემო ქართლის არჩევნები მაინც გააყალბეს — „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ ქალაქ რუსთავში გაიმარჯვა. სამწუხაროდ, „ნაციონალები“ დღესაც „ვოიაჟობენ“ ქვემო ქართლში.

**— მოდით, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ: აზერბაიჯანული მოსახლეობა ყველა ხელისუფლებისთვის „სუსტი რგოლი“ რატომაა?**

— აზერბაიჯანელთა 90%-მა არ იცის, ქვეყანაში რა ხდება. მხოლოდ თურქულ და რუსულ ტელეარხებს უყურებს, სწორედ ესაა მიზეზი, რომ საგარეჯოს შუალედური არჩევნების დროს, ირმა ინაშვილის, ვიტყოდი, გმირული დაპირისპირება სახელისუფლო კოალიციასთან, მისი მარცხით დამთავრდა. ზოგი ამომრჩეველი ადგილზე მიდიოდა და კითხულობდა, ვისთვის მიეცა ხმა. სამწუხაროა, რომ საარჩევნო ტექნოლოგიები დღესაც მაჭავარიან-გოგორიშვილის მიერ შექმნილი სისტემით მიდის. მომავალ არჩევნებში კოალიციამ დიდი ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ ხალხთან თავად იმუშავოს და გამგებლების იმედზე არ იყოს. ირმასაც ეგონა, იორმუღალოში მაქსიმალურ ხმებს აიღებდა, მაგრამ ის ხალხი არ გამოვიდა, ვისაც მისთვის ხმა უნდა მიეცა.

**— რატომ?**

— აზერბაიჯანულ სოფლებში დღესაც არიან პიროვნებები, რომლებიც მიმდინარე პროცესებს აკონტროლებენ, ესენი არიან „ნაციონალების“ დროინდელი ადამიანები, რომლებიც დღესაც თანამდებობებს იკავებენ. მათთვის ქვეყნის განვითარების იდეას მნიშვნელობა არ აქვს, ნებისმიერ მთავრობას ერგებიან, ხვალ სხვები მოვლენ და მათ სამსახურში ჩადგებიან. ეს ყველაზე საშიში და არასანდო ხალხია. საჭიროა ახალი ენერგია, იმ ადამიანების დაფასება, რომლებმაც სასტიკი ტერორის ქვეშ გაძლეს და შეუძლიათ, ქვეყნის სამსახურში ჩადგნენ. ისინი 2012 წლის არჩევნების წინა პერიოდში კარდაკარ დადიოდნენ, ხალხს უხსნიდნენ, რომ ცვლილებები აუცილებელია ყველა ჩვენგანისთვის.

გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი: საქართველოს დამოუკიდებლობის მერე, საქართველოს პარლამენტის წევრი 17 აზერბაიჯანელი დეპუ-

გაგრძელება მე- 11 გვ.

## ტოლერანტობა

მე-10 გვერდიდან

ტატი იყო, მათგან მხოლოდ ორმა იცოდა ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა. ამნაირი დეპუტატებისგან რა კანონმდებელი უნდა გამოსულიყო? ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ კანონს არღვევს — საარჩევნო კოდექსში წერია, რომ საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ვერ იქნება პირი, თუ იგი სახელმწიფო ენას ვერ ფლობს. ჩვენი ორგანიზაცია ინიციატივით გამოდის, რომ შეიქმნას საბჭო, რომელიც დეპუტატობის კანდიდატებს ამ პრინციპით შეარჩევს. საბჭო მხარს დაუჭერს კანდიდატს, რომელიც საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია, იცის ორივე ენა, ასევე, ქართული და აზერბაიჯანული ურთიერთობების ისტორია. ეს უნდა იყოს დეპუტატი, რომელიც საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ინტერესებს დაიცავს.

**— მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანულ თემს რატომ ერჩოდა?**

— რელიგია ფაქიზი თემაა და ამ საკითხს ყველა უნდა მოერიდოს, გგონიათ, მარტო მუსლიმანების წინააღმდეგ იყო მიმართული სააკაშვილის პოლიტიკა? იგი საკუთარ ქვეყანაში მართლმადიდებლობასაც ებრძოდა, ეკლესიებს ანგრევდა. 2010 წელს, საჯარო რეესტრში დოკუმენტები შევიტანეთ, რათა ,,საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესი“ დაგვერეგისტრირებინა. იუსტიციის ყოფილი მინისტრი, გიორგი ვაშაძე ახლა ხმამაღლა ლაპარაკობს სამართლიანობის აღდგენაზე, არადა, ორი წლის განმავლობაში ხან რა საბუთს იწუნებდა, ხან რა მიზეზს ეძებდა, რომ ორგანიზაცია რეესტრში არ გაეტარებინა. განაცხადის შეტანიდან ორი წლის მერე, 2012 წელს, არჩევნების შემდეგ ,,საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესი“ ამოქმედდა.

**— ,,ნაციონალების“ მხრიდან თქვენს მიმართ ასეთი მძიმე დამოკიდებულების მიზეზი თქვენი პოლიტიკური აქტივობა იყო?**

— დარწმუნებული ვარ, მაშინდელ ძალოვან სტრუქტურებს ჩემს მიმართ გამორჩეული ინტერესი ჰქონდათ. სოდ-ს, კუდ-ს, შსს-ს დავალებული ჰქონდათ პოლიტიკიდან ნებისმიერი გზით ჩემი ჩამოშორებისთვის ხელი შეეწყოთ. გაერთიანებული ოპოზიციის მიტინგების მონაწილე გახლდით და სოფელ ციხისძირში ჩემს სახელზე დარეგისტრირებული ნაკვეთი დამიყადაღეს, პროკურატურა დღემდე ამ საქმეს იძიებს, მაგრამ პასუხი არ ჩანს. სააკაშვილი და მისი ლიბერალი მეგობრების მიზანი ისტორიული რელიგიების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. მათი გეგმით, კავკასიის ხალხებში ტრადიციული ისტორიული რელიგიური მიმდინარეობები უნდა აღმოფხვრილიყო და პარალელურად, ერთსქესიანთა ქორწინებები დამკვიდრებულიყო. დღეს ,,ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები პრემიერის, პრეზიდენტის, პროკურატურის, მთელი სახელისუფლო შტოების წინააღმდეგ გამოდიან და აკრიტიკებენ. სად იყვნენ ცხრა წლის განმავლობაში, რას აკეთებდნენ? დღე არ გავა, ბიძინა ივანიშვილი რომ არ გააკრიტიკონ, კაცი, რომელმაც დანგრეული საქართველო ჩაიბარა, ავიდნენ ფუნიკულიორზე და გადმოხედონ თბილისს, ნახონ, რა კეთდებოდა მაშინ და რა კეთდება ახლა. თბილისს ახსოვს მხოლოდ პოლიციის შენობების გახსნა, სად არის მათ მიერ აშენებული 100 საავადმყოფო? ნახონ, ახლა რა აღჭურვილობა აქვთ კლინიკებს. 14 სოფელს თვალით შუქი არ ენახა. დღეს საქართველოს სოფლებში ინტერნეტი შედის, მოსახლეობას საშუალება ექნება, სოციალური ქსელებით ისარგებლოს. დაავიწყდათ, როგორი კაბინეტები ჰქონდათ? სახელმწიფო ხარჯით, ცოლებს ევროპაში აჩენინებდნენ შვილებს. ბატონმა ბიძინამ მეტად აუცილებელი საკითხი წამოჭრა, რომლის მიხედვითაც, სამართლიანობის აღდგენის ეგიდით, საქართველოს მოქალაქეებს 2016 წელს ,,ნაციონალების“ დროს წართმეული ქონება დაუბრუნდებათ.

**— აზერბაიჯანულ თემს საქართველოში რა პრობლემები აქვს?**

— თბილისის აზერბაიჯანული და აზერბაიჯანში ქართული სახელმწიფო თეატრები კულტურის სამინისტროს დაუდევრობით სათანადოდ არ ფუნქციონირებენ. გორგასლის ქუჩაზე მდებარე აზერბაიჯანულ თეატრს შევარდნაძემ სტატუსი მიანიჭა, თუმცა სააკაშვილი ამას თავის ინიციატივად ასაღებდა. 1873 წელს დაარსებული თეატრის დასი დღეს მეტად ცუდ პირობებში მუშაობს. ერთი დიდი სურვილიც მაქვს: რაშიდ ბეიბუდოვი — გასული საუკუნის ცნობილი ხელოვანი, მსახიობი და მომღერალი, ქალაქ თბილისში დაბადებული და მისი საპატიო მოქალაქე იყო, რომლის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა. კულტურის სამინისტროსა და ქალაქის მერიას იუბილის აღნიშვნა ვთხოვეთ, მაგრამ თხოვნაზე პასუხი არ მიგვიღია.



აზერბაიჯანელ მოსახლეობაში დაბალი იურიდიული განათლებაა. ამით სარგებლობენ თაღლითი ადვოკატები და უამრავი გაუხსნელი საქმე დევს მარნეულის სამართალდამცავ სტრუქტურებში. მთავრობები იცვლებიან, მაგრამ მარნეულის პროკურორი ისევ ადგილზეა. რეგიონში აზერბაიჯანული მოსახლეობა 72%-ს აჭარბებს, მაგრამ ქართულენოვანი თანამდებობის პირი ძალიან ცოტაა. სამარცხვინოა, რომ ხელისუფლება ასეთ კანდიდატებს რეკომენდაციებს აძლევს.

**— ბატონო ალი, მსოფლიო ორად იყოფა — მუსლიმანები და სხვები. ხომ არ გაქვთ ფაქტები, როცა აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები სირიასა და ერაყში ,,ისლამურ სახელმწიფოს“ შეუერთდნენ?**

— ამ საკითხზე ინფორმაციას არ ვფლობ. ისლამი და ტერორიზმი ჩემთვის სხვადასხვაა მცნებებია. ტერორისტებად არ იბადებიან, მათ ქვეყნების სპეციალური სამსახურები გარკვეული მიზნით ამზადებენ და საჭირო დროს იყენებენ. გავიხსენოთ, ვინ შექმნა ბინ ლადენი, ბასაევი და სხვები. დივერსიული ჯგუფები ქმნიან დღევანდელ მსოფლიოში არეულობას, ასრულებენ სპეციალურ დავალებებს, მათ რიგებში ითრევენ გაბოროტებულ ადამიანებს, ანუ მათ, ვინც კონფლიქტების დროს ოჯახი, ქონება, შვილები დაკარგეს. ტერორისტული იდეების გავრცელებაში ინტერნეტსივრცე და ტელეკომუნიკაციები დიდ როლს თამაშობს. როცა ხედავენ, თუ როგორ ხოცავენ ადამიანებს, დასახლებულ პუნქტებზე ბომბები ცვივა, როცა საზოგადოება ხედავს, როგორ მიასვენეს მეჩეთში 300 მოკლული ანგელოზი ბავშვი, ვიღაცის ნერვები ამას ვერ უძლებს და ხელში იარაღს იღებს, მიდის საბრძოლველად და ველარც არკვევენ, ვინ ვის მხარეს უნდა დადგეს. რაღაც იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანებული ადამიანები ალაჰის სახელით მეჩეთებსაც აფეთქებენ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებსაც, მუსლიმანებსაც ხოცავენ და სხვა სარწმუნოების მიმდევრებსაც. მათ უკან კი, დამფინანსებლები დგანან, რომლებიც მეომრებს თანამედროვე იარაღს აძლევენ. ვფიქრობ, ხშირად ამ იარაღის გამოცდა მიდის. შესაძლოა, საიდუმლოდ დარჩენილი დამფინანსებლები თავად გახდნენ მსხვერპლნი. ტერორიზმისგან არავინაა დაცული, იმდენად არაადამიანურია მათი ქცევები, ვეჭვობ, რამე სახის ახალი, უცნობი წამლის ზემოქმედების ქვეშ არიან, როცა ასეთ სისასტიკეს ჩადიან. ომები დიდი ფულის წყაროა განადგურებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, ადამიანთა დასახმარებლად უამრავი თანხა დაიხარჯება, გამოდის, რომ კაცობრიობამ ჭკუა ვერ ისწავლა, ბევრნი სხვის უბედურებაზე ითბობენ ხელს, ბიზნესინტერესებს ახორციელებენ. მეორე მსოფლიო ომის სტატისტიკა არსებობს — 50 მილიონი ადამიანი დაიღუპა, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში დაღუპულთა აღნუსხვა ჯერ არ მომხდარა. შეიძლება, უკვე 10 მილიონია დაღუპული, ამას ემატება მსოფლიოს ქვეყნებში გახიზნული ლტოლვილები, რწმენადაკარგული ადამიანები. წამყვანმა ქვეყნებმა გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადადგან, ამ ხალხს ან იარაღი დააყრევინონ, ან გაანადგურონ.

ცივილიზებული ისლამის გარდა, საქართველოში შემოსულ ექსტრემისტული ძალების უკან სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები იდგნენ. შემოსულების მარშრუტი პანკისი-თელავი, სოფლები ყარაჯალა-იორმუღალო იყო. რაღა შორს წავიდეთ, ფონიჭალაში ვაჰაბიტების მეჩეთს საძირკველი ქალაქ თბილისის მერმა, გიგი უგულავამ ჩაუყარა და საჩუქრად თანხაც გადასცა. 2012 წლის არჩევნების მერე, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, სახელმწიფომ იზრუნა და ეს დაძაბულობა მოიხსნა. შექმნა რელიგიათა სახელმწიფო სააგენტო, რომელიც ძალიან ეფექტურად მუშაობს. სასულიერო პირების — შეიხების და იმამების არჩევაში ჩარევით ცივილიზებული ისლამის მომხრეთა გაერთიანება დაიწყო. მათ სახელმწიფო აფინანსებს.

**— ამას წინათ, გიგა ბოკერია ამბობდა, სახელმწიფო ერთ რელიგიურ მიმდინარეობასაც არ უნდა აფინანსებდესო...**

— მაშინ მართლმადიდებლურ ეკლესიას რატომ აფინანსებდნენ ,,ნაციონალები“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან?

**— მუსლიმანებს არ აფინანსებდნენ?**

— არა, რა თქმა უნდა.

**— აბა, ვისგან ფინანსდებოდა მუსლიმანური თემი?**

— იმ კლანებისგან, ვისაც აზიზეის მეჩეთის აშენება უნდოდათ. იმის მომხრე ვართ, რომ სალოცავების მშენებლობა ადგილობრივი მუსლიმანების მიერ იყოს დაფინანსებული და არა — რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურებისგან.

დაფინანსების მერე, ეს ჯგუფი, გინდაარგინდა, დამფინანსებლის მონა-მორჩილი და მისი იდეების გამტარებელი ხდება. მიმაჩნია, რომ საქართველოში მოქმედი მეჩეთების აღრიცხვა და ლიცენზირება უნდა მოხდეს, გაირკვეს, ვინ რას ქადაგებს და რისკენ მოუწოდებს მოსახლეობას. ძალიან ბევრი ახალგაზრდა მორწმუნე გამოთქვამს სურვილს მედრესეებში ისლამის მოძღვრება ასწავლოს. თუკი ადრე გაურკვეველი ჯგუფების წარმომადგენლები თვითნებურად ხსნიდნენ მედრესეებს, ახლა სიტუაცია შეიცვალა, ამ პროცესს საქართველოს მუსლიმანთა შეიხი და იმამი აკონტროლებს. ყველას თავისი ახუნდი ჰყავს.

**— მედრესეების საქმიანობა და სასწავლო პროგრამები საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ხომ უნდა კონტროლდებოდეს?**

— ვეთანხმები მამუკა არეშიძეს, რომელიც ხშირად ამბობს, რომ მუსლიმანური სასწავლებელი ქართულ სინამდვილეში უნდა შემოვიდეს, ქართულ ისტორიაზე, რეალობაზე აღზრდილნი განათლებული ახალგაზრდები ქართულ მრევლს მოემსახურებიან, სხვა შემთხვევაში, გვეყოლებიან არა უცხო ქვეყნების სპეცაგენტები, არამედ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში ცივილიზებული ისლამის პოლიტიკას გაატარებენ.

კავკასიელები ტრადიციების მიმდევარი ხალხი ვართ, უნდა ვეზიაროთ ევროპულ ცივილიზაციას, მაგრამ ევროპამაც უნდა გაითვალისწინოს, რომ არის პრინციპები, რასაც გენეტიკიდან ვერ ამოშლიან.

**— ბატონო ალი, რას იტყვით შეწყალების კომისიის სკანდალთან დაკავშირებით. საკრებულოს დეპუტატი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ კომისია კორუფციის ბუდე იყო.**

— ეს ძალიან სერიოზული ბრალდებაა, რამაც ძალიან შემაშფოთა, როგორც პარტია ,,ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და პოლიტსაბჭოს ყოფილი წევრი. სამართალდამცავებმა, პროკურატურის ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ საქმე გამოიძიონ. თუკი ალეკო ელისაშვილის ბრალდებები დამტკიცდება, დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, თუნდაც თანამდებობის პირები იყვნენ. თუკი ალეკომ რამე იცოდა, ამდენი ხანი რატომ მალავდა? მაინცდამაინც ახლა რატომ გაახსენდა, როცა ,,ქართული ოცნება“ საარჩევნო კამპანიისთვის ემზადება? ბუნებრივია, ეჭვი ჩნდება: ალეკო ელისაშვილის აქტივობა არჩევნებისთვის მზადების პერიოდში ,,ქართული ოცნების“ დისკრედიტაციას ხომ არ უკავშირდება? ჩვენ ასეთი თამაშები ბევრჯერ გვინახავს, როცა ათასგვარ სისულელეს ავრცელებენ პოლიტიკური პირის, ან პოლიტიკური წრეების დისკრედიტაციის მიზნით, მტკიცებულებები არ აქვთ, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობენ.

**— ბიძინა ივანიშვილი შესაძლოა, პოლიტიკაში დაბრუნდეს. თქვენი აზრით, რას მოუტანს ეს ქართულ პოლტიკურ რეალობას?**

— მოხარული ვიქნები, თუ ,,ქართული ოცნების“ სულისჩამდგმელი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკას დაუბრუნდება, მისი დაბრუნება იმ ადამიანებს სტიმულს მისცემს, ვინც სხვადასხვა მიზეზების გამო, პოლიტიკის გარეთ დარჩნენ, მაგრამ ,,ოცნების“ იდეების ერთგულნი არიან. სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, დღეს რეგიონებში, სტრუქტურებში ბევრი ადამიანია ჩანერგილი, ვინც თავის დროზე ,,ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის წარმოებისას ჩემნაირ ხალხს ატერორებდა, ხელს უშლიდა, თუნდაც ქვემო ქართლში, კახეთსა და სხვა რაიონებში. ბატონი ბიძინას ქართულ პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება. ბიძინა ივანიშვილი, კახი კალაძე, ირაკლი ღარიბაშვილი — ეს ერთი ძლიერი გუნდია, რომელიც ქართული საზოგადოების იმედდაკარგულ ადამიანებს არჩევნებამდე მიიყვანს, გაიმარჯვებს და ,,ნაციონალური მოძრაობა“ სამუდამოდ გაქრება, როგორც პოლიტიკური პარტია.

საქართველოს დამოუკიდებლობამ ბევრი სიკეთე მოგვიტანა, მაგრამ ძნელი იყო ეს გზა. ძმათამკვლელი ომი, დანგრეული საქართველო, ქვეყნიდან გაქცეული მილიონობით მოქალაქე, მიხეილ სააკაშვილსა და მის მთავრობას 21 მილიარდი საკუთარ ჯიბეებში რომ არ გადაენაწილებინა, ქვეყანა ფეხზე დადგებოდა. ბატონმა ბიძინამ მოკლე ხანში ბევრი რამ მოასწრო, მისი პოლიტიკაში დაბრუნება კი, იმედს მაძლევს, რომ დაწყებულ სასიკეთო საქმეებს ბოლომდე მიიყვანს.

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

№ 49 (314)

16 – 22 დეკემბერი 2015

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ცნობადი სახე

# „გვეშინია, ან მკვდარი არ გიპოვონ, ან რამე უბედურება არ შეგემთხვათო...“

## ილიაუნიდან გათავისუფლებული ივანიშვილის გადაცემის ყოფილი წამყვანი არჩილ გამზარდია პოლიტიკაში მიდის?

**საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს. მართალია, ამაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ „ქართული სიტყვა“ შეეცდება, პასუხი ყველა იმ შეკითხვას გასცეს, რომელიც გამზარდიას ილიაუნიდან წამოსვლის შემდეგ გაჩნდა. თავად არჩილი პოლიტიკურ დევნაზე საუბრობს და ამბობს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან განსხვავებული პოზიციისა და გადაცემა „20/30“-ში მუშაობის გამო გაათავისუფლეს, თუმცა ეს არგუმენტი მიუღებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის, სადაც აცხადებენ, რომ არჩილ გამზარდიამ 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატს მიმართა თხოვნით, შეემცირებინათ მისთვის საათობრივი დატვირთვა, რადგან უნდა წაეყვანა ზემოხსენებული გადაცემა. როგორც „ქართული სიტყვისთვის“ გახდა ცნობილი, თავად ბიზნესის ფაკულტეტი მიმართავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, დაიწყოს მოკვლევა უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების წესით. ამასობაში, მომხდარს სტუდენტები სხვადასხვა ფორმის პროტესტით პასუხობენ და არც შიმშილობას გამორიცხავენ. მათი მოთხოვნა ერთადერთია: დაბრუნდეს გამზარდია უნივერსიტეტში იგივე სტატუსით, რაც აქამდე ჰქონდა... „ქართული სიტყვა“ არჩილ გამზარდიას ესაუბრა.**



**„მკვეთრად იმატეს წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნივერსიტეტში და რამდენადაც ვიცი, ისინი აქტიურ პროპაგანდას ეწევიან სტუდენტებში, ეს ძალიან სამწუხარო ტენდენციაა. სხვათა შორის, ეს მხოლოდ ილიას უნივერსიტეტს არ ეხება, ეს საკვანძო მომენტია – სახელმწიფო უნივერსიტეტებში ყოფილი ხელისუფლების ზეგავლენამ მკვეთრად იმატა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო რესურსები მიდის ყოფილი ხელისუფლებისა და მასთან დაკავშირებული სუბიექტების ინტერესების შესრულებაზე. ეს საშიში მდგომარეობაა“.**

— **არჩილ, ილიაუნში მუშაობა როდის და რა სტატუსით დაიწყეთ?**

— ილიაუნთან თანამშრომლობა 2007 წელს, „მოწვეული ლექტორის“ სტატუსით დავიწყე, ჯერ ჟურნალისტიკის მიმართულებით დავიწყე და PR მენეჯმენტს ვასწავლიდი, ასევე, – „გაზეთის რედაქციის ორგანიზებას“, შემდეგ ჟურნალისტიკის მიმართულება, მიუხედავად იმისა, რომ მასზე დიდი მოთხოვნა იყო, გაუქმდა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაზე მიმიწვიეს, სადაც ჯერ მეორადი მიმართულების სტუდენტებს არჩევით საგანს ვასწავლიდი, შემდეგ კი, წლების განმავლობაში, რამდენიმე არჩევითი საგანი დაემატა და მენეჯმენტის მიმართულებით, ჩემი კურსი ძირითად მიმართულებაზე გახდა: PR მენეჯმენტი, მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი, სოციალური პროექტების მართვა, დროის მენეჯმენტი, ორგანიზაციული ქცევა. ვთანამშრომლობდი როგორც ბაკალავრზე, ასევე, მაგისტრატურაზე, შემდეგ შემომთავაზეს ძირითადი სავალდებულო საგნების – „თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლების“ და „PR მენეჯმენტის“ წაკითხვა.

— **თავიდან უნივერსიტეტში თქვენს მიმართ როგორი დამოკიდებულება იყო?**

— უნივერსიტეტში თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობდი, მუშაობისა და თვითრეალიზაციის სრული საშუალება მქონდა. 2010 წლიდან, უფრო აქტიური გავხდი საზოგადოებრივ სარბიელზე, ხშირად გამოვდიოდი კრიტიკით მაშინდელი ხელისუფლების მიმართ, თუმცა ამას უნივერსიტეტში მუშაობაში ხელი არ შეუშლია. ჩემთვისაც ეს სივრცეები ყოველთვის გამიჯნული იყო, რადგან უნივერსიტეტში სტუდენტებს პროფესიულ საგნებს ვასწავლიდი, საზოგადოებრივი პროცესი კი, ამისგან დამოუკიდებელია. ამ მხრივ, მაშინდელი ადმინისტრაციაც ყველა პირობას მიქმნიდა, ჩემგან ითხოვდა საუნივერსიტეტო საქმის შესრულებას და რაკილა ყოველთვის მოწადინებული ლექტორი ვიყავი, ამასთან, მაღალი პასუხისმგებლობითა და სტუდენტებთან განსაკუთრებული ურთიერთობითა და ავტორიტეტით გამომარჩევდნენ, მუდმივად ცდილობდა, მეტად ჩავრთულიყავი საუნივერსიტეტო საქმიანობაში – მთავაზობდა მეტ დატვირთვას და უნივერსიტეტისთვის მეტი დროის დათმობას.

— **პირველად როდის შეამჩნიეთ, რომ ადმინისტრაციას თქვენი უნივერსიტეტში მუშაობა აღარ სურდა?**

— მიმდინარე შემოდგომას, სემესტრის დაწყების წინ, თუმცა ტერმინი „შემჩნევა“ ცოტა უფრო ბუნდოვანი კვალიფიკაციაა, რადგან ფაქტების წინაშე დავდექი. ვთქვი, მინდა, გაზაფხულის სემესტრში დროებით პროექტში ჩავერთო, რომელიც შემოდგომამდე გასტანს და საათები შედარებით შემიმცირეთ, შემოდგომაზე კი, ავანაზღაურებ-მეთქი. მომავალში, შედარებით მცირე ნაკადი მოდიოდა და ამ დატვირთვის დაბალანსება სავსებით შესაძლებელი იყო. ისიც შევნიშნე, რომ თუ უნივერსიტეტისთვის პრობლემა და შეუძლებლობა იყო, დატვირთვა დროებით ნაწილობრივ შემემცირებინა, აღვნიშნე, რომ რაღაცას მოვახერხებდი და უნივერსიტეტის ინტერესებს მეტად გავითვალისწინებდი, მაგრამ როგორც გავიგე, პრობლემა არ არსებობდა. შესაბამისად, მშვიდად დაველოდე შემოდგომის სემესტრს.

თავიდანვე ვაცხადებდი, რომ „20/30“ დროებითი პროექტი იყო და ასეც მოხდა – საშემოდგომოდ, ჩვეული დატვირთვისთვის მოვემზადე, მაგრამ სიახლეების წინაშე აღმოვჩნდი: შეიცვალა დეკანი, ბიზნეს სკოლის ხარისხის სამსახურში ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები გააქტიურდნენ, ხუთი საგნიდან სამი პროგრამიდან ამოიღეს, ერთი საგანი ყოველი სემესტრის ნაცვლად, მხოლოდ ერთ სემესტრში გადაიტანეს, რასაც დატვირთვის განახევრება მოჰყვა. კიდევ ერთი საგანი „PR მენეჯმენტი“ კი, სხვა მიმართულების ლექტორს მისცეს. დატვირთვის შემცირება განსაკუთრებულ პრობლემად არ ჩამითვლია, თუმცა აღმოჩნდა, რომ გაზაფხულის სემესტრში ჩემთან თანამშრომლობა საერთოდ აღარ იყო გათვალისწინებული. ამ საკითხებზე საჯაროდ არაფერი მითქვამს, ვიდრე დეკანს არ შევხვდი. დეკანმა აღნიშნული მოცემულობა საგნებთან მიმართებაში დაადასტურა და მითხრა, რომ ეს საკითხები მისი პრობლემა არ იყო. შევთავაზე, რომ იქნებ, არსებულ მოცემულობაშიც გადაგვეხედა თანამშრომლობის შესაძლებლობაზე, რადგან ხაზი გავუსვი ილიაუნის მიმართ ჩემს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. დეკანმა ამისგანაც თავი შორს დაიჭირა. ასევე, ვკითხე, შემოდგომაზე თუ იქნებოდა სტაბილურად გააზრებული იგივე დატვირთვა, რაც ახლა იყო, მაგრამ ამიხსნა, რომ ცვლილებებს ამ კუთხითაც აპირებდა.

შესაბამისად, განახლებული ადმინისტრაციის დამოკიდებულება და გეგმები სრულიად ლოგიკური გახდა.

— **სტუდენტები უნივერსიტეტიდან თქვენს წასვლას აპროტესტებენ...**

— ძალიან მადლიერი და გახარებული ვარ. წლების განმავლობაში, ჩემი საქმიანობის მთავარი მოტივაცია სწორედ სტუდენტობა იყო, ისინი მქმნიდნენ და ყოველთვის ვამბობდი, მათთან მუდმივად ვალში ვიქნები-მეთქი. მახსოვს, ჩემი ერთი კოლეგის სიტყვები, რომელიც დღეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსია, მაშინ კი დეკანის მოადგილე იყო: არჩილი სტუდენტების ცხოვრებით ცხოვრობს და ყოველთვის ცდილობს, მათ გვერდით იყოსო.

ცხადია, შეცდომებიც მქონია, შეუძლებელია, ყველას ყოველთვის სწორად ექცეოდე, მაგრამ ფაქტია: სტუდენტები ჩემთვის ყველაზე უპირატესები იყვნენ. დღეს ეს იმაზე მეტად დამიფასდა, ვიდრე ვიმსახურებ – ჩემს მიმართ სტუდენტობამ განსაკუთრებული თანადგომა გამოხატა, ეს საოცარი შეგრძნებაა, რომელიც ყველანაირ სამსახურზე მაღლა დგას.

ძალიან ბედნიერი დავტოვებ სამსახურს, რომელიც ჩემს სამსახურებში ჯერჯერობით ყველაზე ხანგრძლივი და გამორჩეული იყო.

— **არჩილ, ტელეკომპანია GDS-ზე კვირის საინფორმაციო-პოლიტიკური გადაცემა „20/30“-ის წამყვანი იყავი, რომელიც ყოფილ პრემიერთან ასოცირდებოდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი კი, უფრო ყოფილი მმართველი გუნდის საყრდენად ითვლება. თქვენს გათავისუფლებას სარჩულად პოლიტიკური საბაბი ხომ არ დაედო?**

— პასუხი თქვენსავე კითხვაშია: ჩემს შევიწროებაზე სწორედ ილიაუნის ამ ფაქტორმა იმოქმედა. პრობლემა ისაა, რომ უნივერსიტეტი პოლიტიკურ გარემოდ აღიქმება, უნივერსიტეტში აკადემიურ საქმიანობას ვეწეოდი და არა – პოლიტიკურს, რომ ვინმეს ინტერესთა კონფლიქტად ჩაეთვალა. ვერავინ იტყვის, რომ ოდესმე ლექციაზე არასასწავლო თემაზე მისაუბრია, მით უმეტეს, პოლიტიკურ საკითხებზე. ამდენად, ილიაუნის ადმინისტრაციის დამოკიდებულება გაუგებარი და თავისთავად, არასწორია. ისინი ილიას უნივერსიტეტს პოლიტიკურ ინსტრუმენტად იყენებენ. ეს ხომ ტელევიზია არაა, სადაც ამის შესაძლებლობაც დევს და უფლებაც. სასწავლებელი პოლიტიკური თუ სხვა ტიპის იდეოლოგიური გავლენისაგან დაცული უნდა იყოს!

— **ილიაუნში კონკრეტულად რა არ მოგწონდათ, რითი დაადასტურებთ იმას, რომ ხელმძღვანელობა ყოფილ ხელისუფლებასთანაა შეკრული და სწავლების პროცესიც მისი გეგმით მიდის?**

— უპირველეს ყოვლისა, მიმდინარე შემოდგომიდან ადმინისტრაციის მიდგომებითა და დეკანის გულგრილობით ძალიან გაკვირვებული დავრჩი. ილიაუნში მუშაობისას, წლების განმავლობაში, უფრო სხვა დამოკიდებულებებს ვიყავი შეჩვეული – ადმინისტრაცია გვერდით მაქსიმალურად მედგა, მაძლევდა საქმიანობის საშუალებას, სრული აკადემიური თავისუფლება მქონდა. დღისით ვატარებდი ლექციებს, საღამოს, ვთქვათ, გამოვიდოდი რომელიმე არხზე, ვაკრიტიკებდი ხელისუფლებას და ა.შ. იმ წლებში, სტუდენტებს ხშირად უთქვამთ, სულ გვეშინია, განსხვავებული აზრისა და ხელისუფლების კრიტიკისთვის ან მკვდარი არ გიპოვონ, ან რაიმე უბედურება არ შეგემთხვათ, ან უნივერსიტეტიდან არ გაგიშვანო, მაგრამ მსგავსი რამ უნივერსიტეტში არ მომხდარა, პირიქით, გვერდში ყველანაირად მედგნენ. მეც მაქსიმალურად ვცდილობდი, ეფექტიანად მემუშავა.

წლევანდელი შემოდგომიდან კი, ყველაფერი შეიცვალა – გულგრილი დეკანი, ჩემი მოშორებით დაინტერესება, მაქსიმალური რეპრესიები და ა.შ. მკვეთრად იმატეს წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნივერსიტეტში და რამდენადაც ვიცი, ისინი აქტიურ პროპაგანდას ეწევიან სტუდენტებში, ეს ძალიან სამწუხარო ტენდენციაა.

სხვათა შორის, ეს მხოლოდ ილიას უნივერსიტეტს არ ეხება, ეს საკვანძო მომენტია – სახელმწიფო უნივერსიტეტებში ყოფილი ხელისუფლების ზეგავლენამ მკვეთრად იმატა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო რესურსები მიდის ყოფილი ხელისუფლებისა და მასთან დაკავშირებული სუბიექტების ინტერესების შესრულებაზე. ეს საშიში მდგომარეობაა.

— **გადაცემა „20/30“-დან რატომ წამოხვედით, ან როგორ გგონიათ, ამ პროექტში მისვლა სწორი გადაწყვეტილება იყო?**

— „20/30“-ში, უპირველეს ყოვლისა, ისე მივედი, როგორც საზოგადოებაში; გადაცემის წამყვანობა ამას მოჰყვა. ამ საზოგადოებაში უამრავი საინტერესო სპეციალისტია და საშუალება მქონდა, მრავალ მათგანთან ერთად, მნიშვნელოვან საკითხებზე მემუშავა. პროექტი დროებითი იყო და დასრულდა. გარკვეული გაუგებრობები მქონდა ერთ-ერთ კოლეგასთან, რაც შემდგომ გაირკვა და სიტუაცია დალაგდა.

ბიძინა ივანიშვილის მოწადინებითა და ვასილ მაღლაფერიძის მიწვევით, მოგვიანებით გავაგრძელე თანამშრომლობა ტელეკომპანიასთან და დღესაც ვთანამშრომლობ ჩემი პროფესიით, მრჩეველის ხაზით.

— **კულუარებში თქვენსა და ბიძინა ივანიშვილს შორის მომხდარ განხეთქილებაზე საუბრობენ, რის გამოც გადაცემიდან წამოხვედით. ამას უარყოფთ?**

— ეს საუბრები ძალიან ღიმილისმომგვრელია. ბიძინა ივანიშვილი ერთ-ერთი იშვიათი ადამიანია, რომელთან თანამშრომლობაც ძალიან საინტერესო პროცესია, მისი მხრიდან ყოველთვის ვგრძნობდი პატივისცემასა და მხარდაჭერას. „20/30“-დან წამოსვლის შემდეგაც პირადად დამიკავშირდა და გამოხატა თანადგომა. მისივე ინიციატივით, შემდგომ გავაგრძელე თანამშრომლობა „ჯი-დი-ეს“-თან. მიუხედავად იმისა, რომ „კვირის 20/30“ მისი პროექტი იყო, არასდროს ჩარეულა ჩემს საქმიანობაში, პირიქით, მუდმივად მხარს მიჭერდა, მაშინაც კი, როდესაც საკითხებზე განსხვავებული შეხედულებები გვქონდა. თავადაც არაერთხელ შეუნიშნავს, არჩილი სხვა რამეს მეუბნება, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობო...

„20/30“-დან წამოსვლის წინაც და შემდეგაც არაერთხელ შევნიშნე, რომ ეს პროცესი ბიძინა ივანიშვილს არ უკავშირდებოდა. ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა და დღესაც გვაქვს.

— **არჩილ, წეღან ახსენეთ, რომ გადაცემაში ერთ-ერთ კოლეგასთან ინციდენტი შეგემთხვათ. ვინ იყო ეს კოლეგა, ან რა იყო ამის მიზეზი?**

— რამდენადაც ეს საკითხი ამოწურულია და გაუგებრობა დალაგებული, ცხადია, ამაზე საუბარი არც ღირს და სურვილიც არ მაქვს.

— **პოლიტიკაში მოსვლას ხომ არ აპირებთ?**

— ჩემი სამომავლო გეგმები პოლიტიკაში წასვლას არ უკავშირდება, გარკვეული შემოთავაზებები წინა პერიოდში კი მქონდა, თუმცა ჩემთვის საინტერესო არ აღმოჩნდა. თუ საინტერესო წინადადებები იქნება, შესაძლოა, ამ თემაზე დავფიქრდე კიდეც, თუმცა ამ მომენტისთვის, ამ საკითხზე არ მიფიქრია. ამჟამად ვეწევი საზოგადოებრივ, ანალიტიკურ და პედაგოგიურ საქმიანობას. გარკვეულ სიახლეებსაც ველი.

**ესაუბრა დავით დოლიძე**

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

## საინფორმაციო მხარდაჭერა





1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი ), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

**პროგრამის ხანგრძლივობა მესამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;**

სწავლის საფასური 1200 ლარი.

**პროგრამის ხანგრძლივობა მეოთხე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;**

სწავლის საფასური 1500 ლარი.

**პროგრამის ხანგრძლივობა მეხუთე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებით;**

სწავლის საფასური 1500 ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

**პროგრამის ხანგრძლივობა მეოთხე საფეხურზე 60 კრედიტი (ორი სემესტრი);**

სწავლის საფასური 1500 ლარი.

**პროგრამის ხანგრძლივობა მეხუთე საფეხურზე – 120 კრედიტი (ოთხი სემესტრი);**

სწავლის საფასური 1500 ლარი (წლიური).

**„თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“ აცხადებს სტუდენტთა მიღებას პროფესიული პროგრამების ფაკულტეტზე:**






კურსდამთავრებულს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებლის შესაბამისად მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**საბუთები მიიღება 1 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე.
სწავლა დაიწყება 28 სექტემბერს.**

საბუთების ნუსხა: სკოლის ატესტატი, ვაჟებისათვის სამხედრო აღრიცხვის ბარათი,

2 ფოტო სურათი (3X4), დაბადების მოწმობა, განცხადება.

სურვილის შემთხვევაში გადახდის გრაფიკი შედგება ინდივიდუალურად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. 55
ტელ.: 2960104
tbuniver.edu@gmail.com

№ 49 (314)
16 – 22 დეკემბერი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული შედევრები

# ჩვენი პატარა ქალაქის დიდი სპექტაკლი



**ამ სპექტაკლზე თეატრმცოდნეები იმთავითვე წერდნენ, რომ არ ებადებოდათ დამანგრეველი სურვილი რეცენზიის, როგორც ასეთის, დაწერისა და ამ სპექტაკლის შესაფასებლად საგანგებოდ იგონებდნენ ჟანრს, რომელსაც მოიხსენიებდნენ „სიყვარულის ახსნად“.**

**„მართლაც, რა იშვიათად შეგვიძლია ვუთხრათ თეატრს: „მე შენ მიყვარხარ“ – ამ შემთხვევაში კი, ეს უპრიანია, რადგან ეს სიყვარული ორმხრივია, რადგან მთელი ამ სპექტაკლით თეატრი აღიარებს, რომ მე მას ვუყვარვარ. იგი ორივე ხელს გვიწვდის და მოალერსე ტალღები გვათავისუფლებენ ცხოვრებისა და სიკვდილის, ყოფიერების სპაზმების, მარტოობის და კომპლექსების ყოველდღიური შიშისგან,“ – წერდა მ. დმიტრიევსკაია...**

**სწორედ ამ ჟანრს – „სიყვარულის ახსნას“ თუ განეკუთვნება ის, რასაც ახლა ვწერ, ამდენი წლის შემდეგ ამ სპექტაკლზე...**

მე თეატრში ერთადერთხელ წამსკდა ცრემლები, არა, – ორჯერ, თუმცა ერთი და იმავე სპექტაკლზე. ეს იყო სწორედ მიხეილ თუმანიშვილის „ჩვენი პატარა ქალაქი“. პირველად რომ ვნახე, თუ არ ვცდები, 18 წლისაც არ ვიყავი, მეორედ ათზე მეტი წლის შემდეგ ვნახე, მაგრამ განცდა, რომელიც თეატრიდან გამომყვა, ოდნავადაც არ შეცვლილა. ძალზე ძნელია იმ მდგომარეობის გადმოცემა, მაგრამ ზუსტად ვხვდები, ეს იყო ის, რასაც კათარზისს უწოდებდა არისტოტელე და მეტიც, ვიყავი ერთობ უჩვეულოდ: მიუხედავად იმისა, რომ ერთობ დამაფიქრებელი და, როგორც ნოდარ გურაბანიძე უწოდებს, დიდი მაესტროს ყველაზე სევდიანი და ასკეტური სპექტაკლი ვნახე, საოცარ სიმსუბუქეს, სინათლეს, სითბოს ვგრძნობდი. სპექტაკლი ამ ცხოვრების წარმავლობაზე იყო და ვგრძნობდი, რომ ბევრად უფრო მეტად მიყვარდა ეს წარმავალი ცხოვრებაც და საერთოდ, ადამიანებიც. თითქოს უფრო კეთილი, დამთმობი და მიმტევებელი გავხდი. და რაც მთავარია, მქონდა განცდა, რომ შევჩერებულიყავი, შემეჩერებინა ცხოვრების გაქანებული ტემპი და დავკვირვებოდი ირგვლივ ყველაფერს, ყურადღება მიმექცია ყველა იმ წვრილმანისთვის თუ მსხვილმანისთვის, რაც ჩემს გარშემო ხდება, უფრო ყურადღებიანი ვყოფილიყავი იმ ადამიანების მიმართ, ვინც ჩემს გვერდითაა, გარეშემოა... გავფრთხილებოდი მათ... არადა, მაშინ, არც სპექტაკლის პირველად და არც მეორე ნახვისას, ნამდვილად არ მქონდა წაკითხული ამ სპექტაკლის ექსპლიკაცია, რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდა შესანიშნავ წიგნში – „მიხელ თუმანიშვილი თხზავს“. ექსპლიკაციაში მიხეილ თუმანიშვილი ამ სპექტაკლის იდეას ასე აყალიბებს: „ადამიანებო, შეჩერდით, ნუ ჩქარობთ, მიმოიხედეთ, მიაქციეთ ყურადღება იმას, რაც თქვენს გარშემო ხდება, მათ, ვინც თქვენს გვერდითაა“... ანუ, მე, როგორც ერთ-ერთ მაყურებელს, დამემართა ზუსტად ის, რაც დიდმა მაესტრომ ჩაიფიქრა...



ეს იყო და დღესაცაა, მართლაც, საოცარი სპექტაკლი, რომელიც წლების განმავლობაში ინარჩუნებდა და ინარჩუნებს მაყურებელზე ზემოქმედების შემაძრწუნებელ ძალას. არადა, სპექტაკლის პრემიერა 1983 წელს შედგა, მას შემდეგ თაობები გამოიცვალა სპექტაკლში, იზრდებოდნენ შვილების როლთა შემსრულებელნი, მათ მომავალი თაობის არტისტები ენაცვლებოდნენ, ამ ქვეყნად აღარაა სპექტაკლის განუმეორებელი წამყვანი – „რეჟისორის თანაშემწე“ – გოგი გეგეჭკორი და რაც მთავარია, გაისად უკვე 20 წელი შესრულდება, რაც თავად ამ სპექტაკლის შემოქმედი მიხეილ თუმანიშვილი ცოცხალი აღარაა, მაგრამ ცოცხალია მისი შემოქმედება...

არადა, მაესტრო თუმანიშვილი წუხდა, როგორც ცხოვრების, ისე თეატრალური ხელოვნების წარმავლობაზე...

„გუშინ, სასაფლაოზე ვიყავი და კვლავ ამა სოფლის წარმავლობაზე წამომეშალა ფიქრები: ჩვენ არარაობიდან ვჩნდებით და არარაობაში მივდივართ. დასაწყისი და დასასრული, მათ შუა კი, ამაო ფაციფუცი, რისი გულისთვისაც ვევლინებით ამ ქვეყანას. ისე, კაცმა რომ თქვას, სასაცილოა – მოხვიდე იმისთვის, რომ წახვიდე! მაგრამ, მაშინ შენი მყოფობის კვალი მაინც უნდა დატოვო. ხეზე ჭდე გაკვეთო, ან თუნდაც, სადღაც კლდეზე, გამოქვაბულში ბიზონი ამოკაწრო, ანდა, რამე სხვა ნიშანი: „მე აქ ვიყავი, წავედი იქა და იქ“. აბა, რა ნიშანი შეიძლება დატოვოს რეჟისორმა? მოძრაობა სივრცეში და ემოციები? მაგრამ ამის დაფიქსირება ხომ შეუძლებელია,“ – წერდა მიხეილ თუმანიშვილი, ვარაუდობდა, რომ რეჟისორს ცოტათი მაინც წინ უნდა წაეწია თავისი დროის თეატრალური ტვირთი, თუ მას ეს ძალუძდა. ასკვნიდა, რომ რეჟისორი დარჩენილი კვალით, ნიშნით ფასობდა, ასახელებდა კიდეც რეჟისორებს, ვინც ეს შესძლო და საოცარი თვითკრიტიკულობით წერდა საკუთარ თავზე: „მაქვს კი, საკუთარი სახე, შევძლებ კი, წინ წავწიო თეატრი, თუნდაც რამდენიმე მილიმეტრით? ფუჭი ხომ არ არის ეს ჩემი ფაციცუფი, ათვლის ორ წერტილს შუა ამაო ფაციფუცი. ამაზე პასუხს არავინ გამცემს, ეს ჩვენს მერე, მრავალი წლის მერე გამოჩნდება“.

არადა, ეს მაშინვე ჩანდა და ახლა კი უკვე ნათლად ჩანს, რომ მის „ფაციფუცს“ ფუჭად არ ჩაუვლია და სწორედ მისმა „ფაციფუცმა“ განსაზღვრა დიდწილად ქართული თეატრის სახე, სწორედ ის მოგვევლინა ქართული თეატრის ბედის მწერლად.

მას აღელვებდა თეატრის წარმავალი ბუნება, ის, რომ სპექტაკლი კვდება დასრულებისთანავე და მეორედ უკვე სხვა სპექტაკლი თამაშდება, რომ მას ვერც ფირზე აღბეჭდვით მოიხელთებ... დასრულდება სპექტაკლი „და თითქოს მე არც რამ შემიქმნია და სპექტაკლი არც კი ყოფილა... მთელი ჩემი არსებით, მისი ყოველი უჯრედით, ფიზიკურად ვიგრძენი, სულის ყველა სიმით შევიგრძენი, რომ ჩემი ხელოვნება მოჩვენებითია, ვითარცა სიზმარი...“

იგი ამ ქვეყნად აღარაა, მაგრამ მისი ორი სიზმარი („ბაკულას ღორები“, „ჩვენი პატარა ქალაქი“) დღემდეა მის მიერ დაარსებული თეატრის რეპერტუარში... „ჩვენი პატარა ქალაქი“, „ჭინჭრაქასთან“ ერთად, მიხეილ თუმანიშვილის ყველაზე საყვარელი სპექტაკლი იყო, ამ ფაქტს ნათელა ურუშაძე იმით ხსნიდა, რომ ყველა პრობლემამ, რომელიც თუმანიშვილისთვის ამაღელვებელი იყო ცხოვრებისეულად და შემოქმედებითად, სწორედ ამ სპექტაკლებში აღმოჩნდა თავმოყრილი და გამოვიდა თავისებური თეატრალური რომანი. „იმდენი ადამიანის ცხოვრება, იმდენი ფიქრი და განცდა დაიტია, ეს სპექტაკლი თავისი აგებულებით თავისებური სიმფონიაცაა,“ – წერდა ნათელა ურუშაძე და დასძენდა, რომ „შეიძლება ითქვას, ეს წარმოდგენა მისი პორტრეტია“.

თავადაც წერდა: „ფაქტობრივად, სპექტაკლი არის ჩემი დღიური. ის, რაც მაღელვებს, რაც მაწუხებს, რისგანაც ბედნიერი ვარ. ხალხს ჰგონია, სპექტაკლს რომ ვაკეთებ, ავტორს ვდგამ. არადა, ავტორის სიტყვებს, რემარკებს, ჩემი ფიქრის, ჩემი გრძნობების გამოსახატად ვიყენებ“.

ამბობდა ამას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თუმანიშვილი პიესებზე ძალადობდა, როგორც ძალადობს მრავალი რეჟისორი. არა, ის საგანგებოდ არჩევდა იმ პიესებს, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა მის იმჟამინდელ წუხილს და საფიქრალს. ამჯერადაც ასე მოხდა, როგორც თავად წერდა, მან და ეროსი მანჯგალაძემ გადაწყვიტეს, დაედგათ სპექტაკლი წარსულზე, განცდილზე, გარდასულზე, თითქოს დავიწყებულზე, სიკვდილზე, ქორწილზე... ესაუბრათ იმაზე რაც განუცდიათ და უნახავთ სიცოცხლეში. მიხეილ თუმანიშვილმა თორთონ უაილდერის „ჩვენი პატარა ქალაქი“ შესთავაზა ეროსი მანჯგალაძეს, მიაჩნდა, რომ ეს ნაწარმოები შეესაბამებოდა მის განწყობილებებს. შემდეგ დაიბადა ამ ნაწარმოების გადმოქართულების იდეა, რაც ეროსი მანჯგალაძის თხოვნით, წარმატებით განახორციელა კიდეც რეზო გაბრიაძემ. დაიწყეს რეპეტიციებიც, ჰორიზონტზე გამოიკვეთა კიდეც, რომ სპექტაკლი გამოდიოდა, მაგრამ... გარდაიცვალა ეროსი მანჯგალაძე, ეროსის ჩაენაცვლა გოგი გეგეჭკორი, სპექტაკლი მაინც დაიდგა, მიეძღვნა ეროსი მანჯგალაძის ხსოვნას და მოვიდა ჩვენამდე, მაყურებლამდე...

„ჩვენი პატარა ქალაქი“ გადმოქართულების ბრწყინვალე ნიმუშია. მასში შენარჩუნებულია დედანის ძირითადი სიუჟეტური ხაზი, ავტორის ფილოსოფია, მისი ლირიზმისა და იუმორის ერთგვარი სინთეზი, რის საფუძველზეც გაბრიაძემ შექმნა თავისი სულისკვეთებით, კოლორიტით, ხასიათებით, ტემპერამენტით, პერსონაჟთა ურთიერთობით, ფსიქოლოგიით ნამდვილი ქართული ნაწარმოები,“ – წერდა ნოდარ გურაბანიძე.

დიახ, ჩვენ დიდი აშშ-ის პატარა ამერიკულ ქალაქზე კი არა, ჩვენი პატარა ქვეყნის კიდევ უფრო პატარა ქალაქზე და იმ ქალაქის მკვიდრებზე გვიამბობდნენ და მაინც, რა იყო ამ ნაამბობში ისეთი, რაც ასეთ წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე?

ჩვენს თვალწინ თამაშდებოდა ორი, მეზობლად მცხოვრები ოჯახის ისტორია, არა, კი არ თამაშდებოდა, ჩვენ თვალწინ

გაგრძელება მე-15 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

16 – 22 დეკემბერი 2015 | № 49 (313) | 15

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა



მე-14 გვერდიდან

გაიელვებდა მთელი მათი ცხოვრება კადრებად... აქ ყველაფერს აზრი ჰქონდა: ყველა დეტალს, ნიუანსს, წვრილმანს, ჰქონდა იმიტომ, რომ ერთის მხრივ, თავად პერსონაჟები ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას ამ ცხოვრების ნებისმიერ რხევას და მეორეს მხრივ, მსახიობები ავლენდნენ გამაოგნებელ გულმოდგინებას ნებისმიერი წვრილმანის, დეტალის, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ეპიზოდის თამაშისას.

დღემდე არ მავიწყდება სცენა, როდესაც ნინელი ჭანკვეტაძის გმირი ჩაის უმზადებს დილით შვილებს, არადა, როგორც თეატრში იტყვიან ხოლმე, ამ დროს ნამდვილად არაა ნინელი ჭანკვეტაძის სცენა, წინა პლანზე სხვა მსახიობები მოქმედებენ...

აქ, ამ სპექტაკლში არავინაა მთავარი გმირი, აქ ყველა მთავარია, ისევე როგორც ცხოვრებაში... ამიტომაცაა, რომ დღემდე თვალწინ მიდგას რუსუდან ბოლქვაძის იანგაროზა, ზურაბ ყიფშიძის გალოთებული მხატვარი...

აქ, ამ სპექტაკლში ყველა მთავარია, აქ წარსულიცაა, მომავალიც, აწმყოც... აქ საიქიოც და სააქაოც ერთ სივრცეში, ერთ განზომილებაშია... ამ სპექტაკლის პირველი ორი მოქმედება შემზადებაა მესამე მოქმედებისთვის, რომელსაც ძნელია, გაუძლო....

მცირე ხმაური, ფოთოლთა შრიალი, წვიმის წვეთების ხმა, მინორული მუსიკა, შუქ-ჩრდილები, გარინდებული გარდაცვლილები და სადად ნათქვამი: „წვიმს“... საკმარისი იყო იმისთვის, რომ ლამის მართლაც, იმ ქვეყნად გეგრძნო თავი, იმ ქვეყნად, საიდანაც ბრუნდებოდნენ ამ ქვეყნად იმისთვის, რომ ჩვენ გვეგრძნო მარადიულობიდან ყოველდღიურობაში დაბრუნების ეფემერულობა და შეუძლებლობა...

ამ ქვეყნად უდროოდ გარდაცვლილი ნესტანი საკუთარ დაბადების დღეზე ბრუნდებოდა, აკვირდებოდა მშობლებს, იმას, თუ როგორ იხსენებდნენ ისინი ნესტანს... ისევ ემშვიდობებოდა საკუთარ სახლს გარდაცვლილი ნესტანი, რომელიც თითქოს იმისთვის დაბრუნდა, რომ ჩვენთვის ეთქვა: „არის კი ვინმე ამ ქვეყანაზე, ვინც ამ ქვეყანაზევე ყოველ წამს გრძნობდეს, რა არის სიცოცხლე? მიწავ, რა წარმტაცი ხარ? ო, სიცოცხლევ, იმდენად წარმტაცი ხარ, რომ შეუძლებელია, ადამიანმა იცოდეს შენი ფასი..“

თუ წამით, ნესტანის გადმოსახედიდან გადმოხედავ ჩვენს ცხოვრებას, მიხვდები, მართლაც, რა სასაცილონი ვართ ამაოდ მოფუსფუსენი, რა წარმავალია გარშემო ყველაფერი...

„მაშასადამე, არც ჰქონია აზრი ამ ქვეყნად ყოფნას, რადგან მხოლოდ მარადიულობაში მყოფს შეუძლია ჩასწვდეს ადამიანის არსებობის აზრს! ასეა? მაგრამ, აი, რაღაც იძვროდა ჩვენს სულში, რაღაც სხვა აზრი ტრიალებდა ჩვენს გონებაში. მიხეილ თუმანიშვილი, რეზო გაბრიაძე და თეატრი სხვა ნიშანს გვაძლევდნენ – სწორედ ცხოვრების ჩვეულებრივობაში, მის წარმავლობაში, წვრილმანებში, პატარ-პატარა კომედიებსა თუ დრამებში უნდა ვიპოვოთ და დავინახოთ ჩვენი არსებობის აზრი და სილამაზე, სულის სიღრმეებით ვიგრძნოთ სიცოცხლის ყოველი წამი, რადგან იგი არსებობის აზრითაა სავსე...“ (ნ. გურაბანიძე).

**რეზო შატაკიშვილი**

ვინ გვარცხვენს და ვინ გვახარებს

# რეესტრი „გამათხუე“

## რატომაა უმაქნისი 18 წლამდე ქორწინების რეგისტრაციის შეზღუდვა-აკრძალვა

**„ვეფხისტყაოსნის“ მე-16-17 საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის არშიას ამშვენებს მინაწერი: „უფალო, გამათხუე“... და ეს ხელნაწერი შესრულებულია დედათა მონასტერში, მონაზვნებისა და მორჩილთა მიერ და სწორედ მონაზონს, ან მორჩილს ეკუთვნის ეს ვედრებაც უფლისადმი, რომელიც თავისი არსით ნაღვლიანიცაა და ღიმილის მომგვრელიც – მონაზონი, გნებავთ, მორჩილი გათხოვებაზე ოცნებობს...**

რამ გამახსენა ეს მინაწერი და მორჩილის ვედრება? – ჩვენი კანონმდებლების დაუღალავმა რუდუნებამ ნაადრევი ქორწინების შესაჩერებლად... თუ აქამდე 16 წელს მიღწეული გოგონას დასაქორწინებლად (18 წლამდე) საჭირო იყო მშობლის თანხმობა, ახლა ეს უფლება სასამართლოს გადაეცემა, სასამართლო გადაწყვეტს, დართოს თუ არა 16 წლის გოგონას გათხოვების ნება და ესეც დროებითი ყოფილა, როგორც ამ საკანონმდებლო ინიციატივის ავტორმა, შუაშისტების ქალღმერთმა თამარ კორძაიამ მოგვახსენა, მალე საქართველოში 18 წლამდე პირების ქორწინება საერთოდ აიკრძალება, რადგან ამას ითვალისწინებს ბავშვთა უფლებების კონვენცია და, თურმე, ნუ იტყვით და, ამ ჩვენს კანონმდებლებს წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაუდგამთ არასრულწლოვანთა ინტერესების დასაცავად.

მოდი, თანმიმდევრულად მივყვეთ, როგორაა ეს ნაბიჯი გადადგმული, მართლა წინაა გადადგმული და მიწაზე მყარად დაეშვება, თუ ჰაერში დარჩება აშვერილი?

დავიწყოთ ჯერ იქიდან, რატომ მოხდა მშობლების თანხმობის ჩანაცვლება სასამართლოთი?

საერთოდ, ამ საკითხის ინიციატორი ომბუდსმენია და სწორედ მისი მტკიცებით, ხშირ შემთხვევაში, სწორედ მშობლები ყოფილან დამნაშავენი, რომ გოგონები ნაადრევად ქორწინდებიან. ომბუდსმენი განმარტავს:

**„გამომდინარე იქიდან, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების ინიციატორები ხშირად არასრულწლოვანთა მშობლები არიან და ზოგიერთ შემთხვევაში, ქორწინება მათი იძულებითაც კი ხდება, ცვლილება შესაძლებლობას მოგვცემს, ასეთი ტიპის შემთხვევების პრევენცია მოვახდინოთ და პატივსადები მიზეზის არსებობისას სასამართლომ იმსჯელოს არასრულწლოვან პირთა ქორწინების შესაძლებლობაზე.“**

ამ მხრივ ვერ შეედავები, ხშირად, მართლაც, მშობლების ინტერესშია გოგონას ნაადრევად გათხოვება და ამის საილისტრაციოდ ომბუდსმენს თავის ანგარიშში ის ფაქტიც მოჰყავდა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალაში, მამამ თავისი გოგო 45 წლის კაცს 10 ძროხად რომ მიჰყიდა.

ერთის მხრივ, სწორია, მაგრამ ყველა მშობელი ასეთი „ინიციატივიან-მოძალადეა“? და ამ ქვეყანაში მოსამართლე უფრო იზრუნებს არასრულწლოვანზე, ვიდრე ის, ვინც 16 წელი ზარდა?

ერთი წამით წარმოიდგინეთ: მოინდომა გოგომ გათხოვება, კატეგორიული წინააღმდეგი არიან მშობლები, მაგრამ მიადგა გოგო იმ თავის ვაჟბატონთან ერთად სასამართლოს და იმ სასამართლომ დართო ნება...

ახლა, არ მითხრათ, რომ ურთმელიძე ერთი იყო, გამონაკლისიო...

**ნუ შეეცდებით იმის მტკიცებას, რომ ამ ქვეყანაში ყველა მშობელი ცალტვინა და მოძალადეა და ყველა მოსამართლე ოფლად იღვრება სამართლიანობის მსახურებაში...**

და საერთოდ, რას შეცვლის ყველაფერი ეს? ქორწინების რეგისტრაციის შეზღუდვა და შემდეგ აკრძალვა, როგორც გვაუწყეს, ნიშნავს კი, საერთოდ, ქორწინების აკრძალვას? როგორც ოდესის გუბერნატორი იტყოდა, ნურას უკაცრავად.

თუ აქამდე რეესტრი არეგისტრირებდა 16 წელს მიღწეულ პირთა ქორწინებას მშობლების თანხმობით, ახლა სასამართლოს გადაწყვეტილებას მოითხოვს და დადებითი გადაწყვეტილების გარეშე, აღარ დაარეგისტრირებს. და რაც არ რეგისტრირდება, რა არ არსებობს? დარჩებიან ეს 16 წელს მიღწეული პირები არარეგისტრირებულ ქორწინებაში.

ანუ, ეს დაიცავს ვინმეს ნაადრევი ქორწინებისგან? თუ პირიქით, საფრთხეში აგდებს მათ უფლებებს? თავადვე გვიმტკიცებენ, ამ ასაკში ხშირია მალევე განქორწინებაო და რა გამოდის? – განქორწინდებიან და გამომდინარე იქიდან, რომ მათი ქორწინება რეგისტრირებული არ იქნება, იმ თქვენი ქმრის სახლიდან გამობურთავებულ უწლოვან პატარძალს იმის ამარა გამოუშვებენ, რაც ტანზე ეცმევა...

ასე იცავთ, ბატონო უმბუდსმენო და შუაშისტების ქალბატონო ქალღმერთო, არასრულწლოვანთა უფლებებს? ესაა თქვენს მიერ გადადგმული ქმედითი ნაბიჯი? თან, თავიც რომ მოგაქვთ, მალე საერთოდ ავკრძალავთ 18 წლამდე პირების ქორწინებასო?!

ბატონი ომბუდსმენიც და სხვა ინიციატორებიც, ამ თავისი ინიციატივების არგუმენტად იშველიებენ სტატისტიკას და იმდენსაც ვერ ხვდებიან, რომ სწორედ ეს სტატისტიკა აცლის მათ გარჯას საფუძველს და ისინი რეალურად, სიზიფეებად გვევლინებიან, როგორც მინიმუმ.

მოვუსმინოთ სტატისტიკას: გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაცემების მიხედვით, 18 წელს მიუღწეველი, დაახლოებით, 14 მილიონი გოგო ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 ერთ დღეს, 13 გოგონა კი, – 30 წამში.

აბა, კარგად დააკვირდით, რა გამოდის? იმ მონაზვნების არ იყოს, „უფალო, გამათხუეო“, უფალს რომ ევედრებოდნენ, ეს გათხოვების წადილი, ხედავთ, რა დაუძლეველი ყოფილა? და თქვენ რითი აპირებთ მის შეჩერებას? ამ ქორწინების რეგისტრაციის შეზღუდვა-აკრძალვით? ბაბულას თქმის არ იყოს (ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“), „ე ხალათი დაიჭერს?!“

მავანი იტყვის, რომ გაერო-ს მოსახლეობის ფონდის აღნიშნულ სტატისტიკაში დიდი წილი აზიის ქვეყნებზე მოდის და რომ იქ არა არასრულწლოვანთა სურვილით, არამედ, სწორედ მათი სურვილის წინააღმდეგ ხდება გათხოვება. დავუშვათ, რომ ასეა, მაგრამ ქართულ სტატისტიკას რაღა ვუყოთ? მარტო სოფელ კაბალას ავკიდოთ ეს სტატისტიკა?

სტატისტიკის თანახმად, საქართველოში, ყოველდღე, 12 არასრულწლოვანი გოგონა თხოვდება. დედა კი, ყოველდღიურად, 4 არასრულწლოვანი ხდება. საქართველოში 2012 წელს, 7 360 მოსწავლემ სკოლა მიატოვა, ამათგან ნაწილმა სწორედ ქორწინების გამო შეწყვიტა სწავლა.

**საქართველოში რეგისტრირებული ქორწინების 24% არასრულწლოვან წყვილებზე მოდის. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ნაადრევი ქორწინების კუთხით, მოლდოვის შემდეგ, საქართველოს მეორე ადგილი უკავია.**

**დავუშვათ, რომ აქაც, ჩვენთან, სწორედ მშობლები ათხოვებენ გოგოებს ძალად, მათ სწავლის წყურვილი კლავთ და მამა ეუბნება, წიგნთან ჯდომას ქმრის „ნასკების“ რეცხვა ჯობსო. დავუშვათ, ასეა და ეს რეგისტრაციის აკრძალვა შეაჩერებს ამ მოძალადე მშობლებს? რა, რეგისტრაციის გარეშე ვერ გაათხოვებენ?**

**თქვე კაი და არა მოძალადე დედ-მამის შვილებო, იცით მაინც, რომ ლეგენდარულ ნინო რამიშვილს და მის მეუღლეს ილიკო სუხიშვილს საერთოდ არ ჰქონდათ ხელი მოწერილი იმ თქვენ „ზაქსში“ თუ ჯანდაბაში?**

თუ გოგოს გათხოვება უნდა და აცუნდრუკებულია, როგორ ფიქრობთ, რეესტრი აინტერესებს? ან მოძალადე, ტვინბნელ მშობელს ეს ინსტიტუციები გააკავებს? მახსოვს, ამ ინიციატივის მომხრე ერთ-ერთი გულანთებული „აქტივისტკა“ ნადეჟდა კრუპსკაიას შემართებით გაჰკიოდა, დიახ, სწორედ საკანონმდებლო რეგულაციაა ის, რაც ქართველებზე მენტალურ ზემოქმედებასაც კი ახდენსო და მაგალითად იცით, რა მოიყვანა? – ქართველებს ღვედის შეკვრაც არ უნდოდათ და არ იკრავენო?!

აქციებს რომ აწყობთ, მიეცი განათლება, ნუ გაათხოვებო, აჰა, არ გაათხოვეს და აძლევენ განათლებას – სტუდენტია, მაგრამ იღებს? თუ იღებს და ღვედი რა სუფრაზე მოსატანი იყო? რატომ იკრავენ ღვედს? ჯარიმის გამო და ახლა, რეგისტრაციას რომ შეუზღუდავ და აუკრძალავ და ის მაინც დაქორწინდება, რას აპირებთ, ქუჩაში ყველა გავლა-გამოვლაზე უნდა დააჯარიმოთ, შე ნაადრევად გათხოვებულოო?

**ანდა, უკაცრავად, ის რას ნიშნავს, „პატივსადები მიზეზების არსებობისას სასამართლო იმსჯელებს არასრულწლოვან პირთა ქორწინების შესაძლებობაზე“? ანუ, თუ ფეხმძიმედაა, მაშინ თანხმობა გასცეს სასამართლომ და ისე არა? რისკენ უბიძგებთ ბავშვებს, რომ თადარიგი დაიჭირონ – ჯერ დაფეხმძიმდნენ და მერე დაგაყენონ ფაქტის წინაშე?**

და საერთოდ, რას ნიშნავს, 16 წლის გოგონას სახელმწიფო ნებას რთავს იკისროს ისეთუ საპასუხისმგებლო მისია, როგორიც ბავშვის გაჩენაა და ნებას არ რთავს სამართლებრივი ურთიერთობა დაიკანონოს იმ მამაკაცთან, რომელისგანაც ბავშვს აჩენს ან უნდა გაჩენა?

გეკითხებით, რა გამოვა ამ კანონით? გარდა იმისა რომ ვერ დაარეგისტრირებენ ქორწინებას და არ წარმოიშვება ქონებრივი და არაქონებრივი ვალდებულებები. და რა მოხდება გაყრის შემთხვევაში? ამას რომ ამბობ, დგანან და აბრახუნებენ, ამ ასაკში ნეტა, რა ქონებას შეიძენენ ერთადო, ანუ საიდან რა შემოსავალი ექნებათო. კი, მაგრამ რასაც, ან ერთს ან მეორეს მშობლები უყიდიან, მიუტანენ, უკაცრავად ვისია? – კორძაიასი თუ ნანუაშვილის? და როცა გაიყრებიან, რა როგორ უნდა გაიყონ? ავდგეთ, საფლავიდან გიორგი ერისთავი ავაყენოთ და „გაყრა-2“ დავაწერინოთ?

არავინ ამბობს, რომ სასურველია ნაადრევი ქორწინება და ეს, საერთოდ, ჩვენ სურვილს მიღმაა. ამას ადასტურებს სტატისტიკა და ამგვარი შეზღუდვა-აკრძალვებით კი, ნამდვილად გადაარჩენთ რამდენიმე გოგონას მშობლების ძალადობისგან და ათჯერ მეტს დატოვებთ მათი ქორწინების რეგისტრაციის გარეშე და შესაბამისად ბევრად დაუცველს.

არავინ ამბობს, რომ ნაადრევი ქორწინება კარგია და წასახალისებელი, მაგრამ ფაქტია, რომ მის შესაჩერებლად გამოგონილი ეს თქვენი ველოსიპედი ცალთვალაა და არ იმუშავებს.

და საერთოდ, რა სახელმწიფოს გადასაწყვეტია, ვინ როდის შექმნის ოჯახს? რა გამოდის მაგ თქვენი კანონებით, ბატონებო, 16 წელს მიღწეულ პირთან სექსს არ კრძალავთ და ოჯახის შექმნას კრძალავთ, ანუ რას ეუბნებით, ისე, „ლევად „იმუშავეთო“? თუ იცავთ არასრულწლოვნებს, მაშინ დაიცავით ისინი ისევე, როგორცაა დაცული მცირეწლოვნები და დასჯადი გახადეთ მათთან სექსუალური კავშირი.

ჰო, კიდევ, მოზარდების რკინის ტრუსებით აღჭურვაც არ დაგავიწყდეთ...

**რეზო შატაკიშვილი**

№ 49 (314)
16 – 22 დეკემბერი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სულიერება

# მამა პეტრე: „ეკლესიის მთავარი პრობლემა პრობლემების დაუნახაობაა“

**ე.წ. შეწყალების სკანდალი მას შემდეგ დაიწყო, რაც უწმინდესმა მოკრძალებული სურვილი გამოთქვა, კარგი იქნებოდა, პატიმართა შეწყალების უფლება პატრიარქსაც ჰქონდესო. როგორც თბილისის საკრებულოს დეპუტატმა, ჟურნალისტმა ალეკო ელისაშვილმა განმარტა, ამ სფეროში არსებულ კორუფციაზე საჯაროდ ლაპარაკი მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ნახა, რომ ცალკეულმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც, მინიმუმ, მასზე ზეწოლას ახდენდნენ, პატრიარქის ინიციატივა აიტაცეს... ხომ არ იყენებენ ცალკეული პოლიტიკური სახეები ეკლესიას მასაზე პოლიტიკური ზეგავლენის მოსაპოვებლად? — ამის გასარკვევად „ქართული სიტყვა“ სოციალური ქსელით მამა პეტრეს (კვარაცხელია) დაუკავშირდა.**



## „ზუსტად ვიცი, ვინ, როგორ და რა მიდგომებით შეურაცხყოფს საეკლესიო სწავლებებს!“

**— მართალია, პატიმართა შეწყალებაზე პატრიარქის ინიციატივა მინავლდა, მაგრამ მამა პეტრე, როგორც სასულიერო პირი, როგორ ფიქრობთ, პატრიარქს და, საერთოდ, ეკლესიას ცალკეული პოლიტიკოსები პოლიტიკური მიზნებისთვის ხომ არ იყენებენ?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ აბსოლუტურად უსამართლოდ მოხდა უწმინდესის განსჯა და დაუსრულებელი კრიტიკა. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ეკლესიის მესაჭე ადამიანების შეწყალებასა და სიყვარულზე ქადაგებს.

ქრისტემ დედამიწაზე უამრავი სასწაული ჩაიდინა — მიცვალებულნი აღადგინა, სნეულნი განკურნა, პეტრეს უარყოფა აპატია. საბოლოოდ, ყველაფერი გოლგოთამდე მივიდა და სრულიად უდანაშაულოდ, ჯვარს აცვეს. საოცარია, ადამიანს ეუბნები, გაპატიებ და შანსი გეძლევა, შენი მომავალი უკეთესად მოაწყოო, ის კი შეურაცხყოფას გაყენებს, რა მჭირს შენი საპატიებელიო.

პირადად ჩემთვის, სრულიად გასაგებია პატრიარქის ინიციატივა, მაგრამ პოლიტიკოსების აჟიტირებული თანხმობა არა მხოლოდ პატიმართა, თავიანთი უნიათობის „შეწყალებაზე“ იყო გათვლილი. ვერც ერთი სახელმწიფო მოხელე ეკლესიას ვერ გამოიყენებს (ღმერთმა ქნას, საეკლესიო სწავლებით მოქმედებდნენ). შეიძლება, კონკრეტული სასულიერო პირები გამოიყენონ. მე, როგორც მღვდელმსახური, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ეკლესია არ ცდება. არ გამოვრიცხავ, არსებული სიტუაცია პატრიარქის სახელისა და ავტორიტეტის წინააღმდეგ იყოს მიმართული, თუმცა ვისიც დღევანდელ რეალობაში, ერში თუ ბერში მჯერა და ვენდობი, უწმინდესია.

**— ეკლესიის ბიუჯეტიდან 25 მილიონით დაფინანსებას იმ ზარალის ანაზღაურებით ხსნიან, რომელიც ბოლშევიკებმა მიაყენეს, უნდა ფინანსდებოდეს თუ არა ეკლესია ბიუჯეტიდან?**

— ეკლესია სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად ვერ იარსებებს. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ფინანსდებოდეს და თანაბრადაც ნაწილდებოდეს. საპატრიარქოს აქვს სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები. დაფინანსების გარეშე მათი არსებობა წარმოუდგენელია, ოღონდ ბალანსი არ უნდა დაირღვეს და ერთის ხარჯზე დანარჩენი არ უნდა დაზარალდეს.

განსაკუთრებული ყურადღება საზღვრისპირა რეგიონებს უნდა მიექცეს, იქ, სადაც სასულიერო სკოლების არსებობა გმირობის ტოლია.

სასწავლებლების გარდა, ეკლესია, სახელმწიფოსთან შეთანხმებით, უნდა დაინტერესდეს სასულიერო პირების ყოფით ცხოვრებაზე. ვიღაცის შვილი შეიძლება, ოქსფორდში სწავლობდეს, მაგრამ უმეტესობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. ვიცნობ მღვდლებს, რომლებსაც არსებობისთვის მინიმალური შემოსავალიც არ აქვთ. ალბათ ამიტომაცაა ამდენი აგრესია, სიძულვილი და შური დაგროვილი ჩვენს გარემოში. ყველა ვერ იქნება პროფესორი, პედაგოგი და მწერალი. თუ ვაკურთხებთ სასულიერო პირებს, მათი ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობაც უნდა დაგვეკისროს.

ბევრისგან მსმენია, მღვდელი მრევლმა უნდა არჩინოსო. პირადად მე, მრევლში ისეთი უმრავლესობა მყავს, რომელიც იქითაა სარჩენი. დღეს ჩვენი ეკლესია ერთდროულად მდიდარიც არის და ღარიბიც...

**— ზოგი თვლის, რომ საქართველო სეკულარულიდან ტეკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება. ამ საფრთხეს ხედავთ?**

— ვფიქრობ, არასწორი ბრალდებაა. საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა რელიგიური მოზაიკის მრავალფეროვნებით და არავინ არავის თავის სარწმუნოებას არასოდეს აძალებდა. მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი გაგებაც ასეთია. უფალი ბრძანებს: „წყალობა მნებავს და არა — მსხვერპლი“.

**— მამა პეტრე, მგონი, ადრეც გკითხეთ: არსებობს თუ არა ეკლესიაზე, ან ეკლესიის ცალკეულ მსახურებზე სპეცსამსახურის გავლენა?**

— ჩვენს ქვეყანაში იმდენად აშკარაა ყველაფერი, ვინ რას განიცდის, ყველამ უჯრედების დონეზე ვიცით და არ მგონია, ამის აფიშირება საჭირო იყოს.

**— რას გულისხმობთ?**

— არ მიყვარს დაკონკრეტება. ყველას საკუთარი მოეკითხება. „არ არს დაფარულ, რომ არ გაცხადდეს“.

მაინც, ვთვლი, ყველაფერი დაბალი ინტელექტის ბრალია. ისეთ ადამიანს არ უნდა მისცე ძალაუფლება, რომლის სულიერი და ინტელექტუალური მომზადების დონე ნოლს ქვემოთაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთისგან მხოლოდ დიქტატორი ჩამოყალიბდება...

**— რა არის დღეს ქართული ეკლესიის მთავარი პრობლემა?**

— პრობლემების დაუნახაობა...

**— ცალკეული მღვდელმსახურები ქადაგებისას პოლიტიკურ სიმპათიას, ან ანტიპათიას ამჟღავნებენ. ეს გამართლებულია?**

— იმდენ ტკივილსა და სიმძიმეს დავატარებ, „ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია...“ ვინც ასეთი ტიპის მიდგომებით გამოირჩევა, ისინი პეტრეში ხედავენ პრობლემას. თურმე, ჩემი ლექსებითა და წერილებით ეკლესიას შეურაცხყოფას ვაყენებ. კიდევ კარგი, უწმინდესი არსებობს, თორემ სარწმუნოების „აპოლოგეტები“ ჩამქოლავდნენ...

ზუსტად ვიცი, ვინ, როგორ და რა მიდგომებით შეურაცხყოფს საეკლესიო სწავლებებს. ღმერთმა არ ქნას, ამის თქმა დამჭირდეს!

**— არსებობს თუ არა ეკლესიაში კორუფცია?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ზემოთ ვისაუბრეთ... თუ არც ეკლესია და არც ხელისუფლება რიგით სასულიერო პირზე არ იზრუნებს, მას მოუწევს აამოქმედოს თვითგადარჩენის ინსტინქტი. ხშირად გვსმენია, მღვდელმა ჯვრისწერისთვის, ნათლობისთვის ფული აიღოო... დალოცვილო, შესაწირი რომ არ გაიღო, რა ქნას იმ მღვდელმა, რომელსაც შინ რვა შვილი ელოდება და სკოლაში ვერ გაუშვია იმიტომ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები ვერ უყიდა?! ქვეყანა, სადაც სასულიერო პირები მინიმალურით არ დაკმაყოფილდებიან, შეიძლება, ყოველთვის უმართავი იყოს. მღვდელი არ არის საჯარო მოხელე. მას, კანონის თანახმად, არ შეუძლია საჯარო სამსახურში დაკავდეს. თუ ეს პრობლემა არ მოგვარდება, „კორუფცია“ მუდამ ძალაში იქნება.

> „ხშირად გვსმენია, მღვდელმა ჯვრისწერისთვის, ნათლობისთვის ფული აიღოო... დალოცვილო, შესაწირი რომ არ გაიღო, რა ქნას იმ მღვდელმა, რომელსაც შინ რვა შვილი ელოდება და სკოლაში ვერ გაუშვია იმიტომ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები ვერ უყიდა?! ქვეყანა, სადაც სასულიერო პირები მინიმალურით არ დაკმაყოფილდებიან, შეიძლება, ყოველთვის უმართავი იყოს. მღვდელი არ არის საჯარო მოხელე. მას, კანონის თანახმად, არ შეუძლია საჯარო სამსახურში დაკავდეს. თუ ეს პრობლემა არ მოგვარდება, „კორუფცია“ მუდამ ძალაში იქნება“.

**— რა არის სასულიერო პირის უპირველესი დანიშნულება?**

— სიყვარული და პატიება!

ძალიან ცუდია, როცა ისმენ ქადაგებას, მაგრამ არ იგრძნობა სიყვარული. ბავშვობაში, სოფელში რომ ვცხოვრობდი, ეკლესიას ერთადერთი სასულიერო პირი დარაჯობდა. მთელი სოფელი სკეპტიკურად უყურებდა. ეს იყო ულმერთობის ეპოქა. სწორედ მაშინ მომინდა მასთან სიახლოვე და ურთიერთობა. ის არ გამოირჩეოდა განათლებითა და ერუდიციით, მაგრამ ქრისტეს ისეთი სითბოთი ახსენებდა, თვალები უწყლიანდებოდა. სწორედ მან გადამაწყვეტინა, მეპოვა ჩემი გზა უფლამდე. ვწუხვარ, დღეს იგივეს იშვიათად განვიცდი. სამაგიეროდ, გულისტკივილი, შეურაცხყოფა, სიძულვილი და აგრესია ბევრია. ამბიონზე გადმოდგებიან და ისეთი სიტყვებით გაგანადგურებენ, ყველაფერს იგრძნობ, გარდა ქრისტიანობისა. იმასაც ვერ ხვდებიან, ერთ კონკრეტულ ადამიანს კი არ ვაყენებთ შეურაცხყოფას, არამედ, მთელ ორგანიზმს, რადგან ყველა ერთი ეკლესიის წევრები ვართ.

ზოგი შეიძლება, ხეიბარი იყოს, მაგრამ განკურნება შეურაცხყოფით კი არა, სიყვარულითა და ქრისტესმიერი მზრუნველობით ხდება. ზოგს სარწმუნოების აღორძინება ეკლესია-მონასტრების მშენებლობა ჰგონია. დიახ, უნდა აშენდეს. მით უფრო, ჩვენს ქვეყანაში არავის უკვირს ტაძრების აღდგენა. ჯერ კიდევ თემურ ლენგის შემდგომ პერიოდში, ქვეყანა მიწასთან რომ იყო გასწორებული, საქართველოს მეფე ალექსანდრე დიდმა კომლზე 40 თეთრი დააწესა გადასახადი, შემოსული თანხა ტაძრებს რომ მოხმარებოდა. ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეკლესიის შენება ადამიანის სულის ნგრევის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. მეტი კორექტულობა და დაფიქრებაა საჭირო.

ყველაზე შემზარავი მოსასმენი მღვდლებს შორის ერთმანეთის განკითხვაა. რა უნდა ისწავლოს მრევლმა, როცა თავად საკუთარ ძმას არ ინდობ? თუ ამას საკუთარი თავის უკეთ წარმოჩენისთვის აკეთებენ, მაშინ ნაპოლეონის სიტყვებს შევახსენებ: „ალექსანდრემ, ცეზარმა, კარლ დიდმა და მე დავაარსეთ იმპერიები, მაგრამ რაზე? — ძალაზე. ქრისტემ თავისი იმპერია დააარსა სიყვარულზე და მილიონები დღესაც მზად არიან, თავიანთი ცხოვრება შესწირონ მას“.

პავლე მოციქულის სიტყვებით კი „უკეთუ სიყვარული არა მაქუნდეს, არა რამე ვარ...“

ჩვენ ადამიანებს არ ვიცნობთ და ისე ვლანძღავთ. სირცხვილია, ღმერთი ჭეშმარიტად არსებობს და პასუხს, როგორც მინიმუმ, ცილისწამებისთვის ვაგებთ!

**— მამა პეტრე, ანარქისტი სასულიერო პირი ხართ?**

— მე ვარ მამა პეტრე, დადებითითა და უარყოფითით...

**ესაუბრა ვანო პაპლიაშვილი**

> „ეკლესია, სახელმწიფოსთან შეთანხმებით, უნდა დაინტერესდეს სასულიერო პირების ყოფით ცხოვრებაზე. ვიღაცის შვილი შეიძლება, ოქსფორდში სწავლობდეს, მაგრამ უმეტესობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. ვიცნობ მღვდლებს, რომლებსაც არსებობისთვის მინიმალური შემოსავალიც არ აქვთ. ალბათ ამიტომაცაა ამდენი აგრესია, სიძულვილი და შური დაგროვილი ჩვენს გარემოში. ყველა ვერ იქნება პროფესორი, პედაგოგი და მწერალი. თუ ვაკურთხებთ სასულიერო პირებს, მათი ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობაც უნდა დაგვეკისროს“.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

# ქართული სიტყვა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

16 - 22 დეკემბერი 2015 № 49 (313)



საზოგადოება

**რამდენიმე დღის წინ, პირველი ლოგოპედიური ბაგა-ბაღის დირექტორი ზაირა კურტანიძე „დიდი ზარზეიმით“ გაათავისუფლეს. დირექტორს, რომელიც საბავშვო ბაღში თითქმის ორმოცი წელი მუშაობდა და აქედან, 25 წელი ამ ბაღს ხელმძღვანელობდა. ერთ დღეს სააგენტოდან თანამშრომლები მიადგნენ და უთხრეს, სამზარეულოში აღმოჩენილი ორი კომშისა და სამიოდე სტაფილოს გამო, ხელშეკრულება შეგიწყვიტეთო.**

# „მფარველი მყავდა, მაგრამ ისე დაამუშავეს, რომ ვერაფერი გააკეთა“

## ხმაური პირველ ლოგოპედიურ ბაგა-ბაღში — რატომ და ვისი დავალებით გაათავისუფლეს დირექტორი

„ერთ დღეს ყველაფერი მთავრდება. შეიძლება, კიდეც მოვიდა ის დრო, როცა საბავშვო ბაღს დირექტორი უნდა შეცვლოდა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ დამსახურებული პედაგოგი სხვა ფორმით გაეცილებინათ, სააგენტო მოვიდა და თანამშრომლების თანდასწრებით გამოუცხადა, აქ თქვენი ადგილი არ არისო“, — აცხადებენ ის პედაგოგები, რომლებიც ამ ამბავს შეესწრნენ.

მეტიც, როგორც მათ „ქართულ სიტყვასთან“ საუბარში განაცხადეს, როგორც კი დირექტორის გაშვების გამო პროტესტი გამოთქვეს, სააგენტოს თანამშრომელი მათაც დამუქრებია, თუ წინააღმდეგობას გაგვიწევთ, თქვენი გათავისუფლების შესახებაც მალე გაიგებთ და თუ თქვენც სასამართლოში წახვალთ, ურთმელიძეც იქ არისო.

მუქარის მიუხედავად, პარასკევს, ბაგა-ბაღის პედაგოგების ნაწილი მაინც არ შევიდა საკლასო ოთახებში და, ზაირა კურტანიძეს, პროტესტის ნიშნად, გვერდით დაუდგა. შესაბამისად, პირველ ლოგოპედიურ ბაღში სასწავლო პროცესი თითქმის ჩაიშალა, მაგრამ ბაღების სააგენტოს მორიგი დამუქრების მერე, პედაგოგები იძულებული გახდნენ, მშობლებისთვის „ჩამოერეკათ“ და რამდენიმე ბავშვი როგორმე საბავშვო ბაღში დაებრუნებინათ.

სიტუაციის დაწყნარების მერე, ზაირა კურტანიძე კაბინეტში შევიდა და განაცხადა, ვიდრე სასამართლო პროცესი არ გაიმართება და ჩემი სიმართლე არ გაირკვევა, კაბინეტს და ბაღს არ დავტოვებო. ზაირა კურტანიძე პოლიტიკურ დაკვეთებზეც ალაპარაკდა და განაცხადა, რომ მისი გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით მოხდა.

**ზაირა კურტანიძე: *„— მფარველი მყავდა, მაგრამ ისე დაამუშავეს, რომ ვერაფერი გააკეთა. როგორც ჩანს, შეაშინეს, რომ ტელევიზიით იტყოდნენ მის სახელს... ჩემი უფლებების დაცვას სასამართლოთი მოვახერხებ. არ ვიყავი გასათავისუფლებელი კადრი“.***

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზაირა კურტანიძეს ძლიერი მფარველები ჰყავდა და სამსახურის დატოვება არ მოუწევდა, დიდი ხნის განმავლობაში ვრცელდებოდა. უფრო მეტიც, ამბობდნენ, რომ მას თვით ვიცე-პრემიერი კახი კალაძე მფარველობდა. ყოფილი დირექტორი არ ადასტურებს, რომ, მართლაც, კალაძე მფარველობდა, მაგრამ არ უარყოფს, რომ მფარველები ხელისუფლებაში ჰყავს და ამას მაშინ გამოიყენებს, როცა საქმე სასამართლომდე მივა.

ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორმა, თემურ თორდინავამ განაცხადა, რომ ზაირა კურტანიძის გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით არ მომხდარა და მას ხელშეკრულება განმეორებითი საყვედურის მიღების გამო შეუწყდა. საყვედური კი, ზაირა კურტანიძემ მოპარული და გადამალული პროდუქტების გამო მიიღო.

მაინც, რა მოხდა პირველ ლოგოპედიურ ბაგა ბაღში?

რამდენიმე კვირის წინ, ბაგა-ბაღში სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფი შევიდა და ყველა ის სამუშაო ჩაატარა, რაც კანონით ევალებოდა, მათ შორის, მიითვალა ყველა ის პროდუქტი, რომელიც სამზარეულოს საკუჭნაოში იმ დროისათვის ინახებოდა. სამუშაოს დასრულების შემდეგ, 15 წუთიც არ იყო გასული, რომ ბაგა-ბაღს მეორე მონიტორინგის ჯგუფი მიადგა და სამზარეულოს შემოწმება მოინდომა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სააგენტომ დამატებითი ჯგუფის გაგზავნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ანონიმური ზარი შევიდა და მოსაუბრემ განაცხადა, რომ სამზარეულოში გადამალული პროდუქტი ინახებოდა. მონიტორინგის ჯგუფმა კიდევ ერთხელ გადათვალა პროდუქტი და... რამდენიმე სტაფილო და ორი ცალი კომში იპოვა. სწორედ ეს გახდა დირექტორისთვის საყვედურის გამოცხადების და შემდგომ, გათავისუფლების მიზეზი.

**ზაირა კურტანიძე**: „— პირველი საყვედური ცოტა ადრე მომცეს, მაშინ სამეურნეო საქონელი და რემონტის მერე დარჩენილი მასალები კიბის უჯრედში მქონდა შენახული. სხვაგან ადგილი არ მქონდა — იმ ადგილას, სადაც ადრე სამეურნეო საქონელს ვინახავდი, ექიმის ოთახი მოვაწყვე. მერე, საკრებულოდან მოვიდნენ, ყველაფერს უკვე თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და დარღვევა ვერ აღმომიჩინეს. რომ ვერ მომერივნენ, მონიტორინგი შემომიგზავნეს. ეს საყვედური გამოიყენა ახლა მონიტორინგის ჯგუფმა.

**— მაინც, რა იპოვეს, ქალბატონო ზაირა?**

— ვისაც ჩემი ადგილი უნდოდა, ეს იმან ჩაიდინა. ის ძალიან იყო გამწარებული და ყველაფერს აკეთებდა, რომ ასეთი რამ მომხდარიყო.

**— თქვენი ადგილი ვის უნდოდა?**

— ეს ზარი ჩემი თამამშრომლის დახმარებით განხორციელდა. ჩემი ყოფილი მოადგილე, რომელიც თავის დროზე იმიტომ შემომიგზავნეს, რომ ჩემი ადგილი დაეკავებინა, ჩემს ერთ თანამშრომელს ურეკავდა და ისე ახერხებდა აქაური სიტუაციის გაგებას... ზარის შედეგად შემოსული ახალი მონიტორი იმედა ბერიძე კი ისე მოქმედებდა, როგორც „ზემოდან“ უკარნახეს. მათ უკვე იცოდნენ, სად იდო სტაფილო, რომლის გადაყრაც სადილის მომზადების მერე მზარეულებს დაავიწყდათ.

ის ბოროტი კი, ვინც მათ დაურეკა, ზემოდან ეძახდა მონიტორს, „პამოიში“ ჩააგდეს რაღაცებიო.

**— ვინ არის „ის ბოროტი“?**

— ის, ვისაც ჩემი ადგილი უნდოდა და რომ არ გამოუვიდა, ახლა გამწარებულია. მას ახლაც ჰყავს თანამოაზრეები ამ ბაღში. ის ყოველთვის მეუბნებოდა, შენი მფარველი ვერ გიშველისო და ასეც მოხდა. ჩემი მოადგილე იყო და რაც ამ ბაღში შემოვიდა, იმ დღიდან გაწამებული ვარ. სულ შესამოწმებლად დადიან.

**— მოადგილე თქვენ გაათავისუფლეთ?**

— არა, სხვა ბაღის დირექტორად დანიშნეს, უდიპლომო ქალია. სააგენტო რომ იმისთვის მიგზავნიდა, რათა ჩემი ადგილი დაეკავებინა, თავიდანვე ვიცოდი — „შინაურებმა“ დამირეკეს და გამაფრთხილეს.

**აქციას, რომელიც პირველი ლოგოპედიური ბაღის ეზოში გაიმართა, მშობლებიც ესწრებოდნენ. რამდენიმე მათგანი ბაგა-ბაღების სააგენტოშიც წავიდა და ხელმძღვანელობას შეხვდა. ზოგიერთს „ქართული სიტყვა“ გაესაუბრა. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ასეთი ბაღი თბილისში ძალიან იშვიათია, ამიტომ დირექტორის ამ ფორმით გათავისუფლებით სააგენტომ დიდი შეცდომა დაუშვა.**

**ზვიად მუმლაძე, მშობელი:** *„— თუ ქალბატონი ზაირას გაშვება უნდოდათ, ისეთი რამ მაინც მოიფიქრონ, რომ დამაჯერებელი იყოს. საკვები პროდუქტის გადამალვისთვის სამსახურიდან გაშვება ხომ სასაცილოა?! ეს ისეთი ქალია, რომელიც ყოველთვის ფიქრობს, რომ ბავშვებმა და მშობლებმაც თავი ამ ბაღში კომფორტულად იგრძნონ. ამ ბაღში ჩემი ერთი შვილი დადის. მანამდე, უფროსი ორი შვილიც აქ გავზარდე. ქალბატონი ზაირა არც ჩემი ნათესავია და არც — ახლობელი. იმ ბაღის გამგეა, სადაც ჩემი შვილები დადიან და სადაც მისვლა ყოველთვის უხარიათ. მარტო ერთი რამის თქმა შემიძლია: ამ ქვეყანამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაამთავროს ხალხის პოლიტიკური ნიშნით დანიშვნა- გათავისუფლება. პატივი უნდა ვცეთ, პირველ რიგში, პროფესიონალიზმს.*

**ხმაურიანი პარასკევის მერე, ორშაბათს, პირველ ლოგოპედიურ ბაგა-ბაღში სასწავლო პროცესი ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. ახალი დირექტორი ჯერ არ დაუნიშნავთ, დირექტორის მოვალეობას კი, ბაგა-ბაღის მეთოდისტი ასრულებს. კაბინეტში არ გვინახავს და არ ვიცით, გამოჩნდა თუ არა ზაირა კურტანიძე ბაღში, სადაც ძალიან დიდი ხანი გაატარა, მაგრამ ამ დროისათვის აბრა — „დირექტორი ზაირა კურტანიძე“ სამუშაო კაბინეტის კარზე ისევ ჰკიდია...**

**ნათია ვერძეული**

სილამაზის გაკვეთილები

# „თალიზმა“ მსოფლიო რეკორდი დაამყარა!

**2012 წლის 28 აპრილი მხოლოდ „თალიზის“ კი არა, საერთოდ, თმის გადანერგვის მსოფლიო ისტორიაში ოქროს ასოებით შევა, რამეთუ ამ დღეს თმის ტრანსპლანტოლოგიის ქართველმა გურუმ, მედიცინის დოქტორმა, ესთეტიკური მედიცინის ამერიკული აკადემიის პროფესორმა, ქართულ ბრენდ „თალიზის“ ხელმძღვანელმა აკაკი წილოსანმა და მისმა გუნდმა თმის ტრანსპლანტოლოგიაში რევოლუცია მოახდინეს, ანუ უფრო მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — 11 საათში, რამდენიმე, 15-15–წუთიანი შესვენებით, 9 688 ფოლიკულური გაერთიანება (გრაფტი) გადანერგეს. მანამდე, მსოფლიო რეკორდად კანადაში, კლინიკა Hasson & Wong-ში ჩატარებული ოპერაცია ითვლებოდა, რა დროსაც, 15 საათის განმავლობაში, 9 168 გრაფტი იქნა გადანერგილი.**

## აკაკი წილოსანისა და მისი გუნდის რევოლუცია — გადანერგილია 10 ათასამდე გრაფტი!

ყველაფერი კი ასე დაიწყო: რუსეთის მოქალაქე, 42 წლის ღ. ჩ. დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა კლინიკას, სადაც თმას გადაინერგავდა. ბოლოს, ინტერნეტით, არჩევანი ქართულ ბრენდ „თალიზზე“ შეაჩერა და, კონსულტაციისთვის, თბილისში ჩამოვიდა.

„სადონორო ზონის კომპიუტერული დერმოსკოპიით დადგინდა, რომ პაციენტის სადონორო სიხშირე არცთუ მაღალი იყო: კეფის ცენტრში, 1 კვადრატულ სანტიმეტრზე, 83 ფოლიკულურ გაერთიანებას შეადგენდა, გვერდებში კი, – 47-ს. ამ კრიტერიუმებით, არ შეიძლებოდა, პაციენტი დიდმასშტაბიანი ოპერაციისთვის კარგ კანდიდატად განგვეხილა, მაგრამ მეორეს მხრივ, სკალპის საოცარი მობილურობა აღენიშნებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, მსოფლიოში რეკორდული მასშტაბის ოპერაცია ჩაგვეტარებინა და 10 000-მდე ფოლიკულური გაერთიანება გადაგვენერგა“, — მიყვება აკაკი წილოსანი.

მაშ, ასე: 2012 წლის 28 აპრილი, 11 საათი... „თალიზის“ პროფესიონალთა გუნდი: ორი ქირურგი – აკაკი წილოსანი და ეკა ყანდიაშვილი, ხარისხის კონტროლის ორი მენეჯერი და ქირურგის 12 ასისტენტი, ანუ სულ 16 ადამიანი სრულ მზადყოფნაშია... ოპერაცია სადონორო ზონრის ექსციზიით იწყება, რომლის ფართობიც 140 კვადრატული სანტიმეტრია.

**— ღელავდით? — ვეკითხები აკაკი წილოსანს.**

— კი, ვღელავდი, რადგან ჩემი და ჩემი გუნდის მიზანი რეკორდის დამყარება კი არა, შედეგი იყო, — მეუბნება თმის გადანერგვის ქართველი გურუ და უნიკალური ოპერაციის დეტალებს მიხსნის, — სადონორო ჭრილობის პლასტიკა, სკალპის ფენომენალური მობილურობის გამო, ტექნიკური პრობლემების გარეშე განხორციელდა. ზონრის პრეპარირებით, მიღებული იქნა 9688 ფოლიკულური გაერთიანება, ანუ გრაფტი, აქედან 2528 ერთთმიანი იყო, 4648 – ორთმიანი, 2512 კი – სამ და ოთხთმიანი. საერთო ჯამში, პაციენტს 19360 ფოლიკული, ესე იგი, თმის ძირი გადაენერგა. თმის იმპლანტაციის სიხშირემ თმის ხაზისა და შუბლის მიდამოში, 1 კვსანტიმეტრზე, 40 ფოლიკულური გაერთიანება შეადგინა, გვირგვინის მიდამოში კი, – 27.

**— საერთო ჯამში, სულ რამდენი გრაფტი გადანერგეთ?**

— გვინდოდა, 10 000 გრაფტის გადანერგვის ზღვარი დაგვეძლია, რაც ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა, მაგრამ მოპოვებული და გადანერგილი იქნა 9688 გრაფტი, რაც მსოფლიო რეკორდად ითვლება.

მეტიც, ასეთი დიდი მასშტაბის ტრანსპლანტაცია ევროპისა და აზიის კლინიკებისთვისაც არათუ მიუღწეველი, წარმოუდგენელია.

**— აკაკი, ამ რეკორდის საფუძველი რა გახდა?**

— საერთოდ, ნებისმიერი რეკორდის საფუძველი დაუღალავი შრომა, მომზადება, გამოცდილება და, ალბათ, ნაწილობრივ იღბალიცაა. ამ შემთხვევაში კი, ოპერაციის წარმატების საიდუმლო „თალიზის“ პერსონალის გამოცდილება და პაციენტის სადონორო ზონის განსაკუთრებული შესაძლებლობები იყო.

სხვათა შორის, იქიდან გამომდინარე, რომ ოპერაცია დიდმასშტაბიანი და საკმაოდ ტრავმული გახლდათ, ვეჭვობდით, ასეთი დიდი რაოდენობის გრაფტების გადანერგვისას თმის ძირების სიცოცხლისუნარიანობა შეიძლება, მაღალი არ ყოფილიყო, მაგრამ შესანიშნავი შედეგი მივიღეთ.

„შედეგი ფანტასტიკურია, მხოლოდ გარეგნულად კი არა, შინაგანადაც რადიკალურად შევიცვალე და აღარც კი შემიძლია, თავი თმის გარეშე წარმოვიდგინო, — ამბობს პაციენტი, — ბევრი ნაცნობი, რომელიც დიდი ხანია, არ მინახავს, შეხვედრისას ვეღარ მცნობს, ეს არაჩვეულებრივია! ოპერაციამდე მეუბნებოდნენ, რომ შედეგი კარგი იქნებოდა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ასეთს არ ველოდი. ახლა ზუსტად ისევე გამოვიყურები, როგორც 20 წლის წინ. ამიტომ, გირჩევთ, არ დანებდეთ და ყოველთვის მაქსიმუმი მოინდომეთ, ამის შესაძლებლობას კლინიკა „თალიზი“ იძლევა!“

**ერთი სიტყვით, გახსოვდეთ: თუკი თმის ცვენა, მინიმუმ, დისკომფორტს გიქმნით, არ ღირს, ამაზე ინერვიულოთ, რამეთუ შუა თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №27-ში მსოფლიო რეკორდსმენები თქვენთვის მუშაობენ! ასე რომ, აღარ გადადოთ, გეზი „თალიზისკენ“ ახლავე აიღეთ და ახალ წელს ახალი იმიჯით შეხვდით!**

**ვანო პავლიაშვილი**





ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ჯანმრთელობის ანა-ბანა




# რატომ არ შეიძლება წყლის რამდენჯერმე ადუღება და როგორ დავაღწიოთ თავი უძილობას

**ეს გვერდი თქვენი ჯანმრთელობის, თქვენი დღეგრძელობის, თქვენი გარეგნული მომხიბვლელობისა და ხალისიანი ცხოვრების ხელშეწყობისთვისაა. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი ყველა იმ შეკითხვას, რაც ადამიანს საკუთარი თავის მოვლისთვის სჭირდება ყოველდღე და ყოველ საათს. ვეცდებით, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით, პოპულარულად გადმოგცეთ სპეციალისტთა რჩევა-დარიგებები ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან მის აღსადგენად და ისეთი ხერხები შემოგთავაზოთ საამისოდ, რაც იოლად, იაფად და სახალისოდაც კი მასაღწევია. თითოეული თქვენგანი აუცილებლად ნახავს მისთვის საინტერესო მასალებს ჩვენს რუბრიკებში: „მამაკაცის ჯანმრთელობა“, „ქალის ჯანმრთელობა“, „ბავშვის ჯანმრთელობა“, „დღეგრძელობის საიდუმლო“, „კოსმეტიკა“, „დაავადებათა ანატომია“, „ხალხური მედიცინა“, „ჯანსაღი კვება“, „ჯანსაღი ცხოვრება“, „კულინარია“, „საყოველდღეო რჩევები“ და ა.შ. დაველოდებით თქვენს შენიშვნებს, სურვილებს, გამოხმაურებებს სხვადასხვა საკითხებზე. გმადლობთ, რომ ჩვენი მეგობარი გახდებით.**

**სწრაფი გამოჯანმრთელება ხელის წერტილების დახმარებით**

თუ ეს გეცოდინებათ, თავიდან ბევრ უსიამოვნებას აიცილებთ, მათ შორის, ტკივილს მხრებისა და ზურგის არეში, სტრესს, გაუვალობას, ანუ კუჭის სიმაგრეს და სხვა. სცადეთ ამ ვარჯიშების შესრულება და თავად დარწმუნდებით.

**გაციება** – გაციების სიმპტომები რომ შეასუსტოთ, მოძებნეთ „მტკივნეული წერტილი“, რომელიც ხელისგულზე – შუათითისა და საჩვენებელი თითის ფუძეებს შორის მდებარეობს. მეორე ხელის ცერით ორი წუთის განმავლობაში, საათის ისრის მიმართულებით და შემდეგ უკუღმა წრიული მოძრაობით, კარგად დაიზილეთ. ასეთი მასაჟი დადებითად მოქმედებს, თუკი სისუსტის გამო თვალებისა და ცხვირის არეში გტკივათ თავი.

იმისთვის, რომ დაცობილი ცხვირი გაინთავისუფლოთ, რამდენიმე წამით მაგრად მოუჭირეთ ერთმანეთს ყველა თითის ბოლოები და შემდეგ გახსენით. გაიმეორეთ 5-6-ჯერ.

**წელის ტკივილი** – მარჯვენა ხელის ცერი მაგრად დააჭირეთ მარცხენა ხელის ცერს და თითის ფუძიდან დაწყებული ფრჩხილის ფუძემდე გადაატარეთ. ხელის მტევნის ეს არე ხერხემალთანაა დაკავშირებული და მისი დაზელით მოიხსნით ხერხემლის კუნთების დაჭიმულობას. რიგრიგობით, ორივე ხელის ცერზე, გაიკეთეთ ეს მასაჟი. მონახეთ ხელისგულზე მზისწნულის წერტილი და ნაზად დაიმასაჟეთ. ეს ზურგისა და მთელი სხეულის დაძაბულობას მოგიხსნით.

**მხრების ტკივილი** – იპოვეთ ხელისგულზე, უსახელო თითისა და ნეკის ფუძეთა შორის „მხრების წერტილი“. ცერის ბოლოთი თითო წუთის განმავლობაში დაიზილეთ ეს ადგილი ორივე ხელზე, თუმცა ჯერ აუცილებლად უნდა გაარკვიოთ ამ ტკივილების მიზეზი. თუკი ეჭვობთ, რომ ეს სამუშაო ადგილს უკავშირდება, შეეცადეთ, სკამზე გამართული, მყარად იჯდეთ ხოლმე.

**სტრესისგან** რომ გათავისუფლდეთ, ისე დაიზილეთ ხელისგულები, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები. დაიზილეთ ასევე მზისწნული, რომელიც ხელისგულის შუაშია. ეს ადგილი ცერის წრიული მოძრაობით 2-3 წუთის განმავლობაში დაიზილეთ.

**თავის ტკივილი** – მომენტალური შვებისთვის ეს უბრალო მასაჟი სცადეთ: მონახეთ ცერის თავზე შედარებით უფრო მგრძნობიარე წერტილი და მეორე ხელის ცერით დაბეჯითებით დაიზილეთ ეს ადგილი. გაიმეორეთ იგივე მეორე ხელით. თუ თავის ტკივილი არ გადის, ეტყობა პრობლემა დაკავშირებულია ზურგის დაჭიმულობასთან. ხშირი თავის ტკივილის შემთხვევაში, ექიმს უნდა ეჩვენოთ ნამდვილი მიზეზის დასადგენად.

**გაღიზიანებული ნაწლავების სინდრომი** – დაიმუშავეთ საჭმლის მონელებაზე მოქმედი წერტილები. გაავლეთ მოხრილი ხაზი ცერის ფუძიდან ნეკამდე და 2 წუთის განმავლობაში დაიზილეთ. იგივე გაიმეორეთ მეორე ხელზე. საკვების გადაუმუშავებლობისგან თავდასაღწევად იგივე შეიძლება ფეხისგულებზეც გაიკეთოთ. ამისათვის ჩოგბურთის ბურთი დადეთ იატაკზე, დააბიჯეთ ფეხისგულის ცენტრით და 3 წუთის განმავლობაში წრიული მოძრაობები აკეთეთ.

**გაუვალობა** – ცერის ფუძიდან ნეკამდე დიაგონალზე, ერთი წუთის განმავლობაში, დაიზილეთ ხელისგული – აქ განლაგებულია „ნაწლავების წერტილები“. იგივე გაიმეორეთ მეორე ხელზე.

## რატომ არ შეიძლება წყლის ორჯერ, სამჯერ და მეტჯერ ადუღება

ამ დასკვნამდე მეცნიერები მივიდნენ და დაადგინეს – ონკანის წყალს უამრავი მინარევი აქვს, დაწყებული მარილებიდან, მინერალებით დამთავრებული. გაცხელების შემდეგ წყლის ქიმიური შემადგენლობა იცვლება და ეს შეცვლილი ნივთიერებები ჩვენს ორგანიზმში ხვდება. რაც უფრო ხშირად ცხელდება წყალი, მით უფრო ძლიერ იცვლება წყლის ქიმიური შემადგენლობა.

ყურადღებით იყავით: რაც უფრო ხშირად აადუღებთ ერთსა და იმავე წყალს, მით უფრო საშიში ხდება ჯანმრთელობისთვის, რადგან მასში წარმოიშობა ფტორიდები, ნიტრატები და დარიშხანიც. წყლის ადუღება, რა თქმა უნდა, საჭიროა, რადგან ერთჯერადი ადუღებისას, მიკრობებისგან თავისუფლდება, მაგრამ ამ პროცედურის განმეორებით, მასში შემავალი სასარგებლო ნივთიერებები იშლება და ისინი საშიშ მფრინავ შენაერთებად იქცევა.

წყლის მეორედ ადუღების შემდეგ აი, ასეთი მავნე შენაერთები წარმოიქმნება:

**დარიშხანი**

ჯანმრთელობისთვის ყველაზე დიდი რისკია დარიშხანი, რომელსაც ონკანის წყალს უმატებენ მასში არსებული მიკროორგანიზმების დასახოცად. წყლის მეორედ ადუღებისას დარიშხანი მაშინვე არ მოკლავს ადამიანს, მაგრამ თუ ასეთ წყალს წლობით სვამთ, შედეგები ძალიან საშინელი იქნება.

ექიმები შემდეგ პოტენციურ დაავადებებს ასახელებენ: შაქრიანი დიაბეტი, პერიფერიული ნეიროპათია, კანის საფარველის დაზიანება, ონკოლოგია, კუჭ-ნაწლავის მუშაობის მოშლა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, თირკმლების დაზიანება.

დაფიქრდით: ღირს გარისკვა?!

**ფტორი**

წყლის განმეორებითი ადუღებისას ფტორის ნაწილი ფტორიდად გარდაიქმნება. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ წყალში ფტორიდების არსებობამ შეიძლება, ქალებში უნაყოფობა გამოიწვიოს, ბავშვებში კი, გონებრივი ჩამორჩენის მიზეზი გახდეს.

**ნიტრატები**

ნიტრატებს ისე უხვად იყენებს კვების მრეწველობა კონსერვანტების სახით, თითქოს მის გარეშე წარმოუდგენელიცაა ამ დარგის წარმადობა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით მდუღარე წყალში ნიტრატები ნიტროზამინებად გარდაიქმნება. ეს კი, პირდაპირი გზაა ონკოდაავადებებისკენ.

## მორგელონების დაავადება – ყველაზე უჩვეულო სენი

მეცნიერებისთვის ცნობილია მთელი რიგი ისეთი დაავადებები, რომელთაც უდიდესი ფანტაზიორი, ან იპოქონდრიკიც რომ ვერ გამოიგონებდა. მიუხედავად დამშოკავი სიმპტომებისა, ეს დაავადებები ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი. მათი მკურნალობა ან შეუძლებელია, ან ნაკლებეფექტური. ყოველ შემთხვევაში, მედიცინის განვითარების მოცემულ ეტაპზე.

მორგელონების სენით დაავადებულები თავიანთ მდგომარეობას ასე აღწერენ: ძლიერი ქავილი და იმის მძაფრი შეგრძნება, რომ კანქვეშ ჭიანჭველები დაძვრებიან. ამ მდგომარეობის მიზეზი გაურკვეველია.

ამ სენით დაავადებულების შემხედვარეს საშინელებათა ფილმები გაგახსენდება – ადამიანს მთელი ტანი ექავება, შემდეგ ნახეთქები უჩნდება, საიდანაც გამოსვლას იწყებს სხვადასხვა ფერის ძაფი და სილის მსგავსი მუქი ნამცეცი. იარები შეხორცდება და რჩება ნაწიბურები და ნაიარევები, მაგრამ მერე იგივე სხვა ადგილზე მეორდება.

ჩატარებული ანალიზებით აღმოჩნდა, რომ პაციენტებიდან გამოდის არა საკერავი ძაფი, თმა, ან მწერი, არამედ გაუგებარი ნივთიერება, რომელიც ორგანიზმში უცნობი ინფექციის შედეგად წარმოიქმნება. ძაფები გამოსაკვლევად კრიმინალისტებს გადასცეს, ნივთიერება კი სპექტროსკოპიულ კვლევებზე წაიღეს, მაგრამ ის არ შედიოდა მონაცემთა ბაზაში არსებულ 800 ბოჭკოთა რიცხვში. ამ კვლევების შედეგი ნულოვანი აღმოჩნდა. ძაფის სტრუქტურა და შემადგენლობა არ დაემთხვა არც ერთს 90 ათასი ორგანული ნივთიერებიდან!

მორგელონების დაავადებას სხვა სიმპტომებიც აქვს: გონებრივი უნარების დაქვეითება, ქრონიკული დაღლილობა, დეპრესია, თმის ცვენა და კუნთების სპაზმი.

მედიკოსების ნაწილი იმ მოსაზრებისკენ იხრება, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა პაციენტების წარმოსახვის ნაყოფი. მაგრამ რა ვუყოთ მაშინ ფერად ძაფებს?

სხვები ამტკიცებენ, რომ მორგელონების დაავადება ბიოლოგიური იარაღის ახალი სახეა.

გაგრძელება მე-19 გვ.



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული სიტყვა

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

16 – 22 დეკემბერი 2015

№ 49 (313)



## ჯანმრთელობის ანა-ბანა



მე-18 გვერდიდან

### როგორ გამოვდევნოთ ორგანიზმიდან ყოველგვარი ზედმეტი და შხამიანი

1. ვაშლი და დარიჩინი — თხლად დაჭერით ერთი ვაშლი და დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი, დაუმატეთ 1 ჩ/კ დაფქული დარიჩინი, გააცივეთ და სვით მთელი დღე. ვაშლი და დარიჩინი დაგეხმარებათ ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებასა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის გაწმენდაში.

2. ლიმონის წვენი და თაფლი — 2 ს/კ ლიმონის ახლადგამოწურული წვენი შეურიეთ 200 მლ თბილ წყალს, დაუმატეთ 1 ჩ/კ ნატურალური თაფლი, ერთი მწიკვი დაფქული ჯანჯაფილი (ჯინჯერი, имбир). მიიღეთ უზმოზე, საუზმემდე ნახევარი საათით ადრე. ეს გაგიწმენდთ საჭმლის მომნელებელ სისტემას, გაგიმაგრებთ სისხლძარღვთა კედლებს და სასიცოცხლო ენერგიით აგავსებთ.

3. ჯანჯაფილის სასმელი — ჯანჯაფილის ახალი პატარა ბოლქვი (3-4 სმ სიგრძის) გაფცქვენით და წვრილად დაჭერით, დაასხით 1 ლ ცხელი წყალი და ხარშეთ ნელ ცეცხლზე 10 წთ., გაწურეთ. გაცივების შემდეგ დაუმატეთ ერთი მწიკვი დაფქული დარიჩინი და რამდენიმე სუფრის კოვზი ასკილის სიროფი. მიიღეთ დღის განმავლობაში, თითო ჯერზე 100-150 მლ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ნორმაში მოჰყავს საჭმლის მონელება, ნივთიერებათა ცვლა, აქვს მატონიზირებელი და ზოგადგამაჯანსაღებელი მოქმედება.

4. ჭარხლის წვენი — მოამზადეთ 1 ცალი ჭარხლის, 2 ცალი ვაშლის და ნიახურის 4 ცალი ღეროს (ასეთი ჯიშის ნიახური მხოლოდ დიდ სუპერმარკეტებში იყიდება, ძირითადად იმპორტულია და გასაოცრად მსხვილი ძირი და ღეროები აქვს) ახლადგამოწურული წვენი, მიიღეთ თითო-თითო ს/კ დღეში 2-ჯერ (დილას და საღამოს) ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

5. ჯანმრთელობის კოქტეილი — მოამზადეთ 1 ცალი ფორთოხლის, 1 ცალი ლიმონის და 1 ცალი სტაფილოს ახლადგამოწურული წვენი, შეურიეთ 100მლ მინერალურ წყალს. სვით უზმოზე, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს კოქტეილი მშვენიერი საშუალებაა დაღლილობის მოსახსნელად, მასში დიდი რაოდენობითაა ანტიოქსიდანტები.

6. კიტრი და ნიახური — დააქუცმაცეთ 1 ცალი კიტრი და ნიახურის 1 ფესვი (მსხვილღეროიანი ჯიშის. იხ. აქვე, რეცეპტი 4.), დაუმატეთ 300 მლ წყალი. სვით მთელი დღის განმავლობაში, იდეალურია განტვირთვის დღეებში.

### რატომაა საშიში და როგორ ავიცილოთ უძილობა

უცხო არავისთვისაა, რომ კარგად გამოუძინებლობა დღის განმავლობაში დაქანცულობას, გაღიზიანებულობას და კონცენტრაციის დაკარგვას იწვევს. გავეცნოთ მის გამომწვევ მიზეზებსა და თავდაღწევის საშუალებებს.

უძილობა ადამიანის ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. ერთი კვირის განმავლობაში რამდენიმე ღამით გამოუძინებლობა მნიშვნელოვნად ვნებს ნებისმიერს — აუარესებს მეხსიერებას, ზემოჩამოთვლილ შედეგებთან ერთად და, თუ დიდხანს გაგრძელდა, ჰალუცინაციებსაც კი იწვევს. ამავდროულად, ძილის პრობლემები დამახასიათებელია გონებრივი და ფიზიკური მოშლილობების დროს, მათ შორის — შიზოფრენიის, დეპრესიის, ინსულტის, კიბოს და თავის ტრავმებისას.

**როგორ დავაღწიოთ თავი:**

• დასაძინებლად მაშინვე წადით, როგორც კი ძილი მოგერევათ.

• თუ ნახევარი საათის განმავლობაში არ დაგეძინათ, მაშინ ადექით და რაიმე მომადუნებელ საქმეს მიმართეთ მანამ, სანამ ძილი არ მოგერევათ. მაგალითად, დაჯექით მშვიდად სიბნელეში და კარგ წყნარ მუსიკას უსმინეთ.

• თვლემას ნუ დაიწყებთ, თორემ ცუდად დაგეძინებათ. თუ ამას მიჩვეული ხართ, მაშინ ჯობია, 16:00 საათამდე, ერთი საათი გამოიძინოთ.

• მიეჩვიეთ ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს დაწოლას და ადგომას. როდესაც ძილს რეგულარული რიტმი აქვს, თავს უკეთესად გრძნობთ.

• ძილამდე დარჩენილი 4 საათის განმავლობაში თავი შეიკავეთ ყოველგვარ ფიზიკურ ვარჯიშზე. რეგულარული ფიზიკური ვარჯიშები ხელს უწყობს კარგ ძილს, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს დილით, ან ძილამდე, როგორც ვთქვით, 4 საათით ადრე მაინც.

• შეიმუშავეთ ძილის მომგვრელი რაიმე რიტუალი, მაგალითად, უსმინეთ რელაქსაციისთვის ხელშემწყობ მუსიკას, იკითხეთ რაიმე დამამშვიდებელი 20 წუთის განმავლობაში, დალიეთ ფინჯანი თბილი რძე.

• თავი შეიკავეთ კოფეინის მიღებაზე, ნიკოტინსა და ალკოჰოლზე, უკიდურეს შემთხვევაში, ძილამდე 4 საათით ადრე მაინც. კოფეინი და ნიკოტინი სტიმულატორებია და დაძინებაში გიშლით ხელს. ერთი შეხედვით, შეიძლება გეგონოთ, რომ ალკოჰოლი დაძინებაში გეხმარებათ, რამდენადაც ის ტვინის მოქმედებას ანელებს, მაგრამ საბოლოოდ, მშფოთვარე ღამეს მიიღებთ.

• ვიდრე დაწვებით, მსუბუქად წაიხემსეთ — ცარიელი კუჭი დაძინებაში ხელს შეგიშლით, მაგრამ ძილის წინ გამოძღომაც დაგტანჯავთ.

• ძილის დრომდე საათნახევრით ადრე მიიღეთ ცხელი აბაზანა. ის მოადუნებს თქვენს სხეულს და დაძინებაში მოგეხმარებათ.

• დარწმუნდით, რომ თქვენს საძინებელში კომფორტია და სიმშვიდე.

გახსოვდეთ, რომ უძილობა მნიშვნელოვნად მოქმედებს თქვენს გარეგნობაზე, კანის სიჯანსაღესა და დაბერების პროცესზე.

საშუალოდ, ადამიანს 8 საათი ღამის ძილი სჭირდება, თოთო ბავშვებისთვის 16 საათია აუცილებელი, მოზარდებისთვის კი, დაახლოებით, 9 საათი.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ძილი ჯანმრთელობას უწყობს ხელს და ჩვენს გონებასა და სხეულს აღადგენს. ღრმა ძილის დროს თავის ტვინი, რომელიც ემოციებს აკონტროლებს, წყვეტს გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და სოციალურ ურთიერთქმედებებს, რაც ხელს უწყობს ჩვენი ოპტიმალური და სოციალური ფუნქციონირების შენარჩუნებას. ძილი ასევე აძლიერებს იმუნურ სისტემას და ჩვენს ორგანიზმს ინფექციებთან ბრძოლაში ეხმარება. ამიტომაც უძილობას თავი დროზე უნდა დააღწიოთ!

**ციცინო მჭედლიშვილი**

## განათლება

# ადვილია თუ არა საქართველოში სტუდენტების დასაქმება

**სტუდენტთა დასაქმება განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვანია — იქ დიდი ყურადღება ექცევა, თუ როგორ ახერხებენ სტუდენტები სწავლისა და მუშაობის შეთავსებას. საქართველოშიც, სტუდენტთა უმრავლესობას სურს, სწავლის პარალელურად, იმუშაოს, თუმცა ხშირად ამას ვერ ახერხებს. რა პერსპექტივა და შესაძლებლობა აქვს სტუდენტს, რომელსაც სამსახურის შოვნა უნდა, ვის უნდა მიმართოს — განათლების სამინისტროს თუ თვითონ უნდა იზრუნოს შესაბამისი ვაკანსიის მოძებნაზე?**

## „მეეზოვეობა ჩემთვის ყველაზე მისაღები ვარიანტია, რადგან სწავლაში ხელი არ მეშლება“

დღეს საქართველოში სტუდენტთა ნახევარი სავაჭრო ცენტრებში კონსულტანტებადაა დასაქმებული. სტუდენტები იძულებულნი არიან, მძიმე სამუშაო გრაფიკსაც დასთანხმდნენ, რის გამოც სწავლისთვის დრო, პრაქტიკულად, აღარ რჩებათ.

საქართველოში „ტემპუსის“ კვლევა ჩატარდა, რომლის მიზანიც იყო, დაედგინა, თუ რამდენად ასაქმებს თავად უნივერსიტეტი სტუდენტებს. კვლევიდან ნათლად ჩანს, რომ უამრავი კერძო თუ სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მხოლოდ 18 უზრუნველყოფს საკუთარი სტუდენტების დასაქმებას. კვლევის მიზანი, ასევე, იყო, დაედგინა, თანამშრომლობენ თუ არა დამსაქმებლები და უმაღლესი სასწავლებლები.

როგორც ირკვევა, რამდენიმე უნივერსიტეტში, მართლაც, ფუნქციონირებს ე.წ. კარიერის სამსახური, რომელიც სხვადასხვა ვაკანსიისა თუ სტაჟირების პროგრამაზე სტუდენტთა ინფორმირებას უზრუნველყოფს.

სწორედ დაუსაქმებლობის გამო გახდა ცნობილი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თიკო მახათაძე, რომელმაც გადაწყვიტა, სწავლის გადასახადი რომ გადაეხადა, დასუფთავების ცენტრში ემუშავა: თიკო ღამით ქუჩებს ასუფთავებს, დღისით კი, ლექციებს ესწრება. გოგონა სწავლითაც გამოირჩევა.

„მეეზოვობა ჩემთვის ყველაზე მისაღები ვარიანტია, რადგან სწავლაში ხელი არ მეშლება“, — ამბობს გოგონა.

21-ე საუკუნეში ასეთი სტუდენტები ნამდვილად დასაფასებელნი არიან.

საქართველოში, ასევე, ხორციელდება საზაფხულო სტუდენტთა დასაქმების პროგრამა, სადაც სტუდენტები მთელი საქართველოს მასშტაბით ატარებენ სოციალურ კვლევებს, მაგრამ ასეთი ტიპის დასაქმება, სტუდენტთა აზრით, ძალიან მცირეა. ამასთან, პროგრამა წელიწადში ერთხელ ხორციელდება, რაც ცოტაა.

იმ სტუდენტებს, რომლებიც საუკეთესო სწავლით გამოირჩევიან, შანსი ეძლევათ, გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ წავიდნენ, სადაც სწავლის პარალელურად, იმუშავებენ კიდეც.

„ინოვაციებისა და განვითარების ფონდი“, რომელიც 2014 წელს შეიქმნა, მიზნად საზოგადოების შიდა ინოვაციური პოტენციალის გამოვლენა-გაფართოებას ისახავს. სტუდენტებსაც შეუძლიათ, ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ქალაქისა და მთელი რეგიონის ჯანდაცვის, განათლების, ეკონომიკისა და სხვადასხვა სფეროს გეგმის შემუშავებაში.

უფრო თვალსაჩინოდ რომ დაგანახოთ, თუ რას ფიქრობენ სტუდენტები დღევანდელ სტუდენტურ დასაქმებაზე, ან მუშაობენ თუ არა, „ქართული სიტყვა“ რამდენიმე სტუდენტს ესაუბრა.

19 წლის მარიამ კაპანაძე გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტია, რომელიც სწავლის პარალელურად, ე.წ. ტაქსის კომპანია „მაქსიმში“ მუშაობს.

„მუშაობა იმიტომ დავიწყე, რომ პირადი შემოსავალი მქონდეს, — ამბობს მარიამი და დასძენს, რომ სამსახური სწავლაში ხელს არ უშლის, რადგან კომპანიაში ხელს უწყობენ.

„იმდენად გამჯდარია ჩემში პატრიოტიზმი, რომ საზღვარგარეთ სამუშაოზე არც ვოცნებობ, მირჩევნია, ჩემს ქვეყანაში იმდენს მივაღწიო, რომ აქ შევძლო კარგი სამსახურის შოვნა. ჩემი აზრით, დღეს სტუდენტური სამუშაოები საკმაოდ ხშირია, თითქმის ყველგან ახალგაზრდა და ენერგიული სტუდენტები სჭირდებათ“, — ამბობს გოგონა.

მაია ოქრუაშვილიც გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში სწავლობს და „ქარვასლაში“, ინტერნეტ-მაღაზიაში მუშაობს, სადაც ყოველდღე 2 საათს ატარებს.

„სწავლაში ხელი საერთოდ არ მეშლება და ამიტომ გადავწყვიტე, თავისუფალი დრო უაზროდ არ დამეკარგა. მუშაობა იმ მიზეზით დავიწყე, რომ საკუთარი შემოსავალი მქონდეს. ჩემი ძმაც სტუდენტია და მინდა, მშობლებს დავეხმარო“, — ამბობს მაია.

შეკითხვაზე, წავიდოდა თუ არა საზღვარგარეთ სამუშაოდ, პასუხობს, რომ წავიდოდა, თუკი პროფესიით განვითარების საშუალებაც მიეცემოდა და, რა თქმა უნდა, ნორმალური ანაზღაურებაც ექნებოდა.

მაიას აზრით, საქართველოში სტუდენტური დასაქმება საერთოდ არ ფუნქციონირებს.

**ანა ყაველაშვილი**





ზურა მეგრელიშვილის ფოტო

## ჯანსულის სიცილნათელები

### ცოცხი და ბოთლი

ზიზღი სიყვარულს არ უდრის
და ნუ იქნებით მორცხვები,
„ნაცებო", დროზე დაბრუნდით,
უკან გაირჭეთ ცოცხები.
დროზე მოუხმეთ გონებას,
თქვენ ხომ ეშმაკთან ძმაბიჭობთ,
ადოლფ ჰიტლერის მონებო,
ბოთლებიც უნდა გაირჭოთ!

### ქალი, ქარი და კაცი

როგორც ქარი ქარია,
ისე ქალიც ქალია,
როგორც ქარი უბერავს,
ისე ქალი უბერავს,
ესა ვთქვი და იმ წუთში
კაცმა წაიღრუბელა.

### მარტი

მარტი მარტია,
არასდროს რომ
არ მინატრია,
ყველაზე უფრო
მიყვარს ივლისი —
ბათუმში ვარ
და მენატრება ჩემი თბილისი.

### გამოცანი

კაცია, მართლა,
ენერ-გიული,
ბოლმა და ზიზღი
დასდის დორბლივით,
უკრაინამდე
გზა აქვს გმირული,
ყველაფერია,
მიშა-ნდობლივი.

### „ნაციონალებს!"

თქვენს პარტიას,
აუ, რა სჯობს,
ადოლფ ჰიტლერს
გაუმარჯოს!
გაუმარჯოს
კაცის ხსოვნას,
თქვენზე პირველ
„ნაციონალს".
იგრე გითხრათ,
აგრე გითხრათ,
თქვენ ჰიტლერზე
მაგრები ხართ.

### გწამდეს

გთხოვ, ნუ იქნები მწყრალად,
ძველს ნუ იხსენებ ახლად,
ცხოვრება მარად
ეფემერული გახლავთ.
მე გეუბნები, გწამდეს
და იგულისხმე წესად,
თუ არ წახვედი სადმე,
ვერ დაბრუნდები ვერსად!




თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის") მიმღები — „ემერჯენსი"

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით